

დაუსრულებელი აბზაცები...

A4





გაერო რეფორმების გარეშე ვერ გადარჩება

A5



როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები

B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 18 აპრილი, 2005 წელი. №87 (947)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

მერიის ტენდერში ყოფილი მერის ფირმებმა გაიმარჯვეს

ქუთაისის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პირველი ტენდერის პირველი შედეგები გამოაცხადა, რომლითაც შიდასაქალაქო გზებს ორი ქუთაისური ფირმა შეაკეთებს.

A2

## სამართალი

მამასახლისი და ნანავა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ



რა ხდება აფხაზეთის ციხეებში ან რამდენი ქართველი იხდის იქ სასჯელს, ზუსტად არავინ იცის. ოფიციალური წყაროები, მართალია, ადასტურებენ, რომ აფხაზებს ათობით ქართველი ჰყავთ უკანონოდ დაპატიმრებული, მაგრამ ვინ არიან ისინი, რა სასჯელისთვის ამყოფებენ ტყვეობაში, ან რამდენი წელი აქვთ მისჯილი, ვერავინ აკონკრეტებს.

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი „24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 18/4 | 19/4 | 20/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 24 | 23 | 28 |
| ქუთაისი | 23 | 21 | 26 |
| ბათუმი | 20 | 19 | 25 |
| სოხუმი | 21 | 18 | 23 |
| ფოთი | 22 | 19 | 25 |
| თელავი | 24 | 22 | 27 |
| ზუგდიდი | 23 | 20 | 26 |
| გორი | 19 | 19 | 24 |
| ახმეტა | 24 | 22 | 27 |
| ჭიათურა | 20 | 19 | 24 |
| გაგრა | 21 | 17 | 20 |
| სამტრედია | 22 | 21 | 26 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3494 |
| ბრიტანეთის სტერლ. | 3.4450 |
| რუბლი | 0.0656 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ფიქრები | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | სტილი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| მონიტორინგი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ცალსახა შეფასება შეუძლებელია

### ომბუდსმენი პარლამენტს ანგარიშს აბარებს

*სახალხო დამცველს სოზარ სუბარს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ ცალსახა შეფასების გაკეთება უჭირს და აცხადებს, რომ ზოგიერთ სფეროში ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა, სხვა სფეროებში კი, პირიქით - მკვეთრად გაუარესდა. სოზარ სუბარი კონკრეტული პირების თანამდებობებიდან გათავისუფლების საკითხსაც აყენებს.*

გიორგი ასანიშვილი

სახალხო დამცველი მოითხოვს, რომ პოსტები დაუყოვნებლივ დატოვონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა კოპაძემ, მეშვიდე საპყრობილის დირექტორმა გელა კიკილაშვილმა, წალკის რაიონის პოლიციის უფროსმა ზურაბ ქეშელაშვილმა; აგრეთვე, დადგეს გორის რაიონის გამგებლის ნუგზარ პაპუნაშვილის და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის პასუხისმგებლობის საკითხი.

უახლოეს დღეებში სოზარ სუბარი პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგება და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 2004 წელს არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრებს.

როდესაც გაუარესების ტენდენციაზე საუბრობს, სახალხო დამცველს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებმაც, მისივე თქმით, **"აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების ხარჯზე, საპარლამენტო ძალაუფლების დასუსტება გამოიწვია,"** აგრეთვე სახეზეა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის კლების ხარისხი, საპროცესო გარიგების გამოყენების ბუნდოვანი პრაქტიკა და ის პრობლემები, რაც კერძო საკუთრებას ექმნებოდა.

დადებითი ტენდენციებიდან კი სოზარ სუბარი, ძირითადად, იმ ფაქტს გამოყოფს, რომ აღიკვეთა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცების პრაქტიკა (კონფლიქტური რეგიონების გამოკლებით). თუმცა, სახალხო დამცველი იქვე იმასაც შენიშნავს, რომ სამაგიეროდ, 2004 წელს ძალიან ფართო მასშტაბი მიიღო პოლიციის მიერ მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებებმა, როდესაც პიროვნების დაკავება ხდებოდა იარაღისა და ნარკოტიკის "ჩადებით"; აგრეთვე, გახშირდა პოლიციის მხრიდან ძალადობის, ადამიანების წამებისა და ცემის ფაქტები.

გაგრძელება A3 გვერდზე



*სოზარ სუბარი რამდენიმე დღეში პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგება.*

# 600 მილიონი დოლარი... ამერიკამდე

*საქართველოს გზები საბჭოთა კავშირმა თან გაიყოლა. როგორც ირკვევა, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი მიიღო, მისი 21 ათასი კილომეტრის სიგრძის სამანქანო გზების საფარი აღარ შეცვლილა.*

თამარ მაისურაძე

"დასტროჩკილ" სამანქანო გზებს თუ არ ჩავთვლით, თვით რუსთაველის გამზირზეც კი ასფალტის საფარი ბოლოს (საფუძვლიანად) 1986 წელს დაუგიათ. მას შემდეგ, ამ პრობლემით არავინ დაინტერესებულა. რამდენიმე წლის წინ მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა დაასკვნეს: იმისათვის, რომ საქართველოს გზები ევროპული სტანდარტების შესაბამისად გაკეთდეს, ან თუნდაც, საბჭოთა პერიოდის დროინდელი სახე დაიბრუნოს, 600 მილიონი დოლარია საჭირო. არადა, "ქართულ ტრასებს" იდეალურს ვერც მაშინ უწოდებდი, რადგან მაშინაც არსებობდა მეორეხარისხოვანი, სახელმწიფოს ყურადღების მიღმა დარჩენილი დანგრეული გზები. თუმცა, დღევანდელთან შედარებით, იდეალურიც იყო და უფრო მეტიც...

1989 წლიდან 1995 წლამდე იმ ორგანიზაციისთვის, რომელსაც ამ პრობლემის მოგვარება ევალებოდა, დღეს კი საგზაო დეპარტამენტის სახელითაა ჩვენთვის ცნობილი, მთავრობას ერთი თეთრიც არ გაუმეტებია. 1995 წელს გამოყოფილი 500 ათასი დოლარის ეკვივალენტი კუპონებში ასფალტის 5-6 კილომეტრზე დასაგებად იყო საკმარისი. მას მერე შეიქმნა საგზაო ფონდი, რომლის ბიუჯეტში თანხებმა გაზრდა 19 მილიონი ლარიდან დაიწყო და გასულ წელს 60-65 მილიონსაც კი მიაღწია, მაგრამ იმ აუცილებელი სამუშაოების გასატარებლად, რაც ჩვენი ქვეყნის საგზაო მაგისტრალების კეთილმოწყობისთვისაა აუცილებელი, მაინც ზღვაში წვეთია. გასული წლის ბიუჯეტს დაახლოებით 30 მილიონი კრედიტის სახით დაემატა. წელს ბიუჯეტი 20 მილიონით გაიზარდა, სამაგიეროდ, კრედიტს ეწურება ვადა. ეს ფული კი ფორს-მაჟორული შემთხვევისთვისაა შემონახული – გზა თუ ჩავარდა, ან ხიდი თუ ჩაინგრა, რადგან ეს თანხა იმ აუცილებლის მხოლოდ 10 პროცენტია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# „სანამ მე საქართველოს პრეზიდენტი ვიქნები..."

თამარ დვალი

*"ეს მანქანა, ახლა რომ ჩაირთო, მანამ არ გაჩერდება, სანამ მე ვიქნები პრეზიდენტი. საქართველოში გზების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება," –განაცხადა გუშინ გზების საფარის აღდგენითი სამუშაოების მოსანახულებლად მისულმა საქართველოს პრეზიდენტმა. დედაქალაქის ბიუჯეტში გზების საფარის აღდგენითი სამუშაოებისთვის 80 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ერთი თვის წინ, თბილისის გზების აღდგენაზე თურქულ კომპანია "ნუროილს" უნდა ეზრუნა, თუმცა მოულოდნელად, ეს უპირატესობა ჰოლანდიურ კომპანია "კავკასუს როუდ პროჯექტს" ერგო.*

**"სამწუხაროდ, ქართველებს ამ ეტაპზე არ გვაქვს ის ტექნიკა, რომელიც ჰოლანდიურ კომპანიას აქვს. ეს მანქანა ახლა რომ ჩაირთო, მანამ არ გაჩერდება, სანამ მე ვიქნები პრეზიდენტი. საქართველოში გზების პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოგვარდეს.**

გაგრძელება A3 გვერდზე



## ტურიზმის განვითარების კონცეფცია თბილისურად

### რაში იხარჯება ქალაქში ტურიზმის განვითარებისთვის გამოყოფილი 100 ათასი ლარი?

ნანა ქადაგიშვილი

*საკრებულოს 2004 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით, საკრებულოს ინტერფრაქციულ ჯგუფს სამ თვეში თბილისში ტურიზმის განვითარების კონცეფციის შემუშავება, ქალაქის მთავრობას კი - ორ თვეში ტურისტული ინდუსტრიის მართვისა და განვითარების კონკრეტული პროგრამის მომზადება დაევალა. აღნიშნული დავალება, ჯერჯერობით, მხოლოდ საკრებულოს ინტერფრაქციულმა ჯგუფმა შეასრულა. მთავრობას კი პროგრამაზე მუშაობა ჯერ არც დაუწყია. "ორ თვეში ასეთი კონცეფციები და პროგრამები არ მზადდება, მით უმეტეს, როცა ქალაქის გენერალური და სტრატეგიული განვითარების გეგმებზე მუშაობა არ დასრულებულა," – აცხადებს მთავრობა.*

თბილისის კულტურისა და ტურიზმის კონცეფცია, რომელიც მერიის კულტურისა და ტურიზმის ძველი სამსახურისა და საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის შეკვეთით, კულტურის გადარჩენის ფონდმა მოამზადა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ უკვე განიხილა, მოიწონა და საკრებულოს სხდომაზე გასატანადაც ამზადებს. **"მართალია, კონცეფციას ნაკლიც აქვს, ბევრი რამ დასახვეწია, მაგრამ მაინც ძალიან**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ახალი რწმუნებულის გეგმები

### გზები, დენი, დისკოთეკები და სხვა

სოფო ბუკია

*რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში პრეზიდენტის ახალი რწმუნებული პირობას დებს, რომ რაჭველობის მიუხედავად, რეგიონის განვითარებას სწრაფი ტემპებით შეეცდება. რეგიონში არსებულ პრობლემებზე და სამომავლო პერსპექტივებზე ახალი რწმუნებული "24 საათს" ესაუბრება.*

**მთავარი მტერი - სტიქია**

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი დღეს ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. ყველა რეგიონშია მეტ-ნაკლები ძვრები, მაგრამ აქ არა. მოსახლეობა ხშირად ხდება სტიქიური უბედურების მსხვერპლი. რამდენიმე დღის წინ ამბროლაურის რაიონის სოფელი გენდუში დაიმეწყრა. იქ 22 ოჯახი ცხოვრობს, აქედან ექვსი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, შვიდს კვლავაც ემუქრება სტიქია. პირველი, რითაც მე რწმუნებულად დანიშვნის შემდეგ დავკავდი, ეს სტიქიით დაზარალებულთა პატრონობაა. მოვამზადე იმ ოჯახთა სიები, რომლებიც, პირველ რიგში, საჭიროებენ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. 1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, ხუთასი ოჯახი დღესაც დაუკმაყოფილებელია საცხოვრებელი ფართებით. განსაკუთრებით უკიდურეს მდგომარეობაშია 126 ოჯახი. პირველ რიგში, მათ უნდა მივხედოთ და დღეს სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად ჩამოვედი თბილისში. პრემიერ-მინისტრმაც სრული მხარდაჭერა აღმითქვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მერიის ტენდერში ყოფილი მერის ფირმებმა გაიმარჯვეს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ქუთაისის მერიამ სახელმწიფო შესყიდვების პირველი ტენდერის პირველი შედეგები გამოაცხადა, რომლითაც შიდასაქალაქო გზებს ორი ქუთაისური ფირმა შეაკეთებს. ადგილობრივმა მთავრობამ გზების შესაკეთებლად ტენდერი შვიდ ლოტზე ჩაატარა, გამარჯვებული კი მხოლოდ ექვს ლოტზე გამოავლინა.

**"მეშვიდე ლოტზე ტენდერი განმეორებით გამოცხადდება. ამ ლოტზე ორმა ფირმამ წარმოადგინა წინადადება და ორივეს უარი ეთქვა, რადგან "სამშენებლო კომპანია თბილისის" სატენდერო წინადადებაში დაწნეხილი ფილების ნაცვლად, ასფალტობეტონის საფარის გადაკვრა იქნა შემოთავაზებული. შპს "საუკუნის გზის" წინადადებაში კი ლოტი დაყოფილი იყო და მხოლოდ ჯიბლაძის ქუჩაზე იქნა წინადადება შემოტანილი",** - აცხადებს ქუთაისის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი არჩილ ფრუიძე "24 საათთან" საუბარში.

გზების შესაკეთებლად ქუთაისის მთავრობამ ცენტრალური ბიუჯეტიდან ხუთი მილიონი ლარი მიიღო სპეცტრანსფერის სახით, რაც უშუალოდ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ნინო ბურჯანაძის ძალისხმევით მოხერხდა.

**"ყველანაირი მცდელობა, რომ ამ თანხიდან რაიმე არასწორად წავიდეს და გაიხარჯოს, დაისჯება სამაგალითოდ, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს, მით უმეტეს თუ ამ ადამიანს ჩემთან რაიმენაირი კავშირი ექნება, თუნდაც კარგი ნაცნობობა,"** - ეს გაფრთხილება ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირადად ნინო ბურჯანაძისგან მიიღო.

სპეცტრანსფერის ხარჯვის გამჭვირვალობის სადემონსტრაციოდ ქუთაისის მთავრობამ მარტის თვეში ტენდერი გამოაცხადა და სატენდერო წინადადებების განხილვა ადგილობრივი მედიის მეთვალყურეობის ფონზე გამართა. გზების შესაკეთებლად ტენდერში მონაწილეობის სურვილი რვა ფირმამ გამოთქვა. პირველადი განხილვის შემდეგ ორ მათგანს - შპს "საქართველოს გზებსა" და შპს "ტენზორს", საქალაქო-სატენდერო კომისიამ იმთავითვე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მათ საქმიანობას დღემდე ფინანსური პოლიცია იკვლევს და მათ წინააღმდეგ უკვე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. ამის შემდეგ სატენდერო მარათონს ტენდერში მონაწილე ერთადერთი უცხოური ფირმა - რუსული კომპანია "ასდორი" გამოეთიშა, თუმცა ტენდერის დასაწყისში ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი სწორედ იმას იმედოვნებდა, რომ ქალაქში უცხოური პრესტიჟული კომპანიების შემოყვანას მოახერხებდა.

**"თავდაპირველად მოლაპარაკებები იყო თურქულ კომპანიასთან, მაგრამ მათ ორი დღით დააგვიანეს განაცხადის შემოტანა. რუსულმა ფირმამ კი ტენდერში საორგანიზაციო საბუთების წარმოდგენა ვერ მოასწრო,"** - აცხადებს ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

ჩატარებული ტენდერის შედეგად, 2 მილიონ 900 ათასი ლარის სამუშაოებს შპს "გზამშენი 21" და სს "ტრანსვესტინჟინერინგი 12" განახორციელებს. ქუთაისის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის განმარტებით, ფირმების შერჩევაში განმსაზღვრელი "დაბალი ფასებით მაღალი ხარისხის" შემოთავაზება გახლდათ. ტენდერში მონაწილე ერთადერთი არაქუთაისური ფირმა "სამშენებლო კომპანია თბილისი" სწორედ მაღალი ფასების გამო იქნა დაწუნებული სატენდერო კომისიის მიერ. "სამშენებლო კომპანია თბილისი" შვიდივე ლოტზე ხუთ მილიონ ლარზე მეტს ითხოვდა.

ქუთაისის მთავრობის ოპონენტების აზრით, მერიამ არასწორი არჩევანი გააკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული ფირმა ქუთაისის ყოფილი მერის ნუგზარ ფალიანის სახელს უკავშირდება. შპს "გზამშენი 21", მართალია, მერიის საკუთრებაშია, მაგრამ მისი ამჟამინდელი მმართველი პაატა მერკვილაძე ფალიანის მთავრობის წევრი და მისი აქტიური მხარდამჭერი გახლდათ. "ტრანსვესტინჟინერინგი 12" კი უშუალოდ ფალიანის საკუთრებად სახელდება.

**"არ ვიცი, ფალიანისაა თუ არა ეს ფირმა, მაგრამ მისი ინტერესები და მასთან გარიგება გამორიცხულია. ჩვენ, ფაქტობრივად, აღმოვჩნდით ფორსმაჟორულ სიტუაციაში: გზების შეკეთება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს, რომ სეზონის ბოლომდე მოესწროს და, მეორე მხრივ, დარჩენილ ფირმებს შორის ალტერნატივაც აღარ იყო. ამას გარდა, ჩვენ ვაპირებთ "გზამშენის" გაყიდვას",** - აცხადებს ბესიკ გულორდავა.

ამ ორ ფირმას, ქუთაისის მერიის დაკვეთით, საგზაო-სარემონტო სამუშაოები ადრეც აქვს ჩატარებული. განსაკუთრებული ინტენსივობით ამ ტიპის სამუშაოებს "ტრანსვესტინჟინერინგი 12" ნუგზარ ფალიანის მერობის პერიოდში ახორციელებდა. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ გულორდავა აცხადებს, რომ ამ ფირმების მიერ აქამდე განხორციელებულ სამუშაოებს სპეციალური კომისია შეისწავლის და გადაამოწმებს.

**"ამ ფირმებთან არსებობს ერთწლიანი ხელშეკრულებები და თუ აღმოჩნდება, რომ ამ ფირმების მიერ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება მოთხოვნებს, ისინი ხელახლა, უფასოდ შეაკეთებენ გზის ამ მონაკვეთებს. და თუ ამჯერადაც შეიქმნება რაიმე პრობლემა, მათ მიმართ იქნება უმკაცრესი სანქციები. პირადად მივმართავ შესაბამის ორგანოებს, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები, რადგან ეს იქნება საბოტაჟი,"** - აცხადებს მერის მოვალეობის შემსრულებელი.

ტენდერში გამარჯვებულ ფირმებს ადგილობრივი ხელისუფლება ხელშეკრულებას უახლოეს მომავალში გაუფორმებს. ხელშეკრულებაში მთავარი მოთხოვნა შესრულებულ სამუშაოზე ხუთწლიანი გარანტია იქნება. თხუთმეტ ქუჩაზე გზების შეკეთება ორმა ფირმამ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვემდე უნდა მოასწროს.

# ნაგავსაყრელი საკურორტო ადგილზე

*გადაწყვეტილებამ, ჭოროხის ნაგავსაყრელის ჩაქვში გადატანის თაობაზე, აჭარაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.*

ჯაბა ანანიძე
ბათუმიდან

ყოველდღიურად ბათუმიდან ჭოროხის სანაპიროზე დაახლობით 150 ტონა ნაგავი გადის. დღემდე, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც ნაგავს მცირე წარმოებისთვის იყენებენ, ჩვენთან ნაგავი ისევ ეკოლოგიური კატასტროფის წყაროდ რჩება.

აჭარის მთავრობის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით, სპეციალური დროებით კომისია შეიქმნა, რომლის მიზანი, გარემოს დაცვის სამმართველოს მოთხოვნის შესაბამისად, ახალი ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევა იყო. კომისიამ, რომელიც ადგილობრივი მმართველობისა და სანდასუფთავების სამსახურის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, მუშაობა დაასრულა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ნაგავსაყრელის ეკოლოგიური გამოკვლევისთვის დაბა ჩაქვის ტერიტორია მიუთითა, ხოლო დამტკიცების მანდატი ისევ აჭარის მთავრობას დაუტოვა. ზუსტ გადაწყვეტილებას მალე მიიღებენ, რადგან ოფიციალური ორგანოები ანგარიშგასაწევ პრობლემებს ვერ ხედავენ. ახლა შავი ზღვის სანაპიროსთან 500 მეტრით დაშორებული საპოლიგონო ადგილი ეკოლოგიურ ექსპერტიზას გადის.

მსოფლიოში ჩაქვს უხვნალექიანობით მეორე ადგილი უჭირავს, თუმცა პრიორიტეტული სამომავლო კურორტია და, რაც მთავარია, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 ნოემბრის N669 ბრძანებულებით - "კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის დამტკიცების შესახებ" - რიგით 146-ე საკურორტო ადგილად არის მითითებული. თუმცა, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოში აცხადებენ, რომ ჩაქვი საკურორტო ადგილი არაა და ნაგავსაყრელის მოწყობა ჩაქვის ტერიტორიაზე კანონმდებლობით არ იკრძალება.

გადაწყვეტილებას, სხვებთან ერთად, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტიც აპროტესტებს. ტურიზმის განვითარების მსურველნი აცხადებენ, რომ ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე, მდ. ჭოროხისა და შავი ზღვის შესართავთან მდებარე ნაგავსაყრელის გადატანა აუცილებელია, რადგანაც იგი ზღვას და სანაპიროს აჭუჭყიანებს. მათი აზრით, ნაგავსაყრელის გადატანა შესაძლებელია ისევ ხელვაჩაურის რაიონში ე.წ. სამშენებლო პოლიგონების, რუსეთის ფედერაციის სამხედრო საჯარისო ნაწილების მიმდებარე ტერიტორიაზე. ტურიზმის დეპარტამენტის საპასუხო წერილი მარკეტინგისა და რეკლამის განყოფილების უფროსმა - მალხაზ მალაყმაძემ მოამზადა, სადაც აღნიშნულია, რომ ნაგავსაყრელის ჩაქვში გადატანა მიუღებელია, რადგან "საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" კრძალავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის ან აფერხებს საკურორტო ადგილის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჩაქვი მიჩნეულია სამთო ტურიზმის შექმნის ერთ-ერთ ძირითად ადგილად, მას ესაზღვრება შავი ზღვისპირეთის ულამაზესი კურორტები - მწვანე კონცხი და ციხისძირი, აგრეთვე, ბათუმის უნიკალური ბოტანიკური ბაღი.

დეპარტამენტი ასევე პრობლემად მიიჩნევს ბათუმის სანიტარიული დასუფთავების მოძველებულ ავტომეურნეობას, რადგან აღნიშნული მარშრუტით ნაგვის ტრანსპორტირება გარემოს დაბინძურებას და მოძრაობის სირთულეს გამოიწვევს.

**"სად იქნება ნაგავსაყრელი, ეს ხელისუფლებამ თავისი უფლებებიდან და მოვალეობებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს. თუკი ნაგავგადამამუშავებელი კომბინატი გაკეთდება, ან მას შხამქიმიკატებით გაანადგურებენ, მაშინ, შესაბამისად, ეკოლოგიური პრობლემებიც მოიხსნება. მესმის, რომ გლობალურად უნდა ვიმსჯელოთ და იგივე ნაგავსაყრელი სადღაც უნდა განთავსდეს, მაგრამ იქ, სადაც ნალექი ყველაზე ხშირად მოდის და საკუთარ ნაგავს ვერ ვუვლით, თავნება გადაწყვეტილებებს არ უნდა ვღებულობდეთ. აჭარის რეგიონი და, საერთოდ, შავი ზღვის ტერიტორია საუკეთესო საკურორტო ადგილებია და მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, უპირველესად, ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს. ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, გამოსავალი რამდენიმე მინი-ნაგავსაყრელის გაკეთებაა, შემდეგ კი ნაგავი ჩვენს საკეთილდღეოდ ვაქციოთ. ნაგავსაყრელის ერთი ხელის მოსმით მეორე, ისიც, საკურორტო ადგილზე გადატანით, პრობლემა არ მოგვარდება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ თეიმურაზ კახიძემ.

ჭოროხის ნაგავსაყრელი გასული საუკუნის სამოციან წლებში სანიტარიული ნორმის დაცვის გარეშე გაკეთდა. საერთაშორისო პრაქტიკაში, ნაგავს ან სპეციალურად ამოთხრილ ორმოში ათავსებენ და მიწის ფენით სისტემატურად ფარავენ, შხამქიმიკატებით ანადგურებენ, ან სპეციალურ ღუმელებს დგამენ, საუკეთესო ვარიანტი კი ნაგავგადამამუშავებელი კომბინატის მოწყობაა. საქართველოში, და მათ შორის - აჭარაშიც, ნაგვის განადგურების ეს ხერხები განვითარებული არ არის. აქ პროგრესად, უბრალოდ, ის ითვლება, რომ ნაგავი ქალაქიდან, ადრე თუ გვიან, მაინც გააქვთ და სამომავლოდ ჭოროხის თუ არა, ჩაქვის ნაპირებთან მაინც დაყრიან.

აჭარის გარემოს დაცვის სამმართველოს პოზიციას სანდასუფთავების სამსახურიც ეთანხმება: **"ტერიტორია, რომელიც შეირჩა, ყველა სანიტარიულ ნორმას აკმაყოფილებს. აქ შესაბამისი ადგილიცაა და პოლიგონიც ზღვის სანაპირო ზოლიდან 500 მეტრის დაშორებით მოეწყობა. ნორმაა ასევე დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრით დაცილება, ჩვენს შემთხვევაში იგი კილომეტრს აღწევს. ასევე, ნორმა სრულდება აეროპორტიდან 5 კმ-ით დაცილებაში,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შპს "სანდასუფთავების სპეცმეურნეობის" დირექტორმა ნუგზარ პატარიძემ. მათი მონაცემით, ქალაქიდან ნაგვის გატანას ოთხი მძიმეწონიანი "მერსედესი" და "მაზის" მარკის სამი მანქანა ემსახურება. ეს საკმარისი არ არის, მაგრამ ბატონ ნუგზარს ხელისუფლებისაგან დანაპირების შესრულების იმედი აქვს.

ჩაქვის თავლია ნაგავსაყრელის ფუნქციონირება 20 წლით განისაზღვრება. ასე რომ, ჩაქველებს ამ ხნის განმავლობაში მაინც ნაგვის "სურნელების" ატანა მოუწევთ.

# ახალი რწმუნებულის გეგმები

პირველი გვერდიდან

ამისათვის 620 ათასი ლარია საჭირო. პრემიერმა უკვე დაავალა შესაბამის სამსახურებს, რომ მთავრობის სხდომისთვის საჭირო დადგენილება მოამზადონ. იმ წამსვე დავიწყებთ ამ ადამიანებისთვის საცხოვრებელი ბინების ყიდვას. ამ ფართების შეძენა იმ რაიონებშივე მოხდება, სადაც ეს ხალხი ცხოვრობს, რადგან ჩვენ ისედაც მწვავედ განვიცდით მიგრაციის პრობლემას.

## ძირითადი პრიორიტეტები

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ჩვენს მთავრობას მკვეთრად აქვს განსაზღვრული პრიორიტეტები: 1. ენერგეტიკა; 2. საავტომობილო გზების შეკეთება-დაგება; 3. გადამამუშავებელი მრეწველობების შექმნა.

## გზა

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ინვესტიციების მოზიდვასა და ტურიზმის განვითარებას ერთადერთი რამ უშლის ხელს – გზები, უფრო სწორად - გზების არარსებობა. ონის რაიონი მთლიანად მოწყვეტილია რეგიონს, იგივე შეიძლება ითქვას ლენტეხზე. უკეთესი ვითარებაა ამბროლაურში, იქ შეიძლება მოძრაობა.

ადგილობრივი ბიუჯეტით გზების დაგება, ცხადია, გამორიცხულია. ამ წლის ბიუჯეტში საგზაო დეპარტამენტს ქუთაისი-ალკანის მიმართულებით საავტომობილო გზის გამართვა აქვს გათვალისწინებული, ასევე დაიგება ონი-ამბროლაურის შვიდკილომეტრიანი მონაკვეთი. ვერ მოგატყუებთ, ჯერჯერობით, წელს მხოლოდ შვიდ კილომეტრზეა საუბარი, თუმცა შეიძლება კიდევ რამე გამოჩნდეს, ვინმე დაგვეხმაროს.

## ინვესტორები

ამ ეტაპზე რაჭით არავინ ინტერესდება. ინვესტორებისთვის ეს ულამაზესი რეგიონი დღეს მიმზიდველი არ არის და ასე იქნება, ვიდრე ინფრასტრუქტურას არ მოვაწესრიგებთ. ელემენტარულად ნორმალური გზების გარეშე ინვესტორს იქ არაფერი ესაქმება, ტურიზმი ვერ განვითარდება.

## ენერგეტიკა

საქართველოში ყველა ჰესი ერთნაირ მდგომარეობაშია, ისინი რეაბილიტაციას საჭიროებენ. შაორჰესის სიმძლავრე არ არის ისეთი მასშტაბური, რომ მთლიანად უზრუნველყოს რეგიონი, მაგრამ ეს ჰესი რეგიონს, გარკვეულწილად, ეხმარება.

სხვა რეგიონებთან შედარებით, ჩვენს რეგიონში დენი უკეთესადაა, საწუწუნო ამ მხრივ არაფერი გვაქვს. გრაფიკი ასეთია: დილის რვა საათზე მოდის, თერთმეტამდე ანთია, შემდეგ კი, საღამოს ექვსიდან ღამის თორმეტამდე გვაქვს.

კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა და ეს მოსახლეობასთან შეხვედრისას არაერთხელ მითქვამს: ამ ერთი წლის განმავლობაში ენერგეტიკაში სიტუაცია არ გაუმჯობესდება, რადგან სახელმწიფო ჰესების რეაბილიტაციას იწყებს, მაგრამ ეს კეთდება იმისათვის, რომ წელიწადნახევარში რეგიონები ოცდაოთხი საათის განმავლობაში სრულად განათდეს. გავიჭირვოთ, წელს ელექტროენერგიის დეფიციტი გვექნება.

## მეღვინეობა

სერიოზულად ვაპირებ გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე მუშაობას. ქვედა რაჭაში ყურძნის ბიზნესია, მაგრამ რაჭველი გლეხი ფალსიფიკაციამ დაღუპა. დღეს ხვანჭკარას ყველა ასხამს, ვისაც არ ეზარება. ფალსიფიკაცია დიდი პრობლემაა მეღვინეებისთვის. ეს საკითხი პირველ რიგშია მოსაწესრიგებელი. ფალსიფიკაცია რეგიონს გარეთ ხდება, ამდენად, ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ, ამაზე მთავრობასთან ერთად ჩამოვყალიბდებით.

## ხე-ტყე

ვაპირებ, რომ ჩვენი რეგიონიდან მორების გატანა ავკრძალო. რეგიონიდან არც ერთი მორი არ გავა. ვინც ხე-ტყის ბიზნესითაა დაკავებული, კეთილი ინებოს და რეგიონში დარეგისტრირდეს, აქვე გადაამუშაოს მორი, შექმნას კარი, ფანჯარა და შემდეგ გაუკეთოს რეალიზაცია. ასე დამატებით სამუშაო ადგილებს შევქმნით და ადგილობრივი ბიუჯეტიც გაიზრდება.

## რაიონული ცეტრები

დღეს ამბროლაურის ცენტრში ვაგონები დგას, სადაც უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები ცხოვრობენ. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენ მათ საცხოვრებლით უზრუნველვყოფთ, ვაგონებს ავიღებთ და ქალაქს ნორმალურ იერ-სახეს დავუბრუნებთ.

დანგრეული შენობების რეკონსტრუქცია და შენობათა ფასადების შეღებვა-გალამაზება გვაქვს გეგმაში. პატარა ხელის შევლებაც კი, ისედაც ულამაზეს რაჭას კიდევ უფრო გაალამაზებს. არა, ეს შორეული პერსპექტივა არაა, წლევანდელი ამბავია. ამის საშუალებებს აუცილებლად მოვძებნი. გარდა ამისა, სკვერების გამართვას ვგეგმავთ. ყველა ქალაქში სუპერცენტრების აშენება გვინდა. ეს სამ-ოთხსართულიანი ევროპული შენობები იქნება, სადაც კინო, ინტერნეტ-კაფე, დისკოთეკები და ა.შ. განთავსდება. ვინ უნდა იცეკვოს? - იცით, რომ ოფიციალური მონაცემებით, ონის და ამბროლაურის რაიონში ზაფხულობით 100 ათასამდე დამსვენებელია? ჰოდა, ისინი იცეკვებენ.



*ოთარ სირაძე* *ამბროლაურში დაიბადა 1975 წელს და სკოლაც აქვე დაამთავრა. როგორც თავად ამბობს, რაჭიდან წასული და მერე უკან დაბრუნებული, ჯერჯერობით, არავინ უნახავს. "მე მგონი, მე პირველი ვარ, ვინც ამბროლაურში დავბრუნდები," – ხუმრობს ახალი რწმუნებული, რომელიც თბილისში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და რწმუნებულად დანიშვნა იმიტომაც გაუხარდა, რომ ამბროლაურში საკუთარ სახლში იცხოვრებს და ბინის ქირას არ გადაიხდის. რაჭველი, ლეჩხუმელი და სვანი მიგრანტების მშობლიური კუთხისკენ შემობრუნება ოთარ სირაძის რწმუნებულობის მთავარი პრიორიტეტი იქნება.*

## კულტურული ძეგლები

უახლოეს მომავალში ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეხვედრას ვგეგმავ. არ ვიცი, მათ რა საშუალება ექნებათ, მაგრამ რაჭაში უამრავი კულტურული, ისტორიული ძეგლია, რომლებიც მოვლას საჭიროებს. ამ ძეგლების რეკონსტრუქციას, ბუნებრივია, შესაძლებლობის მიხედვით, ადგილობრივ ბიუჯეტსაც მოვახმართ.

## სოფელი თლუღი და პარფიუმერული ბიზნესი

ამბროლაურის რაიონში არის სოფელი თლუღი. იქ მაღალი ხარისხის სოჭის გირჩები იზრდება. ეს სოფელი ამ გირჩებით მსოფლიო ბაზარს ამარაგებს. გირჩებს დანიური ფირმა ყიდულობს, რომელიც შემდეგ გირჩებს პარფიუმერიაში მოიხმარს. ეს არის სრულიად უკონტროლო ბიზნესი. ჩამოდიან სხვადასხვა ადგილზე რეგისტრირებული ფირმები, სხვადასხვა ადგილზე გადაამუშავებენ გირჩებს და საქართველოდან გააქვთ, რეალიზაციიდან კი სოლიდურ თანხას იღებენ. მოსახლეობა გირჩებს მინიმალურ ფასში, კილოს 50 თეთრად ყიდის. რაიონს და რეგიონს კი ამით საერთოდ არაფერი ხეირი არ აქვს. ამ ბიზნესმენებთან შეხვედრას ვაპირებ, რათა ეს საქმიანობა რეგიონის საკეთილდღეოდ შემოვაბრუნო.

## მიგრაცია

ჩვენი რეგიონის ძალიან დიდი და სამწუხარო პრობლემა მიგრაციაა. რაჭა დღეს დაბერებულია, ახალგაზრდები იქ აღარ რჩებიან. ძალიან მინდა, რაჭა ისეთ რეგიონად იქცეს, რომ მას ყველა გაქცეული შვილი დაუბრუნდეს.

## პრეზიდენტის პირველი დავალება

პრეზიდენტის პირველი დავალება იყო, მაქსიმალურად მქონდეს მოსახლეობასთან ურთიერთობა და რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ მათგან გავიგო.

პრეზიდენტს სურს, გამოცოცხლდეს ცხოვრება რეგიონში – გაიმართოს კინოფილმების ჩვენება, გაიხსნას ინტერნეტ-კაფეები, სხვადასხვა დასასვენებელი ადგილები.

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ რაჭის რეგიონში ახალგაზრდული ბანაკი შეიქმნება. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვლენ ახალგაზრდები და რაჭაში დაისვენებენ. ჩვენი ახალგაზრდები კი სხვა კუთხეებს ესტუმრებიან. გარდა ამისა, სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით, ჩვენ უკვე ვიწყებთ ყველა რაიონში მინი-სტადიონების აშენებას. ეს სპორტის დეპარტამენტს უშუალოდ პრეზიდენტისგან აქვს დავალებული.

## საკადრო ცვლილებები

ყველა რწმუნებული მუშაობას საკადრო ცვლილებებით იწყებს. თანამდებობიდან ათავისუფლებენ გამგებლებს, სამსახურების ხელმძღვანელებს. მე სხვაგვარად დავიწყე. ყველა გამგებელსა და სამსახურის ხელმძღვანელს თვე-ნახევრიანი პერიოდი მივეცი, რათა მათ შეძლონ იმის დემონსტრირება, თუ როგორ შეუძლიათ მუშაობა. საკადრო ცვლილებების განხორციელებისას, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შიდა რეიტინგული გამოკითხვები ჩატარდეს. მაინტერესებს თავად თანამშრომლების აზრი, ვინ უნდათ მათ ხელმძღვანელად, ვის ენდობიან.

## უკვე გაკეთდა

დიდთოვლობის გამო, ჩვენი რეგიონის მოსახლეობას საქონლისთვის საკვების მოძიება უჭირს. ამიტომ, ჩვენ 20 ტონა თივა ჩავიტანეთ, რაც მოსახლეობას ძალიან დაეხმარება. ეს ქვემო ქართლის რწმუნებულის საჩუქარია. ლენტეხის რაიონის სამი სოფელი მთლიანად მოწყვეტილია რეგიონს. იქ საკვების შეტანაც კი ვერ ხერხდება. ეს საკითხი პრემიერ-მინისტრთან გადავწყვიტეთ: გამოგვეყო თანხა ფქვილის, ზეთის, შაქრის, მაკარონის შესაძენად, რასაც უახლოეს დღეებში ლენტეხის სოფლებში ვერტმფრენით ჩავიტანთ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ნატო-ში საქართველოს ელჩი, შესაძლოა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე დავით სიხარულიძე გახდეს. როგორც "ინტერპრესს" სარწმუნო წყარომ აცნობა, დავით სიხარულიძის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე სახელისუფლებო წრეებში დიდი ხანია, განიხილება და მისი საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ნატო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი დავით დუნდუა გასულ კვირას, პარლამენტის თავმჯდომარის ბრიუსელში ვიზიტის დროს იქნა გამოწვეული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზურმა ხელისუფლებამ გალის რაიონის ქართულ სოფლებში შეიარაღებული დაჯგუფებები შეიყვანა. ექსპერტ პაატა დავითაიას განცხადებით, გალის ტერიტორიაზე შესულია ცნობილი ბოევიკის ვალმერ ბუთბას 25-კაციანი სადამსჯელო რაზმი, ასევე მობილიზებულია აფხაზური მილიციის 400-მდე წარმომადგენელი. დავითაიას ინფორმაციით, ამით აფხაზები სასაზღვრო პერიმეტრის გამაგრებას ცდილობენ. იგი არ გამორიცხავს, რომ ამ ქმედებას რეგიონის მოსახლეობის აწიოკება მოჰყვეს, რადგან "გალის რაიონში ბუთბას რაზმის ყოველი შესვლა მსხვერპლით მთავრდება". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილის მოსკოვს ეწვევა. იგი თავის კოლეგას, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს შეხვდება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევა ქართულ მხარეს ოფიციალურად უკვე გადაეცა; მოსალოდნელი ვიზიტის მთავარი თემა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და წესი იქნება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკელები" ქალაქ ბათუმის მერის თანამდებობაზე დავით ბერძენიშვილის კანდიდატურას წარადგენენ. როგორც პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მერს მოსახლეობა აირჩევს და პრეზიდენტის დანიშნული არ იქნება. ლევან ბერძენიშვილის თქმით, "რესპუბლიკელებს" საკუთარი კანდიდატურები მაჟორიტარულ ოლქებში შუალედურ არჩევნებზეც ეყოლებათ. კონკრეტულად კი, ბათუმის ოლქში, სავარაუდოდ, კენჭს იყრიან აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატები გია მასალკინი ან მურმან დუმბაძე.

"მთავარია, ხელისუფლებამ არჩევნები დანიშნოს, რისი ნიშნებიც ჯერჯერობით არ ჩანს," - აცხადებს პარლამენტარი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებისა და რეზერვისტების ფართომასშტაბიანი საშტაბო-სამეთაურო სწავლება დაიწყება. სწავლებაში არტილერია, ფლოტი, სატანკო ქვედანაყოფები და ავიაცია მიიღებს მონაწილეობას. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ფართომასშტაბიან სწავლებაში სულ 3000-3500 სამხედრო მოსამსახურისა და რეზერვისტის მონაწილეობაა დაგეგმილი. სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის სულთან სოსნალიევის განცხადებით, 18-21 აპრილისთვის დაგეგმილი გეგმიური სწავლება აფხაზეთის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას და სრულყოფას ისახავს მიზნად. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს კონსერვატორები" საპარლამენტო უმრავლესობაში მომზადებულ "საქართველოს პროფესიული კავშირების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევის შესახებ" კანონპროექტს აპროტესტებენ და მას ანტიკონსტიტუციურს უწოდებენ. როგორც "კონსერვატორები" აცხადებენ, წარმოდგენილი კანონპროექტით საქართველოში პროფესიული კავშირების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევა განხორციელდება, რაც თავისთავად, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. "საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. ამგვარ შემთხვევაშიც კი, საკუთრების ჩამორთმევა ჩამორთმეული ქონების სათანადო კომპენსაციით და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხორციელდება," - განმარტავენ "კონსერვატორები". **ინტერ-პრესი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### სამართლდება დღევანდელი ქართული მეტყველება

მოსამართლე: ქეთევან კორძახია

პროკურორები:

თამაზ ვასაძე, ლიტერატორი, მწერალი:
«ფაქტიურად ბრალდებულები ვართ ჩვენ, მთელი ქართული საზოგადოება, ვინაიდან, ჩვენი მეტყველება ადეკვატურად ირეკლავს ყველა ნაკლსა და ხარვეზს. ჩვენი მეტყველება ზუსტად ისეთია, როგორებიც ვართ ჩვენ, როგორიც არის ჩვენი აზროვნების კულტურა, ჩვენი მორალი, ურთიერთობების კულტურა.
ამიტომ, იმდენად სარკეს კი არ დავედებდი ბრალს, არამედ იმას, რაც სარკეში მოჩანს. გამოსავალია, საქართველო გახდეს ეთიკურად, ზნეობრივად უფრო ჯანსაღი და ენა აუცილებლად ამის ამრეკლავი გახდება. აუცილებლად გაჯანსაღდება.

ჟუანცა ჩხენკელი, ფილოლოგი, პედაგოგი
ენის ხარვეზები ყველაზე მეტად ბავშვებში ჩანს. ოჯახშიც და სკოლაშიც ბავშვებს არასწორი ქართული ესმით. თუმცა, დღეს განათლების სისტემა ცდილობს ისე შეადგინოს ქართული სახელმძღვანელოები, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს ლექსიკაზე. აღდგეს დაკარგული სიტყვები, ზმნა, საყოფაცხოვრებო ლექსიკა. ენა ცარიელი სიტყვები არ არის. ეს გარკვეული მენტალიტეტი, ცხოვრების წესია, ფასეულობებია. ამიტომ, მთავრობამ უნდა იზრუნოს, ებრძოლოს იმ თვისებების დანერგვისათვის, რაც მოქალაქეს უნდა გააჩნდეს.

ადვოკატი: ზაზა თვარაძე, მწერალი
ქართულად ლაპარაკი ქართულად ლაპარაკია და მეტი არაფერი! ენა ცოცხალი ორგანიზმია, ის თუ შენს ნებაზე გადააკეთე, ის მოკვდება.
მთავარი ამოცანაა მკვდარ ენაზე არ ილაპარაკო და არა ის, შემოვიტანოთ თუ არა უცხო სიტყვები.
ის სიტყვები, რომლებიც ენაში ბუნებრივად შემოდის, უნდა შემოვიდეს. ამაზე ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი წერდა.
დაივიწყეთ ზოგადი მოწოდებები: გავხდეთ უფრო კულტურულები! ვილაპარაკოთ უფრო სწორედ! ამით ენას არ ეშველება.
უნდა დასახელდეს კონკრეტული მიზეზები, შეიქმნას ისეთი პირობა, რომ იაზროვნო და ილაპარაკო ქართულად, ტრაფარეტებით კი არა.
რა სჭირდება ამას? სრული გულწრფელობა.
როცა შენი საქმე კარგად არ იციქდილობ მოიტყუო. ამიტომ მიღებულია კანკირებული ლაპარაკი. ეს უკულტურობის ბრალი არ არის, ეს იმის ბრალია, რომ პირდაპირ ლაპარაკს გაურბიან.
ენა გაიშლება, ამ ზრთია გაცვლა-გამოცვლა მოხდება. მაშინ ყალიბდება ენა, ქ რომელიღაც სიტყვა შერჩება, რომელიღაც გადავარდება.

ბრალდება: ქართული ენის სიკვდილი ქართველების სიკვდილის ბრალია.

ვერდიქტი: თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა (შვიდი ხმა ხუთის წინააღმდეგ) გადაწყვიტა, რომ ქართული ენის დამახინჯებაში დამნაშავეა თვითონ ქართველი ერი.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ვანო | (დამნაშავეა) | 5. | რობერტ ურუშაძე | (უდანაშაულოა) | 9. | გიორგი შანიძე | (დამნაშავეა) |
| 2. | ანონიმი | (უდანაშაულოა) | 6. | დოლორეს დავითულიანი | (უდანაშაულოა) | 10. | ნუკრი ფრანგიშვილი | (უდანაშაულოა) |
| 3. | ხუტა ირემაშვილი | (დამნაშავეა) | 7. | მაია ირემაძე | (დამნაშავეა) | 11. | ნანა მელაძე | (დამნაშავეა) |
| 4. | გრინკა ობოლაძე | (უდანაშაულოა) | 8. | უცნობი | (დამნაშავეა) | 12. | თინათინ გოშაძე | (დამნაშავეა) |

# ცალსახა შეფასება შეუძლებელია

პირველი გვერდიდან

გასული წლის ყველაზე საგანგაშო პრობლემად სოზარ სუბარი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს მიიჩნევს.

**"რეალურად, სასამართლოები იქცნენ პროკურატურის ნების განმხორციელებელ ორგანოებად, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების სფეროში: 2004 წელს თბილისის ხუთ რაიონულ სასამართლოში პროკურატურიდან შევიდა 1540 შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, საიდანაც 1280 დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრებული 931 საქმიდან მხოლოდ 68 დაკმაყოფილდა,"** - აღნიშნულია სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებაში.

ომბუდსმენი აცხადებს, რომ 2004 წელს ხშირად ირღვეოდა მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების კონსტიტუციური უფლება. სოზარ სუბარს მხედველობაში აქვს ის, რომ 11 იანვარს პოლიციამ სასტიკად დაარბია მიტინგები თერჯოლასა და რუსთავში, ხოლო 1 ივლისს სპეცდანიშნულების რაზმი თბილისის მერიის წინ განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა მიწისძვრით დაზარალებული მოქალაქეების მშვიდობიან მანიფესტაციას.

თავის ანგარიშში სახალხო დამცველი სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების საკითხსაც ეხება და მიიჩნევს, რომ პოზიტიურ ცვლილებებთან (კვების, ჩაცმულობის, აღჭურვის, საცხოვრებელი პირობების და ა.შ. გაუმჯობესება) ერთად, არმიაში კვლავ რჩება ძველი პრობლემები. კერძოდ, ეს არის ე.წ "დედოვშინის" ქართული ვარიანტი: "კარგი ბიჭების" მიერ სუსტების ჩაგვრა, კუთხური შუღლი და ოფიცრების მიერ ქვემდგომების დამცირება. ომბუდსმენის მოხსენებაში დეტალურად არის განხილული 2004 წლის დეკემბერში მომხდარი ინციდენტიც, როდესაც მუხროვანის ბრიგადა 71-მა ჯარისკაცმა მიატოვა.

ამასთან, ანგარიში შეიცავს რიგ რეკომენდაციებს, რომლის გათვალისწინებაც, სოზარ სუბარის აზრით, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს რეკომენდაციებია: სისხლის სამართლის კოდექსში ცნება "წამების" შეცვლა და მისი ჩამოყალიბება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად; გაეროს 2002 წლის წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება.

# 600 მილიონი დოლარი... ამერიკამდე

პირველი გვერდიდან

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასწაული მოხდა და ჩვენი გზების კეთილდღეობაზე ვიღაცამ იზრუნა, 4-6 წელიწადში ერთხელ მისი საფუძვლიანი შეკეთებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ იმ მდგომარეობამდე მივა, რა მდგომარეობაც დღესაა. პარალელურად, ყოველწლიურად 90-100 მილიონი დოლარის ღირებულების სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ქართველი მეგზევეების ოთხკაციან ჯგუფს გაუმართლა და ამერიკის შეერთებული შტატებში გზების დასათვალიერებლად წავიდნენ. საქმიანი სტაჟირების სპეციალური პროგრამის "საბიტის" ფარგლებში, ამერიკაში მყოფმა ქართველებმა საგზაო მშენებლობის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის გზების მშენებელი ამერიკული კომპანიების გამოცდილება, სტრატეგიული განვითარება, ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ხარისხის კონტროლის, ფინანსური მართვის ახალი მეთოდების გაცნობა-შესწავლა შეძლეს.

ქართულ და ამერიკულ გზებს შორის არსებული დიდი განსხვავების მიუხედავად, საქართველოს გზების "გულშემატკივრები" მიიჩნევენ, რომ ამერიკა ტექნიკის თვალსაზრისით გვისწრებს წინ, თორემ ქართული მხარის თეორიული ცოდნა ამერიკელი კოლეგების იდენტურია. **"უბრალოდ, ტექნიკაშია დიდი განსხვავება, თორემ მუშაობის პრინციპი ერთნაირია. რაც შეეხება ამერიკული მხარის ტექნიკას, მისი ღირებულება 300-დან 800 ათას ევრომდე მერყეობს. ჩვენი ტექნიკა კი, ჯერ კიდევ 15-16 წლის წინ, 100-120 ათასი მანეთი ღირდა,"** – გვითხრა ამერიკაში შპს "ლატექსის" დირექტორმა.

ქართველების გარდა, 18-კაციან ჯგუფში ბელორუსი, უკრაინელი, მოლდოველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეგზევეებიც იყვნენ. ამერიკული გზების შემხედვარე ქართველები, როგორც თავად გვითხრეს, თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა, საქართველოზე უკეთესი გზებით ვერც ერთი სტუმარი ვერ დაიკვეხნიდა. **"ამერიკის მხარის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ვნახეთ, თუ როგორ აგებენ ამერიკაში ასფალტს, რა პირობებში უხდებათ მუშაობა,"** – გვითხრა საგზაო დეპარტამენტის ფინანსური და ეკონომიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ შაქრო ხალვაშმა, რომელიც თვლის, რომ ამერიკაში ნანახი მეგზევეებისთვის სასარგებლო იყო, ხოლო საქართველოსთვის - სანატრელი.

ამერიკელები გზების შეკეთებაში, ქართველებისგან განსხვავებით, ყოველწლიურად 300 მილიარდ ევროს იხდიან. მართალია, იქაური გზების სიგრძე ქართულისას ბევრად აღემატება, მაგრამ ერთ კილომეტრზე გაწეული დანახარჯით თუ ვიმსჯელებთ, ისინი ჩვენზე 8-10-ჯერ მეტს ხარჯავენ.

ამერიკაში შრომის პირობებიც უკეთესია და ანაზღაურებაც. საგზაო სამუშაოზე დასაქმებულ, არაკვალიფიციურ ამერიკელ მუშას სახელმწიფო ყოველთვიურად 2 ათას დოლარს უხდის. მისი ქართველი კოლეგა კი მთავრობისგან 200 ლარს იღებს. თუმცა, ამერიკელებისგან განსხვავებით, საქართველოში გაცილებით მეტი რაოდენობის მიწის მუშაა, რადგან ამერიკაში მათ საქმეს უახლესი ტექნოლოგიის მანქანები აკეთებენ.

მაგალითისთვის, ამერიკელებმა 30 წლის წინ, 70-იან წლებში გათვალეს, რომ ქალაქ ბოსტონში, რომელიც ოკეანის სანაპიროზეა გაშენებული, მანქანების სავალ ნაწილს პრობლემა შეექმნებოდა და გასულ საუკუნეში პროექტიც შეიმუშავეს და მის განხორციელებასაც ჩაუყარეს საფუძველი. 1992 წელს დაწყებული 7 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტი წელს უნდა დასრულდეს, ისე, რომ არც მძღოლები და არც მოსახლეობა არანაირ დისკომფორტს არ იგრძნობს.

პრევენციული ზომების მიღება ჩვენთვის შორეული პერსპექტივაა, თუმცა, როგორც საქართველოს საგზაო დეპარტამენტში აცხადებენ, გარკვეული წინსვლა შეინიშნება: რამდენიმე წლის წინ თბილისიდან ბათუმში მგზავრობას თუ 12 საათს ვანდომებდით, ახლა ეს დრო 7 საათით შემცირდა.

# „სანამ მე საქართველოს პრეზიდენტი ვიქნები..."

პირველი გვერდიდან

**როგორც ვნახეთ, ჩვენი ტექნიკით კარგი გზის დაგება ჯერ არ შეგვიძლია. 15 წელიწადია, რაც საქართველოში გზები ევროპული სტანდარტებით, კაპიტალურად არ დაგებულა. მიმდინარე და მომავალი წლისთვის გზების რეაბილიტაციაზე ნახევარი მილიარდი დოლარის დახარჯვას ვგეგმავთ. ამ ფულის მოპოვება ჩვენ გაზრდილი ბიუჯეტიდან შევძელით,"** – განაცხადა გუშინ ბარათაშვილის ხიდთან მისულმა პრეზიდენტმა. მან თავად მოსინჯა იმ მანქანის საჭე, რომელმაც ამიერიდან გაუჩერებლად უნდა იმუშაოს.

ქალაქის მერიამ და ჰოლანდიურმა კომპანია "კავკასუს როუდ პროჯექტმა" გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულება მიმდინარე წლის 7 აპრილს გააფორმეს. ხელშეკრულება მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და აღმაშენებლის ხეივნის გზების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ქალაქის პრემიერის თემურ ქურხულის განცხადებით, "კავკასუს როუდ პროჯექტი" თბილისში სავარაუდოდ, 500 000 კვადრატული მეტრი გზის რეაბილიტაციას განახორციელებს. მისივე თქმით, პროექტი, სავარაუდოდ, 11 მილიონი ევრო დაჯდება.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ანა დოლიძემ საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც განაცხადა, რომ ქალაქის მერია თურქულ კომპანია "ნუროილს" ლობირებდა. ამ ფაქტს იგი თურქული კომპანიისთვის ტენდერის გარეშე 30 მილიონი ლარის გადაცემით ხსნიდა. დოლიძის თქმით, ასეთ ქმედებას საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს.

აღნიშნულ ბრალდებაზე თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ტარიელ ხიზანეიშვილმა "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, რომ მათი სამსახური აუცილებლად გამოაცხადებდა ტენდერს და შესაბამის კომპანიასაც მის მიხედვით შეარჩევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამჯერადაც, ჰოლანდიურ კომპანია "კავკასუს როუდ პროჯექტს" უპირატესობა ყოველგვარი ტენდერის გარეშე მიანიჭეს. ქალაქის მთავრობა ამ ფაქტს ფორს-მაჟორით ხსნის.

**"ამჟამად, 23 ქუჩის შესაკეთებლად გამოცხადებულია ტენდერი და მასში მონაწილეობას ქართული კომპანიები მიიღებენ. გამომდინარე იქიდან, რომ ბარათაშვილის აღმართსა და კიდევ რამდენიმე ქუჩაზე, მოძრაობის სიჩქარე სხვებთან შედარებით მაღალია, აქ ჰოლანდიური კომპანია აღდგენით სამუშაოებს ჩაატარებს. ფორს-მაჟორული სიტუაციის გამო, ამ მონაკვეთებზე ტენდერი არ გამოცხადებულა,"** – განაცხადა თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე მიიჩნევს, რომ მთავრობას მათ მიერ გამოვლენილი კანონდარღვევისთვის ყურადღება არ მიუქცევია და კვლავ უკანონო ქმედებას განაგრძობს.

**"თუკი ქალაქის მერია 30 მილიონი ლარის განკარგვას ერთ პირთან, ამ შემთხვევაშიმ თურქულ კომპანია "ნუროილთან" მოლაპარაკების საფუძველზე გეგმავდა, ახლა მხოლოდ ის შეიცვალა, რომ თურქული კომპანიის ნაცვლად, ამ სამუშაოებს ჰოლანდიური კომპანია "კავკასუს როუდ პროჯექტი" შეასრულებს. ეს ფაქტი უშუალოდ არღვევს კანონს, სადაც წერია, რომ ასეთი თანხების განკარგვისთვის საერთაშორისო ტენდერი უნდა გამოცხადდეს. როდესაც შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნები ირღვევა, ასეთ დროს აშკარა ხდება, რომ ამ ყველაფრის უკან კერძო მოხელეთა მერკანტილური ინტერესები დგას,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ანა დოლიძემ. მისივე თქმით, მერია ამბობს, რომ ქალაქში არის ფორსმაჟორული სიტუაცია, თუმცა მერიის მიერ მოყვანილი არგუმენტები დამაჯერებლობას მოკლებულია.

**"დედაქალაქში რომ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, ამაში მერიას ვეთანხმებით, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, სამი თვე მოვიცადოთ და მივიღოთ უკეთესი მომსახურება, რომელსაც კონკურსის საფუძველზე შერჩეული კომპანია შემოგვთავაზებს,"** – აცხადებს ანა დოლიძე.

კომპანია GMS
სამუშაოდ იწვევს
25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს სამედიცინო პროდუქციის მენეჯერის თანამდებობაზე.
მოთხოვნები:
- სამედიცინო განათლება;
- უცხო ენა;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

გთხოვთ მოგვაწოდოთ რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე.
ელ-ფოსტა: info@siesta.ge
ფაქსი: 32 02 91
დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ტელ: 53 72 18 15-17 საათამდე

# ტურიზმის განვითარების კონცეფცია თბილისურად

პირველი გვერდიდან

**საინტერესო კონცეფციაა. ნათლად არის წარმოდგენილი კულტურისა და ტურიზმის ურთიერთკავშირის პროცესი. ქალაქის მთავრობასთან ერთობლივი მუშაობის შემდეგ, ამ კონცეფციას საკრებულოს სხდომაზე გავიტანთ განსახილველად და შემდეგ, მის საფუძველზე, კონკრეტულ პროგრამასაც შევიმუშავებთ,"** – განგვიცხადა ინტერფრაქციული ჯგუფის კონსულტანტმა, ფრაქცია "მრეწველების" წევრმა რეზო აიწურაძემ. თუმცა, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ქალაქის მთავრობის გეგმები და პოზიცია საკრებულოს გეგმებს სულაც არ ეთანხმება.

გაგაცნობთ აღნიშნული კონცეფციის ძირითად პრინციპებს:

ისტორიის მუზეუმის ახალი ფუნქციით დატვირთვა და მისთვის ახალი მულტიკულტურული კონცეფციის შემუშავება;

თბილისური კულტურის კარტოგრაფია, კულტურული მარშრუტების შემუშავება;

თბილისური მიკროკლიმატის შენარჩუნება;

"თბილისობის" ახალი კონცეფციის შემუშავება;

უმცირესობათა გააქტიურება და თბილისური კულტურის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მათი კულტურული ცენტრების ჩაბმა;

სხვადასხვა მუზეუმებში არსებული, სოცრეალიზმის ნიმუშების გამოფენათა ციკლი, სტალინური არქიტექტურის კატალოგის შექმნა, სტალინური კულტურის მარშრუტის შემუშავება;

გარეუბნისა და თინეიჯერული კულტურის წარმოჩენა;

ქალაქის ინტელექტუალური ტრადიციის აღდგენა;

ქალაქის რეგიონულ კულტურულ ცენტრად გადაქცევა და მისი საერთაშორისო კულტურულ პროცესში ჩაბმა.

ქალაქის მთავრობას ეს ყველაფერი ძალზე ზოგად მოსაზრებებად მიაჩნია და არა კონცეფციად. **"ჯერ მთელი ქვეყნის ტურიზმის განვითარების კონცეფცია უნდა შემუშავდეს და მერე - ქალაქის. თანაც, ქალაქში ტურიზმის განვითარების კონცეფცია თბილისის გენერალურ და სტრატეგიული განვითარების გეგმების საფუძველზე უნდა მომზადდეს. ჩვენ ჯერ 2006 წლის ძირითად მიმართულებებზე ვმუშაობთ. სტრატეგიული განვითარების გეგმა კი ოქტომბრისთვის იქნება მზად. კულტურის გადარჩენის ფონდის მიერ შემუშავებული კონცეფცია ძალზე ზოგადია. იგი ძველი მთავრობის შეკვეთითაა მომზადებული. ჩვენ კი უფრო კონკრეტულ მიმართულებებს მოვითხოვთ,"** – აცხადებს მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის (ახალმა მთავრობამ ტურიზმის სამსახური ამ სამსახურში გააერთიანა) უფროსი არჩილ მესტვირიშვილი. მთავრობა ტურიზმის განვითარების კონცეფციის მომზადებას ქალაქის სტრატეგიული გეგმის პარალელურად, ანუ ოქტომბრამდე აპირებს.

აღნიშნული მიზეზების გამო, ორი კვირის წინათ, მთავრობამ საკრებულოს 10 დეკემბრის დადგენილების შესასრულებად ვადის გაგრძელება მოსთხოვა. თანაც, გენგეგმისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის ლოდინიც რომ არა, მთავრობას საკრებულოს 10 დეკემბრის დადგენილების დროულად შესრულება მაინც გაუჭირდებოდა. როგორც პრემიერი თემურ ქურხული აცხადებს, აღნიშნული დადგენილება საკრებულომ მთავრობას, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რამდენიმე კვირის წინათ გადაუგზავნა.

მართალია, კულტურის გადარჩენის ფონდს გაწეული შრომა ამაოდ მაინც არ ჩაუვლის, მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახური ამ კონცეფციაში მოცემული გარკვეული ინფორმაციის გამოყენებას აპირებს. თუმცა, ძირითადი საქმე, კონკრეტული მიმართულებები და არსებული მდგომარეობის ანალიზი მაინც თავიდან არის გასაკეთებელი. არადა, როგორც რეზო აიწურაძემ გვითხრა, აღნიშნულ კონცეფციაზე საბიუჯეტო თანხები დაიხარჯა. ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში ტურიზმის განვითარებისთვის გამოყოფილი 100 ათასიდან კონცეფციის შემუშავებას რა თანხა მოხმარდა, ვერავინ გვითხრა, მაგრამ ფაქტია, რომ იგივე საქმის გასაკეთებლად საბიუჯეტო თანხები ხელმეორედ დაიხარჯება.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრი უზბეკეთს ეწვია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ორდღიანი ვიზიტით უზბეკეთს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გათვალისწინებულია მოლაპარაკებები უზბეკეთის პრეზიდენტ ისლამ კარიმოვთან და პრემიერ-მინისტრ შავკატ მირზოევთან. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ეკონომიკური და სატრანსპორტო-სატრანზიტო სფეროებში თანამშრომლობის პერსპექტივები იქნება. პრეზიდენტთან მოლაპარაკებებისას განიხილება ასევე რეგიონში შექმნილი ვითარება და სუუამის ფარგლებში თანამშრომლობის საკითხები.

*მედიანიუსი*

# რუსული მხარე მოლაპარაკებების წარუმატებლობის მიზეზებზე საუბრობს

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მოლაპარაკებების წარუმატებლად დასრულების მთავარ მიზეზად ოფიციალური თბილისის მიერ წამოყენებულ დამატებით პირობებს ასახელებს. "მიუხედავად რუსეთის კონსტრუქციული მიდგომისა, ორდღიანი მოლაპარაკებებისას ვერ მოხერხდა მთავარ საკითხზე - რუსეთის ბაზების გაყვანის ვადებზე შეთანხმება. ეს კი ქართული მხარის მიზეზით მოხდა," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთ საკითხზე მოახერხეს შეთანხმება - მოლაპარაკებები მომავალშიც გაგრძელდება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 14 აპრილს დაიწყო. რუსულ მხარეს მოლაპარაკებებზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი წარმოადგენდა, ქართულს – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე.

*ინტერ-პრესი*

# დაუსრულებელი აბზაცები...

*სამშობლოს არავისთვის სცალია... ჩვენ უნდა გვეცალოს მისთვის...*
*სამშობლო არავის მომფერებელი არ არის, მასზე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ და ველოლიავოთ...*
*სამშობლოს არავინ ვჭირდებით... გვჭირდება ჩვენ, რომ ღირსება ბოლომდე შეგვრჩეს...*
*სამშობლოს ვალი არავისი აქვს... ჩვენ გვაქვს მისი მუდმივი ვალი – მუდარის გარეშე ცივ და მდუმარე უკუნეთიდან ქართველებად რომ გამოგვიხმო, აგვინთო მზე, ვარსკვლავებით მოგვიქარგა ღამეული ცა და გვაგრძნობინა საკუთარი მიწის გამაოგნებელი სურნელი...*
*სამშობლო უსაზღვროდ დიდსულოვანია – ყველას გვაძლევს უფლებას, მისთვის დავიწვათ და დავიდაგოთ და ამით, და მხოლოდ ამით, გავამართლოთ ღვთის წინაშე ჩვენი ცოდვილი წუთისოფელი...*

სანდრო მამასახლისი

**გაგრძელება,**
**დას. იხ. "24 საათი" №86**

ალბათ გახსოვთ ბოლშევიკების ლოზუნგი – "სოფელი ქალაქს უნდა დაეწიოს", ყველა სხვა ლოზუნგებისგან განსხვავებით ეს ლოზუნგი მართლა განხორციელდა, თანაც როგორ? სოფელი ქალაქს (თბილისს) არა მარტო დაეწია, არამედ ზურგზე შეახტა, ყელში მაგრად წაუჭირა, დააჩოქა და ამჟამად მას დიდი მონდომებით ახრჩობს... თუ სასწრაფოდ არ გავაზავეთ, ორივე დაგვეღუპება, ანუ უსამშობლოდ დავრჩებით...

დღეს თბილისის სიგრძე ლამის სამოცი კილომეტრია და მასში ქვეყნის ნახევარი ბინადრობს... აქაა სოფლის ყველაზე ენერგიული და დინამიკური ნაწილიც, რომელიც სტუდბილეთს ამოფარებული ან სავაჭრო დახლით მომარჯვებული ცდილობს, რეალურ შრომას განერიდოს...

თბილისი შენდებოდა თხუთმეტი საუკუნე... შენდებოდა დაფიქრებით, ტაატით... დროთა ვითარებაში ჩამოუყალიბდა განუმეორებელი იერსახე, ეთიკა, ტრადიციები...

ყველაზე ძნელბედობის ჟამსაც საქართველო იოლად ინახავდა თავის პატარა და კოხტა დედაქალაქს, რომელსაც დაგეგმარებით, არქიტექტიურის სტილისტიკით კავკასიაში ბადალი არა ჰყავდა, ხოლო ევროპელი სტუმრები პატარა პარიზსაც უწოდებდნენ... მაგრამ გასულ საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს მეორედ ანექსიის შედეგად, ოცდაათიან წლებში მტარვალთა ბელადის აბსურდულმა იდეებმა, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება უდიდესი მსხვერპლის გარეშე შეუძლებელია, და ამის მიუხედავად მაინც რომ განხორციელდა, დაინგრა სოფელი, მოისპო მეჭირნახულე გლეხისა და მასთან ერთად შრომის კულტი... და დაიწყო თბილისზე დემოგრაფიული თავდასხმა...

...ათიოდე წელიწადში გაქრა საბურთალოს საძოვრები, გლდანისა და ვარკეთილის უმშვენიერესი ბაღები, მუხიანისა და მუხათგვერდის ჭალები, მთლიანად გაიკაფა ე.წ. "სანზონა", გავერანდა ორთაჭალის ბარაქიანი ბაღები, უსახო შენობებით ჩაიხერგა მდინარე ვერეს ლამაზი ხეობა, ედემივით ლამაზ კრწანისსაც დაადგეს თვალი, აიშენეს რეზიდენციები, მთლიანად გაანადგურეს ვაკის ოდესღაც მომხიბლავი პეიზაჟი, ალიგავა მიწიდან ბაგები, წყნეთი, სადაც ამჟამად აგარაკომანიის, როგორც ფსიქიკური დაავადების, ახალი ფორმის მწვავე რეციდივია. ზოოპარკის ცხოველები გაყარეს და მათ ადგილას თავად დასახლდნენ...

და ამ, ჩვენს ეროვნულ უბედურებას ბოლო არ უჩანს...

ქალაქი სოფელთან შედარებით ათჯერ უფრო ხარჯიანია. ახლა წარმოიდგინეთ, რა გვიჯდება დღევანდელი გიგანტი თბილისი, რომლის სიგრძე, როგორც მოგახსენეთ, უკვე სამოც კილომეტრს აღწევს... დავუშვათ, ვართ ძალიან მდიდარნი და ხარჯი არ გვადარდებს – სოფლიდან ახალგაზრდობის ქალაქში გადმოსახლების პროცესი რომ ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანს, განა ძნელი მისახვედრია?! ის, ვინც სოფლის ტალახს გაექცა, ქალაქშიც ასე მოიქცევა, შეეცდება "სუფთა" საქმე იპოვოს... ბუნებრივია, ის ტალახიანი საქმე, რომელსაც სოფლიდან ჩამოსული განერიდა, ვიღაცამ აუცილებლად უნდა შეასრულოს... ყოფილ სოფლელს ხომ უნდა ყვავილნარი, სუფთა ასფალტი, კანალიზაცია, ლიფტი, გარეცხილი ავტობუსი, ელექტროენერგია და ა.შ. ჰოდა, დიდი სიამოვნებით ემსახურებიან რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები... მერე ნუ გაგვიკვირდება, თუ უმცირესობაში აღმოვჩნდებით – ვინც შრომას გაურბის, ის ვერ მრავლდება... შრომის ნაღდი საასპარეზო კი მხოლოდ სოფელია...

წარმოიდგინეთ მეურმე, რომელმაც კამეჩები ურემზე შეასკუპა, თავადაც ზედ შეხტა, აიღო იფნის სახრე და მიწაზე დაგდებული თავისი ურმის უღელ-ტაბიკებს რიხიანად უშტიალებს, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის – ჰამოოო, მაგრამ... ადგილიდან ვერ იძვრის... ვა... - ფიქრობს ჩვენი მეურმე, - ურემი არის, კამეჩი არი, მეცა ვარ, მაშ წინ რატომ ვერ მივდივარ...

განა ჩვენც ტუტუც მეურმესავით არ ვიქცევით – ქვეყნის ყველაზე ძლიერი გამწევი ძალა – ახალგაზრდობა მიწას გავარიდეთ, თბილისში შევყარეთ, ხოლო მიწაზე ბებრები დავიტოვეთ... შემოიარეთ მთელი საქართველო, ვერსად, სადაც ფიზიკური შრომაა საჭირო, ახალგაზრდობას ვერ ნახავთ... სამაგიეროდ, ბაზრობების დახლებთან, სადაც, ცხოვრების ლოგიკიდან გამომდინარე, უფრო ქალებისა და მოხუცი მამაკაცების ადგილია, დგანან ლიპიანი ჭაბუკები, მადიანად მიირთმევენ ფენოვან ხაჭაპურს და მუშტრის მოლოდინში, ან ბანქოთი ერთობიან, ან სულაც მეორე სკამზე ფეხებს შემოდებენ და ტკბილად თვლემენ...

ამოდენა თბილისს, რომელშიც უსაქმური საქმიანს ბევრად სჭარბობს, საქართველო, თავისი გაუკაცრიებელი ველ-მინდვრებით, ბებრების სოფლებით ველარ შეინახავს...

ათიოდე წელიწადი და სამშობლო გაგვიფრინდება... ჩვენი დაპყრობა დაეზარებათ, უბრალოდ, გვიყიდიან და მერე ისეთ დღეში ჩაგვაგდებენ, რომ გასული საუკუნის სისხლიანი ოციანი წლები ნეტარსახსენებელი გაგვიხდება...

■ ■ ■

თბილისში მასობრივი გადმოსახლება შეუმჩნეველი არ დარჩენილა... ამიტომაც წაგვიკიდეს ცეცხლი, ჩვენ მიერ ნებაყოფლობით მიტოვებულ მიწას პატრონი მოუძებნეს...

...ტყვიავში გაზრდილს, კარგად მახსოვს ცხინვალეთის ქართული სულიერება. ბიძაჩემი (დედის ძმა)



ლევან კეცხოველი სუფრას ისე არ გაშლიდა, ოსებიც რო არ დაეპატიჟა. ეს ტრადიცია იყო... მაგრამ სუფრა მაინც ყოველთვის ქართული იყო...

ბევრნი ვიყავით და იმიტომ!

...რაჭას მეწყერი შეუჩნდა...

თითქმის ყოველდღე მადლიანი მარჯვენით ნაშენი სახლი ინგრევა... შემზარავი სანახავია, მარტოობისგან გამწარებულის თვითმკვლელობას უფრო ჰგავს რაჭაში სახლის სიკვდილი... ჯერ შეტორტმანდება, მერე მწარედ ამოიოხრებს და მიწას დაენარცხება... მერე დიდხანს ისმის მარტო სულის სასოწარკვეთილი ყვირილი, რომელიც ძაღლის მწარე წკავწკავში გადადის და შემდეგ ქართან ერთად სადღაც იკარგება...

რაჭაში ბევრია დანგრეული სახლების ერთგული ძაღლები, რომლებსაც არც ოდესმე პატრონი უნახავთ და არც მისი ლუკმა ახსოვთ, მაგრამ ნასახლარს მაინც დარაჯობენ...

მიწას მეწყერისაგან მოვლილი ბაღის ფესვები იცავენ, სახლებს არსებობისათვის სითბო სჭირდებათ...

ვენაცვალე ოსებს, ნამუსიანი ხალხი ყოფილა, სხვა მათ ადგილას ასეთ სიახლოვეში რაჭას, დედამიწის ამ მარგალიტს, ასე სამარცხვინოდ მიტოვებულს და ამით დამცირებულს, რა ხანია აითვისებდა, აახმაურებდა იქაურობას...

ამიტომ სანამ გვიან არ არის, რაჭველებო, დაუბრუნდით თქვენს ძირებს, წმინდა საფლავებს, უტურფეს რაჭას, რომელიც თქვენს ლოდინში დაიქანცა... და დაიქცა...

- "შიდა" მიგრაცია ალბათ ამერიკაშიცაა, - გაიფიქრებს ზოგი მკითხველი...

დასავლეთში არსებულ მოვლენებთან ჩვენი სატკივარის შედარება, მით უმეტეს მათი გაიგივება არ შეიძლება... პრინციპში არ შეიძლება...

საბჭოური მკაცრი კანონები, ცხოვრების გაუკულმართებული წესი, მახინჯი ტრადიციები მოკლებულია საერთოსაკაცობრიო ზნეობრივ ფასეულობათა სულისკვეთებას და თავისუფალ სამყაროში არსებულ სოციალ-ფსიქოლოგიურ ვითარებასთან შედარება შეუძლებელია – საბჭოეთი და ქრისტიანული, ან თუნდაც მუსულმანური სამყარო ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია...

■ ■ ■

მორწმუნე მზარეული ერბოკვერცხს აუცილებლად დაბანილი ხელით დაგიმზადებთ, საბჭოელი – თუ კერძის მომლოდინე მეორე ოთახშია და ვერაფერს ხედავს, შეიძლება, არც დაიბანოს... მის სულში ნამუსის სანთელი ჩამქრალია...

■ ■ ■

ამერიკის შეერთებული შტატების "შიდა" მიგრაცია შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ ერთი მიზეზით - ფერმერის შრომის ფანტასტიკური ეფექტურობით... ერთი ამერიკელი "გლეხი" მოყვანილი მოსავლით გამოკვებავს მთელი წლის მანძილზე... 560 ადამიანს!

ნასაბჭოელ გლეხს კი ბარით და თოხით სამყოფი თავისთვისაც ვერ მოჰყავს, თუ შემორჩა, ცოლს ეძახის... და ორი ბებერი, იმის მაგივრად, რომ ცხოვრების მიწურულს მონაგარით ტკბებოდნენ, გვიან ღამემდე მიწას ჩიჩქრიან, ლუკმა-პურისთვის ეწვალებიან...

■ ■ ■

ამერიკის მასობრივი ინფორმაციის ყველა წყაროს ზეამოცანა შრომისა და კანონიერების კულტის განდიდებაა. ამიტომ იქ ფერმაში მუშაობისადმი ახალგაზრდობის სწრაფვა ისეთივე მძაფრი და მასობრივია, როგორც ჩვენთან ესტრადაზე ტინგიცობისადმი...

რიგითი ამერიკელის მენტალიტეტის გმირი მწყემსია – "კოვბოი", რომელიც მათი სულიერების, ისტორიის სიმბოლოცაა...

მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქვეყანა მენახირეს ეთაყვანება...

ჩვენთან სიტყვა "გლეხი", "სოფელი" გინების სინონიმებია...

და ამ გაგებით სად აღმოვჩნდით, თავად ხედავთ!

■ ■ ■

უკვე წელიწადია, რაც ტელევიზორი შევიძინე და ამ ხნის განმავლობაში სოფლის ცხოვრებაზე რიგიანი გადაცემა ვერ ვნახე, ხოლო რაც იყო, იყო ზერელე, ცივი, უხეირო ქართულის ფონზე მკვეთრად ჩანდა ის "ტყემლის ხე", რომელზედაც ავტორები ისხდნენ და "გოგრას" მიირთმევდნენ...

... ბაზრობებზე რა არ იყიდება... თავად ვნახე – მარტო პრეზერვატივების სამოცი სახეობა ჰქონდა გამყიდველს დახლზე ურცხვად გამოფენილი. იმავდროულად, მთელი საქართველო რო შემოიარო, ვერსად ნახავთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ბაზრობას...

სამაგიეროდ, უახლესი მოდელის ავტომობილი, რომელიც მისი დამამზადებლის ქვეყანაშიც ჯერ არ გაყიდულა, უკვე ჩვენთანაა...

■ ■ ■

... დიდი ზარ-ზეიმით თბილისის მესვეურებმა ტელევიზიის მეშვეობით გვაუწყეს – ხანგრძლივი სჯაბაასის შემდეგ თურმე გადაწყვიტეს, "აღადგინონ მეეზოვის ინსტიტუტი"... დიახ, არც მეტი და არც ნაკლები – ინსტიტუტი!

სისუფთავე გაახსენდათ...

საბჭოურ ყოფაში სანიტარიული სისუფთავე მაშინაც უაღრესად აქტუალური გახლდათ... თბილისში საგანგებო თეატრიც კი იყო... დიახ, ფრიად სპეციფიკური რეპერტუარით... წარმოდგენის ბოლოს, მაყურებელთა ტაშის გრიალში პიესის მთავარი გმირი გაჰყვიროდა – ხალხნო, ტანი დავიბანოთ, ტანი!

მას შემდეგ არაფერი შეცვლილა – სოფელში სამიოდე ოჯახს თუ აქვს შხაპი და შეუძლია ყოველდღე გასუფთავდეს... საპირფარეშო კი მთელ საქართველოში უმწვავესი დეფიციტია – თბილისიდან ბათუმში ისე ჩახვალთ, რომ "სულის მოსათქმელი" არსად შეგხვდებათ, სამაგიეროდ გზის პირი გავერანებულ-აყროლებულია...

... მაგრამ ჩემი სათქმელი მაინც სხვაა – იმ სატელევიზიო რეპორტაჟში, ქალაქის თავის გარდა, ყველა ღრმად მოხუცებული იყო... როცა ჩემი ხნის კაცმა წაიმატრაკვეცა – დახეთ, რა ყოჩაღი ვარო და დაავლო ხელი "სტალინის მერსედესს" (ცარიელ ურიკას), სიმძიმე ვერ სძლია და წაიქცა, უმალ მეორემ სცადა და წარმოიდგინეთ, ისიც წაიქცა... ბებრების ამ უმწეობამ ქალაქის ხელმძღვანელი ძალიანაც გაამხიარულა...

ურიკასთან ბებრების თავდაუზოგავი ჭიდილი მართლაც სასაცილო სანახავი იყო... სამოცდაათი წლის ბებერს რკინის ურიკას და ცოცხს რომ ჩასჩრი ხელში, თანაც დაავალებ, ყოველდღე 4 (ოთხი!) ათასი კვადრატული მეტრის ფართი დააწკრიალოს და ასეთი მძიმე შრომის საზღაურად შენი ხელფასის მეოცედს გაიმეტებ და ის, შტერი ბებერი, შენი დაწყევლის მაგიერ, ასი ლარით გახარებული, მზადაა ხელზე გაკოცოს, გამხიარულდები, აბა რა მოგივა...

ძალიან ვწუხვარ, რომ იმ რეპორტაჟის ავტორებმა ვერ დაინახეს ქვეყნის ნამდვილი სატკივარი, თუნდაც ის, რომ ახალგაზრდობა ასე უტიფრად გაურბის შრომას... არ შემხვედრია ახალგაზრდა მეასფალტე, გზის მშენებელი, მეეზოვე, მებოსტნე, მთოხნელი, შიკრიკი და ა.შ.

*გაგრძელება იქნება*

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიის საშ. სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

***ანაკლიის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ღუზა"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ღუზა"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელ ანაკლიის, სკოლის შენობა***
***საკონტაქტო პირი ირაკლი აბულაძე, სათემო კავშირი "ღუზა"-ს თავმჯდომარე***

***2005 წლის 21 აპრილიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით *1900* ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელ ანაკლიის, სკოლის შენობა***
***საკონტაქტო პირი ირაკლი აბულაძე, სათემო კავშირი "ღუზა"-ს თავმჯდომარე***
***2005 წლის 21 მაისის 12:00 საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს *12:00* საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79 ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილის საშ. სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

***გაჭედილის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "მეოხი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "მეოხი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, მარტვილის რაიონი, სოფელ გაჭედილის, სკოლის შენობა***
***საკონტაქტო პირი გივი ცაავა, სათემო კავშირი "მეოხი"-ს თავმჯდომარე***

***2005 წლის 19 აპრილიდან*** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით *1800* ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, მარტვილის რაიონი, სოფელ გაჭედილის, სკოლის შენობა***
***საკონტაქტო პირი გივი ცაავა, სათემო კავშირი "მეოხი"-ს თავმჯდომარე***
***2005 წლის 19 მაისის 14:00 საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს *14:00* საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79 ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის II პროექტისათვის (სსიფ II) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს ამ თანხის ნაწილით დააფინანსოს ***ქ. ხობის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.***

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა (სსიფ II) გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ქ. ხობის საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ხოპი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ხოპი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N185.*
*ქ. ხობის საკრებულო*
*საკონტაქტო პირი შალვა კალანდია, სათემო კავშირი "ხოპი"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 21 აპრილიდან* 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 700*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N185.*
*ქ. ხობის საკრებულო*
*საკონტაქტო პირი შალვა კალანდია, სათემო კავშირი "ხოპი"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 21 მაისის 15 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში მდ. ოჩხამურზე არსებული ხიდის სარეგულაციო ნაგებობების აღდგენა-რეაბლიტაციის სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

***ლესიჭინეს საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "ლესიჭინე-იმედი"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "ლესიჭინე-იმედი"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი,*
*სოფელ ლესიჭინეს, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი ზაურ ჯალაღონია, სათემო კავშირი "ლესიჭინე-იმედი"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 20 აპრილიდან* 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 400*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი*
*სოფელ ლესიჭინეს, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი ზაურ ჯალაღონია, სათემო კავშირი "ლესიჭინე-იმედი"-ს თავმჯდომარე*
*2005 წლის 20 მაისის 15:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***15:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში მდ. ხობისწყალზე და მდ. სკურჩაზე ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

***ხაბუმეს საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "კოლხა"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "კოლხა"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი,*
*სოფელ ხაბუმეს, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი გურამ არახამია, სათემო კავშირი "კოლხა"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 20 აპრილიდან* 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით ***2 600*** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

*საქართველო, ჩხოროწყუს რაიონი*
*სოფელ ხაბუმეს, გამგეობის შენობა*
*საკონტაქტო პირი გურამ არახამია, სათემო კავშირი "კოლხა"-ს თავმჯდომარე*

*2005 წლის 20 მაისის 13:00 საათამდე.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს ***13:00*** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# გაერო რეფორმების გარეშე ვერ გადარჩება



კონდოლიზა რაისი: გაერო რეფორმების გარეშე ვერ გადარჩება.

პრესასთან შეხვედრისას აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა გაერო-ს შესახებ "განსაკუთრებული ალტაცების" გარეშე ილაპარაკა და განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციას ძირეული რეფორმები სჭირდება. მართალია, რაისი უნივერსალური ორგანიზაციის შეფასებისას გაცილებით რბილი იყო, ვიდრე ბუშის მიერ ამ ორგანიზაციაში აშშ-ს წარმომადგენლად დანიშნული ჯონ ბოლტონი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სააგენტო "როიტერმა" აღნიშნა, რომ აშშ-ს მაღალი რანგის წარმომადგენლებიდან ჯერ არც ერთს არ ულაპარაკია გაერო-ზე ისე კრიტიკულად, როგორც "კონდის".

რაისი, ბუნებრივია, მხურვალედ უჭერს მხარს ბოლტონის კანდიდატურას, რომელიც გაერო-ს, დიდია ხანია, აკრიტიკებს და დემოკრატი-სენატორებისგან ძლიერ წინააღმდეგობას განიცდის. როგორც ჩანს, დემოკრატები შაბათს მისი კანდიდატურის წინააღმდეგ ერთხმად მისცემენ ხმას. შეგახსენებთ, აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტში ათი რესპუბლიკელი და რვა დემოკრატია. ბოლტონის "ჩასაძირად" ამ უკანასკნელებმა ერთი რესპუბლიკელი მაინც უნდა გადაიბირონ. "ლოს-ანჯელეს თაიმსი" აცხადებს, რომ დემოკრატებს ამჯერად რესპუბლიკელი-სენატორის ჩაკ ჰეიგელის იმედი აქვთ, რომელიც, დიდი ხანია, თავის ფრაქციაში დისიდენტად ითვლება - კერძოდ, ერაყთან ომის წინააღმდეგ საკმაოდ აქტიურად გამოდიოდა.

რაისის განცხადებით, გაეროში დღეისათვის სწორედ ბოლტონია საჭირო –ორგანიზაციამ საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქტორის როლი რომ შეინარჩუნოს, რეფორმები აუცილებელია. პრეტენზიების ჩამოთვლისას სახელმწიფო მდივანმა გაერო-ს პროგრამასთან, "ნავთობი სურსათის სანაცვლოდ", დაკავშირებული სკანდალი ახსენა, რამაც აშშ-ს თვალში კიდევ უფრო მეტად დააკნინა გაერო-ს რეპუტაცია. როგორც "კონდიმ" აღნიშნა, სხვა პრეტენზია "სამშვიდობოებთან პრობლემებს" ეხება - მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში მყოფ გაერო-ს სამშვიდობო კონტინგენტის წევრებს, რომლებსაც სექსუალური ძალადობის ფაქტებში ადანაშაულებენ. რაისის განცხადებით, გაერო-ს საორგანიზაციო სტრუქტურას, სამდივნოსა და მართვის სისტემას რეფორმირება სჭირდება. მარტში გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა რეფორმების საკუთარი პროგრამა წამოაყენა, მაგრამ აშშ-ში ერთსულოვანი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

კოფი ანანმა, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს ერაყული ნავთობის კონტრაბანდასთან დაკავშირებით, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს "დაუდევრობაშიც" დასდო ბრალი, რითაც თავის მიმართ კიდევ უფრო უარყოფითად განაწყო გაერო-ს ამერიკელი თუ ბრიტანელი კრიტიკოსები, რომლებმაც მის პრეტენზიებს შეთითხნილი უწოდეს.

*ბი ბი სი*

# ჩინეთ-იაპონიის დაძაბული ურთიერთობები

## საგარეო უწყების მეთაურთა შეხვედრამ ვერ შეანელა



კომუნისტური ჩინეთისათვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა ისეთი მასშტაბების დემონსტრაციები, როგორსაც ამ ქვეყანაში აპრილის დასაწყისიდან აქვს ადგილი. საპროტესტო დემონსტრაციები იაპონიის მიერ ისტორიის განახლებული სახელმძღვანელოების გამოცემამ გამოიწვია, რომლებშიც, ჩინელთა მტკიცებით, ისტორიული ფაქტები დამახინჯებულია - კერძოდ, ავტორები ომის დროს იაპონელთა მიერ ჩადენილ სასტიკ დანაშაულებს ამსუბუქებენ. თუმცა, საგანმანათლებლო სფეროს გარშემო ატეხილ აურზაურს მალე პრობლემის სხვა კუთხით გამრავალფეროვნებაც მოჰყვა. იაპონიამ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში გაზის მოპოვებაზე, რომელზეც პრეტენზიას ჩინეთიც აცხადებს, ლიცენზიის განაწილებისთვის მოქმედება დაიწყო. აღნიშნულ რაიონში გაზის მოპოვებაზე ლიცენზიის მსურველი რამდენიმე კომპანიის განცხადების განხილვა იაპონიის ხელისუფლებას უკვე დაწყებულიც აქვს. იაპონიის თქმით, მისი ამგვარი გადაწყვეტილება ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების გარშემო გაჩაღებულ კონფლიქტთან არავითარ კავშირში არაა. იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიშირო კოიძუმის განცხადებით, ლიცენზიის განაწილების გადაწყვეტილების მიზანია "კონფრონტაციის ზღვის თანამშრომლობის ზღვად" გადაქცევა; ჩინეთი კი ზემოხსენებულ რაიონში ნავთობისა და გაზის მოპოვებას იაპონიის მხრიდან "პროვოკაციასა და საერთაშორისო ნორმების დარღვევას" უწოდებს. როგორც ცნობილია, ჩინეთიცა და იაპონიაც დიდად არიან დამოკიდებულნი ენერგიის იმპორტზე. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ორივე მხარე საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დამატებით გზებს ეძებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინელთა გაღიზიანებას სიმწვავე შემატა გაერო-ს უშიშროების საბჭოში იაპონიის მუდმივ წევრად მიღების პესრპექტივამაც.

ერთი სიტყვით, იაპონიის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციები ჩინეთში 1999 წლის შემდეგ ყველაზე მასშტაბური აღმოჩნდა.

დაძაბულობის შენელების მიზნით, ჩინეთში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნობუტაკა მაჰიმურამ გადაწყვიტა ჩასვლა. მიუხედავად იმისა, რომ პარასკევს ჩინეთის ხელისუფლებამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ჩინეთის მოქალაქეებს სთხოვდნენ, თავი შეეკავებინათ არასანქცირებული აქციების გამართვისგან, მინისტრის ვიზიტის დროს დემონსტრაციები ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში მაინც გაიმართა. იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტამდე ორი დღით ადრე ერთმანეთს ჩინელი და იაპონელი დიპლომატებიც შეხვდნენ და უკვე 17 აპრილს, კვირას პეკინს ნობუტაკა მატიმურაც ეწვია. იმავე დღეს ქალაქ შენიანში იაპონიის საკონსულოსთან, დაახლოებით, 1 000-მდე დემონსტრანტმა კიდევ ერთი საპროტესტო მიტინგი გამართა. მათ საკონსულოს შენობაში შეჭრაც სცადეს, თუმცა - უშედეგოდ. აქცია, თითქმის, 2 საათის მანძილზე გრძელდებოდა. საპროტესტო აქციები გაიმართა ჩინეთის სამხრეთ ნაწილში, რომლებშიც, ასევე, ათასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

ბი ბი სი-ს თანახმად, აქციათა მასშტაბებიდან გამომდინარე, ანტიიაპონური დემონსტრაციების წინააღმდეგი არც ოფიციალური პეკინი უნდა ყოფილიყო. სამკვირიანი დემონსტრაციების ბოლოს ყველაზე მრავალრიცხოვანი აქცია შანხაიში გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 000-ზე მეტი ადამიანი.

საპროტესტო აქცია კვირას ჰონკონგშიც მიმდინარეობდა ვიქტორიას მოედანზე, სადაც მომიტინგეებმა იაპონიის ხელისუფლებას მოუწოდეს ისტორიასთან მიმართებაში თავისი პოზიციების გადახედვისკენ. **"არ შეიძლება ისტორიის გაკვეთილების დავიწყება, რათა მომავალშიც იგივე შეცდომები და დანაშაულებები არ განმეორდეს,"** - აღნიშნა აქციაში მონაწილე სტუდენტური კავშირის წარმომადგენელმა. შეუძლებელი აღმოჩნდა დემონსტრანტებს შორის შეტაკებების თავიდან აცილებაც. მაშინ, როდესაც რამდენიმე სტუდენტმა გაშალა პლაკატი წარწერით – "არ დავივიწყოთ ტიანმინის მოედანზე განვითარებული მოვლენები", ზოგიერთმა მისი ჩამოგლეჯა სცადა, რასაც ხანმოკლე დაპირისპირება მოჰყვა.

ერთი სიტყვით, ორივე ქვეყნის საგარეო უწყების ხელმძღვანელთა შეხვედრა დემონსტრაციების ფონზე შედგა. იაპონიის მხარემ გააკრიტიკა ჩინეთის ხელისუფლება, იმის გამო, რომ მათ დაუშვეს ამგვარი მასობრივი დემონსტრაციების გამართვა ქვეყანაში. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი ჩჟაოსინმა კი მიუგო, რომ ჩინეთის ხელისუფლებას არ გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, რომლის გამოც, მას შეიძლება ბოდიში ჰქონდეს მოსახდელი იაპონელ ხალხთან. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ნობუტაკა მატიმურას თქმით, ისინი ჩინური მხარისაგან აუცილებლად მოითხოვენ დემონსტრანტთა მიერ იაპონიის საკონსულოს შენობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

*24 საათი*

# დიდი შვიდეული ნავთობის მაღალი ფასების წინააღმდეგ

*შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის მთავარი ფინანსისტები 2005 წელს მსოფლიო ეკონომიკას "სოლიდურ ზრდას" უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, ნავთობის მაღალი ფასები და გლობალური არასტაბილურობა კვლავაც საფრთხედ რჩება. შენელებულმა ზრდის ტემპმა კი, შესაძლოა, უკიდურესად ღარიბი ქვეყნებისადმი დახმარების, თითქოს-და, უკვე გადაწყვეტილი საკითხის უსწრაფესი მოგვარებაც ეჭვქვეშ დააყენოს. განვითარებული ქვეყნები ვერ თანხმდებიან, "აფრიკის გადასარჩენად" წარმოდგენილი გეგმებიდან რომელი აირჩიონ.*



ნავთობის "შემაშფოთებელი" ფასების საკითხი დიდი შვიდეულის ფინანსისტების შეხვედრაზე მთავარ თემად იქცა.

გასულ უქმეებზე ვაშინგტონში განვითარებული სამყაროს შვიდი უმდიდრესი ქვეყნის ფინანსთა მინისტრები და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას ცდილობდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, მდიდარი ქვეყნები ნავთობის არასტაბილურ ფასებს საფრთხედ აღიქვამენ, მაგრამ კვალავაც იმედიანად არიან განწყობილი ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. თუმცა, ღარიბი ქვეყნების დახმარებას რაც შეეხება, ერთიანი მოსაზრება არ არსებობს - შეთანხმება აფრიკის სახელმწიფოებისთვის ვალების ჩამოწერაზე კვლავაც მიუღწეველია.

"თებერვალში შეხვედრის შემდეგ, მართალია, გლობალური ეკონომიკის ზრდის მასშტაბები შენელდა, მაგრამ ის კვლავაც მაღალია და, პროგნოზების თანახმად, 2005 წელი სოლიდური ზრდით იქნება აღნიშნული", - ნათქვამია შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაში.

თუმცა, სავარაუდოდ, გლობალური ეკონომიკა კატაკლიზმებისგან, ჯერჯერობით, დაზღვეული არ არის. "ვფიქრობ, უნდა ვაღიაროთ, რომ ნავთობის ფასების ცვალებადობამ და, განსაკუთრებით, უკანასკნელ თვეებში დაფიქსირებულმა მაღალმა მაჩვენებლებმა, შესაძლოა, დამანგრეველი ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე", - ამბობს დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი და, ამავდროულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კომიტეტის მოქმედი თავმჯდომარე გორდონ ბრაუნი.

აღსანიშნავია, რომ 2005 წელი აფრიკისთვისაც გარდატეხის წელი იქნება. გასულ წელს გამოცხადდა, რომ განვითარებული ქვეყნები ყველაზე ღარიბ სახელმწიფოებს (უმრავლესობა სწორედ აფრიკაში მდებარეობს) ვალებს ჩამოაწერდნენ. ახლაც ვარაუდობდნენ, რომ, ამ თვალსაზრისით, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმებოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, დახმარების ფორმების შესახებ საერთო აზრი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ბრიტანეთის წინადადებას - სავალუტო ფონდის რეზერვებიდან აფრიკის ქვეყნების ვალების დასაფარად ოქროს ნაწილის გაყიდვის თაობაზე - მოულოდნელად, აშშ შეეწინააღმდეგა.

ასე რომ, ეს საკითხი ისევ გადაიდო; გორდონ ბრაუნის თქმით - ივლისამდე. ივლისში შოტლანდიაში კიდევ ერთი შეხვედრაა დაგეგმილი, სადაც აფრიკის ვალებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. საგულისხმოა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში უკვე რუსეთიც მიიღებს მონაწილეობას, რადგანაც ეს სამიტი "დიდი რვიანის" ფარგლებში ჩატარდება.

# ევროკავშირი ისლამისტებთან მოლაპარაკებისთვის ემზადება

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კომისარი ხავიერ სოლანა და ლუქსემბურგის წარმომადგენლები (ქვეყანა, რომელიც ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეა) ისლამისტური ორგანიზაციებისადმი ევროკავშირის დამოკიდებულების კარდინალურად შეცვლისა და მათთან მოლაპარაკების დაწყების წინადადებით გამოვიდნენ. ეს წინადადება შესულია დოკუმენტში, რომელიც ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე წარადგინეს. "წარსულში ევროკავშირი არაბული სამოქალაქო საზოგადოების მაღალ ფენასთან, ინტელიგენციასთან საქმის დაჭერას ანიჭებდა უპირატესობას - წარმომადგენლობითი ისლამური ორგანიზაციების საზიანოდ. ხომ არ დადგა დრო, რომ ამ ქვეყნების "რწმენაზე დაფუძნებულ" ისლამურ სამოქალაქო საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო კონტაქტი დავამყაროთ"?! - ნათქვამია დოკუმენტში. ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი პირების შეხვედრა არაბულ ქვეყნებში დემოკრატიული მოძრაობების განსამტკიცებლად მიღებულ ზომებს მიეძღვნა. სოლანას მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ ამ ქვეყანაში რეფორმები მიმდინარეობს და ოპოზიციური ორგანიზაციები ჩნდებიან. დოკუმენტის ავტორები სვამენ კითხვას - რა შეუძლია გააკეთოს ევროკავშირმა, რათა არაბულ ქვეყნებში ზომიერი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება გახდეს შესაძლებელი და ავტორიტარული რეჟიმები ძალაუფლების ნაწილს შეელიონ. როგორც "როიტერი" აღნიშნავს, ისლამისტურ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებმა, შესაძლოა, ისრაელთან და არაბული ქვეყნების დღევანდელ ხელმძღვანელობასთან ევროკავშირის კონფლიქტი გამოიწვიოს. კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, შეიძლება, ევროკავშირის სხვადასხვა დაჯგუფებასთან ურთიერთობა გახდეს. მაგალითისთვის, ევროკავშირმა ტერორისტული ორგანიზაციების სიაში პალესტინური დაჯგუფება "ჰამასი" შეიყვანა, ლიბანური მოძრაობა "ჰიზბალა" კი ტერორისტულ ორგანიზაციად არ აღიარა. არადა, ისრაელის ხელისუფლება "ჰიზბალას" ტერაქტებში უშუალო მონაწილეობაში ადანაშაულებს.

*როიტერი*

# გაერო-ს კომისიამ უზბეკეთისგან განმარტება მოითხოვა

"გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიამ უზბეკეთის ხელისუფლებისგან ამ ქვეყნის მოქალაქის დასჯასთან დაკავშირებით განმარტება მოითხოვა, რომელიც კომისიის მიერ მისი საქმის განხილვის დამთავრებამდე მოხდა", - ნათქვამია გაერო-ს კომისიის საიტზე გამოქვეყნებულ სპეციალურ პრესრელიზში. უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისამართით სპეციალური მიმართვა გაიგზავნა, რომელშიც გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ კრისტინ შანემ "უკიდურესი შეშფოთება გამოხატა და განმარტების მიწოდება მოითხოვა" უზბეკეთის სამხედრო სასამართლოს მიერ ახრორხუჟ ტოლიპხუჟაევისათვის გამოტანილი განაჩენის სისრულეში მოყვანასთან დაკავშირებით. მიმართვაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ აღნიშნული პიროვნების სიკვდილით დასჯა საიდუმლო ვითარებაში მოხდა; დაირღვა კომისიის მოთხოვნა ამ მოქალაქისათვის მისი საქმის განხილვის პერიოდში დროებითი დაცვის მინიჭების შესახებ.

უზბეკეთის სამხედრო სასამართლომ ტოლიპხუჟაევს 2004 წლის 19 თებერვალს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. იმავე წლის მაისში, მისი საქმე გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიას გადაეცა განსახილველად, რომელმაც უზბეკეთის ხელისუფლებას ბრალდებულისათვის დროებითი დაცვის მინიჭების შესახებ მოთხოვნა გაუგზავნა. თუმცა, 2005 წლის 7 აპრილს კომისიამ ინფორმაცია მიიღო, რომ ტოლიპხუჟაევის სასიკვდილო განაჩენი სისრულეში 2005 წლის მარტში მოიყვანეს. წერილში კრისტინ შანე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევა ერთადერთი არ არის - უზბეკეთის ხელისუფლებას მანამდეც დაუსჯია მისი ქვეყნის მოქალაქეები, რომელთა საქმეებს გაერო-ს კომისია განიხილავდა.

*24 საათი*

# ეკვადორი: პრეზიდენტმა კაპიტულაცია გამოაცხადა

ეკვადორში მიმდინარე ოპოზიციის საპროტესტო აქციები წარმატებით დასრულდა. ქვეყნის პრეზიდენტმა ლუსიო გუტიერესმა სახელმწიფოს დედაქალაქ კიტოში საგანგებო ვითარების შემოღების შესახებ თავისი ბრძანება გააუქმა. საგანგებო მდგომარეობა რამდენიმე დღის წინ იქნა შემოღებული, ოპოზიციის მიერ ორგანიზებული ანტისაპრეზიდენტო მანიფესტაციის საპასუხოდ. კიტოს ქუჩებში უკანასკნელ დღეებში ათობით ათასი ადამიანი გამოვიდა, რომლებიც სკანდირებდნენ, - "ძირს ლუსიო!" მსგავსი გამოსვლებისა და უკმაყოფილების საფუძველი დეკემბერში გაჩნდა, როდესაც პრეზიდენტმა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის შეცვლა გადაწყვიტა, რამაც ოპოზიციას აფიქრებინა, რომ გუტიერესი მართლმსაჯულების საკუთარ ხელში ჩაგდებას ცდილობს. მას შემდეგ ეკვადორში პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოსვლები არ წყდება. ერისადმი ტელემიმართვაში გუტიერესმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ბოლო 4 თვის მანძილზე მეორედ დაშალა უზენაესი სასამართლო. ოპოზიციამ ამ გადაწყვეტილებას ანტიკონსტიტუციური უწოდა, ხოლო პრეზიდენტს – დიქტატორი. მოვლენების განვითარებით შეშფოთებულმა პარლამენტმა საგანგებო სესიაზე შეკრება გადაწყვიტა. ეკვადორის მეზობელმა ქვეყნებმაც შეშფოთება გამოხატეს. ევროკავშირმა კი ეკვადორის ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძებნისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში დაბრუნებისკენ.

*ევრონიუსი*

# მუშარაფმა და სინგხმა მოლაპარაკება დაასრულეს

პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მანმოჰან სინგხმა ინდოეთის დედაქალაქ დელიში სამშვიდობო მოლაპარაკებები დაასრულეს. ლიდერები ორი საათის განმავლობაში განიხილავდნენ ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს ისეთ ვითარებაში, რომელსაც ჩინოვნიკები "ძალზედ თბილს" უწოდებენ. მხარეებმა ყველა სადავო საკითხის გადაჭრის აუცილებლობის შესახებ გამოთქვეს მოსაზრება; განსაკუთრებით კი - ქაშმირის გარშემო არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ორი ქვეყნის მაღალი რანგის წარმომადგენლებიც - თავდაცვის, საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების ჩათვლით.

მოლაპარაკების დაწყებამდე პაკისტანისა და ინდოეთის ლიდერები კრიკეტის სტადიონს ესტუმრნენ, სადაც ორი ქვეყნის ეროვნული ნაკრების შეხვედრა გაიმართა. როდესაც პრეზიდენტი მუშარაფი, პრემიერ-მინისტრი სინგხის თანხლებით, კრიკეტის სტადიონის მინდორზე გამოჩნდა, მატჩზე დამსწრე 25 ათასივე გულშემატკივარი მას თბილად შეხვდა.

დელი პაკისტანის პრეზიდენტის მშობლიური ქალაქია და მას გულწრფელად უხაროდა ასეთი თბილი დახვედრა. ინდოეთში მუშარაფის ვიზიტი, ქაშმირში სადემარკაციო ხაზის გავლით, ავტობუსის მიმოსვლის აღდგენიდან ერთ კვირაში შედგა – ათი წლის მანძილზე ეს ყველაზე სამშვიდობო და მნიშვნელოვანი ჟესტი იყო. მართალია, ამ ვიზიტის დროს, რომელსაც ჟურნალისტებმა "კრიკეტის ვიზიტი" შეარქვეს, რაიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილება არ მიუღიათ, მაგრამ კომპრომისული სულისკვეთება აშკარად შეინიშნება. მსგავსი რამ ნახევარსაუკუნოვანი ურთიერთუნდობლობისა და მტრობის ხანაში იშვიათად იგრძნობოდა ინდოეთის ნახევარკუნძულზე. მანამდე მუშარაფი ინდოეთში ჩავიდა 2001 წელს სამიტის დროს, რომელიც მოლაპარაკებითი პროცესის ჩაშლით დასრულდა. მუშარაფი ინდოეთიდან ფილიპინებზე გაემგზავრა.

*ბი ბი სი*

## ორი სიტყვით

**უკრაინა.** პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო აცხადებს, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სტატუსის საკითხის გადასაწყვეტად ორმა ქვეყანამ ურთიერთმისაღები გზა უნდა გამონახოს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რამდენიმეწლიანი დისკუსიის შედეგად, რუსეთმა და უკრაინამ გაიყვეს შავი ზღვის ფლოტი. რუსეთს ნება დაერთო, იჯარით ექირავებინა სამხედრო-საზღვაო ბაზა უკრაინის შავი ზღვის პორტ სევასტოპოლში. თუმცა, უკრაინის საგარეო უწყება აცხადებს, რომ სევასტოპოლის ბაზის იჯარა რუსეთს აღარ გაუგრძელდება.

შეგახსენებთ, მოქმედი ხელშეკრულება 2017 წელს იწურება. ვიქტორ იუშენკო აცხადებს, რომ ახალ დოკუმენტებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სტატუსზე ხელი მოეწერება მიმდინარე წლის დასასრულს, მაგრამ ეს არ გადაჭრის ყველა პრობლემას. "თუკი ჩვენ მეგობრები ვართ, შევხედოთ ერთმანეთს თვალებში და ვაღიაროთ, რომ ეს შესაცვლელია," - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა რუსეთის ხელისუფლების საყურადღებოდ. **24 საათი**

■ ■ ■

**ევროკავშირი.** ევროკავშირის წარმომადგენლების განცხადებით, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) კრიზისმა მოიცვა, რუსეთის მცდელობის გამო, შეზღუდოს ეუთო-ს საქმიანობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე-ქვეყნის – ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრის ჟან ასელბორნის თქმით, ევროკავშირი არ იზიარებს ამ საკითხში რუსეთის მოსაზრებებს. ხოლო ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, ბენიტა ფერერო-ვალდნერმა შაბათს ლუქსემბურგში, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო უწყების ხელმძღვანელების შეკრებაზე აღნიშნა: "მართლაც, არის კრიზისი და ამიტომ ვფიქრობ, ეუთო-ს თავისი ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი დაუდგა. უნდა ვნახოთ, რა ზომების მიღებაა შესაძლებელი". ოფიციალურ პირთა განცხადებით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა აპირებს, წერილობით აუწყოს რუსეთის პრეზიდენტს, რომ ეუთო-ს გარშემო დავამ, შესაძლოა, ევროკავშირთან რუსეთის ურთიერთობას ავნოს. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ავსტრია.** ავსტრიელი პოლიტიკოსი იორგ ჰაიდერი ახალი პოლიტიკური პარტიის ლიდერად აირჩიეს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ავსტრიის მმართველი კოალიციის სიმყარეს. ახალი ალიანსი, რომლის ლიდერადაც ჰაიდერი ერთხმად აირჩიეს, ეწოდება "ალიანსი ავსტრიის მომავლისთვის" და "თავისუფლების პარტიის" განდგომილ ნაწილს წარმოადგენს. "თავისუფლების პარტია" კი, რომელიც თავის დროზე სწორედ ჰაიდერმა დააარსა, ახლანდელი სახელისუფლებო კოალიციის წევრია. ჰაიდერმა ულტრა-მემარჯვენეებთან დაპირისპირების გამო დატოვა ეს პარტია. საგულისხმოა, რომ ახალ ალიანსში გაერთიანდა "თავისუფლების პარტიის" ყველა მინისტრი, რომელიც დღეს ავსტრიის მთავრობის წევრია. **რადიო თავისუფლება**

ინდოეთი 2005

ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა

20-24 აპრილი 2005 წელი.
11:00 -19:00 საათი

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. 20, თბილისი, 0103, საქართველო
ტელ: 77 20 20

ორგანიზატორები:

ინდოეთის სამრეწველო კონფერენცია
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ინდოეთის საელჩო

სექტორები: ფარმაცევტიკა, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობები, სამომხმარებლო ელექტროსაქონელი, ელექტრო მოწყობილობები

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები

შესვლა თავისუფალია

# ხელისუფლება ფქვილის იმპორტზე შეზღუდვებს აწესებს

## გაჩერებული წისქვილკომბინატების მფლობელებს ამუშავების იმედი გაუჩნდათ

*საქართველოში მოქმედმა რამდენიმე წისქვილ კომბინატმა ფუნქციონირება შეწყვიტა. დარჩენილების დიდი ნაწილი არასრული დატვირთვით მუშაობს. პურ-პროდუქტების მწარმოებლები ხელისუფლებისგან შველას ითხოვენ. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი გუშინ პრემიერმა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა იაფფასიანი იმპორტირებული ფქვილის შეზღუდვით მოძებნეს, რაც, ექსპერტების ვარაუდით, ქვეყანაში კონტრაბანდის მასშტაბების მნიშვნელოვან გაზრდას გამოიწვევს.*

ეთერ მამულაშვილი

უკანასკნელი რამდენიმე თვეა, რაც პურ-პროდუქტების მწარმოებლები სხვადასხვა მეთოდებით ხელისუფლების ყურადღების მიქცევას ცდილობენ. მართალია, მთელი ამ დროის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მინისტრი მათ არაერთხელ შეხვდა, თუმცა ყოველი შეხვედრა კონკრეტული გადაწყვეტილებისა და შედეგის გარეშე სრულდებოდა.

ამასობაში კი, საქართველოს ბაზარი საზღვარგარეთიდან შემოტანილი იაფფასიანი და დაბალხარისხიანი ფქვილით ჯერდებოდა და, ამის პარალელურად, კონტრაბანდაც იოლად აღწევდა ქვეყნის ფარგლებში. შედეგიც სახეზეა: ადგილობრივი წარმოების ფქვილს ბაზარზე დღეს უკვე მხოლოდ 20 პროცენტზე ნაკლები უკავია, 80 პროცენტზე ცოტა მეტი იმპორტირებულია, რომლის გარკვეული ნაწილი აღურიცხავია. ოფიციალური მონაცემებით, რომელსაც სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს, დაახლოებით 150 ათასი ტონა იმპორტირებული ფქვილი არალეგალურია.

იმპორტიორებს ფქვილი, ძირითადად, რუსეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც კი შემოაქვთ, რაც ადგილობრივი მწარმოებლებისა და ექსპერტების, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვებას იწვევს. მათი თქმით, დღემდე არ ყოფილა იმის პრეცედენტი, რომ საქართველოში ფქვილი მეზობელი სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან შემოსულიყო, მეტიც - თითქმის ყოველ წელს, საქართველო ფქვილით ამ მეზობელი სახელმწიფოების ერთ-ერთი მომმარაგებელი იყო.

ამას ის ფაქტორიც ემატება, რომ შემოტანილი ფქვილის წარმოება მწარმოებელ ქვეყანაში დოტაციურია, დაბალფასიანია, რის გამოც, ადგილობრივი ფქვილი მას კონკურენციას ვერ უწევს. ეს ყველაფერი კი ქართველ მწარმოებლებს დროებით, ან იქნებ სამუდამოდ, გაჩერებისკენ უბიძგებს.

ეს ასეც არის, დღეს უკვე თითქმის ყველა მცირე წისქვილკომბინატის ხელმძღვანელობამ საკუთარი თანამშრომლები უხელფასო შვებულებაში გაუშვა. დარჩენილი კომბინატების ყველაზე მსხვილი ნაწილიც კი სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. გორში მდებარე "ფორტეს" წისქვილკომბინატი, რომელიც ყველაზე დიდი მოცულობით ხორბალს გადაამუშავებს, დღეს მხოლოდ 30-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. ამის მომსწრე და მნახველი ამ ორიოდე დღის წინათ თავად პრემიერ-მინისტრი გახდა, რომელიც სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, შაბათს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ხორბლისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელ ბიზნესმენებს შეხვდა.

ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ითქვა ის, რაც მანამდეც ბევრჯერ თქმულა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ხელისუფლებამ მეწარმეებს დაპირება მისცა და ამ დაპირების შესრულება მეორე დღესვე დაიწყო. პრემიერის განკარგულებით, საბაჟო ორგანოებს მკაცრად დაევალათ, არ განაბაჟონ ის ფქვილი, რომლის ერთი ტონის ღირებულება 220 აშშ დოლარზე ნაკლები იქნება. დღემდე, იმპორტიორების მიერ საბაჟოზე წარდგენილ ინვოისში ერთი ტონა ფქვილის ღირებულება 170 აშშ დოლარი იყო დაფიქსირებული. ეს ფასი ხშირად ხელოვნურად შემცირებული, რიგ შემთხვევაში კი - დემპინგური იყო, რაც ნებისმიერ შემთხვევაში, იმპორტიორს დაბალი ტარიფებით განბაჟებისა და შემდეგ იაფად რეალიზაციის საშუალებას აძლევდა.

შეზღუდვა, რომელიც გუშინდელი დღიდან შევიდა ძალაში, მეწარმეთა თქმით, არსებულ ვითარებას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და წისქვილკომბინატებს სამუდამოდ გაჩერებას აღარ აიძულებს. თუმცა ექსპერტების თქმით, რასაც ხსენებული მეწარმეებიც ეთანხმებიან, ამ შეზღუდვამ, შესაძლოა, ქვეყანაში კონტრაბანდის მასშტაბები 50 პროცენტამდე გაზარდოს. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად **"ხელისუფლებამ საბაჟოზე ადმინისტრაციული კონტროლი მკაცრად უნდა გააძლიეროს და დაპირებაც ბოლომდე შეასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება არ ხერხდება, ამ ეტაპზე ჩვენ მაინც კმაყოფილები ვართ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს პურისა და ფქვილის მცირე მეწარმეთა გილდიის თავმჯდომარემ მალხაზ ცისკარიშვილმა, რომელიც ამავდროულად, ლილოში მდებარე მცირე წისქვილკომბინატის მფლობელია. ცისკარიშვილი იმედოვნებს, რომ მთავრობის დანაპირების რეალურად შესრულება მას გაჩერებული წისქვილკომბინატის ამუშავების შესაძლებლობას მისცემს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ სფეროში დამატებითი ღონისძიებების გატარების შესახებ საუბარი მთავრობის უახლოეს სხდომაზეც იგეგმება.

# „ენგურჰესის" რეაბილიტაცია ოთხ კვირაში დაიწყება

"ენგურჰესის" ადმინისტრაცია სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ემზადება. როგორც იქნა, საბოლოოდ განისაზღვრა ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის ვადა, თუმცა ამ ეტაპზე "ენგურჰესის" მხოლოდ სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია მოხდება. "ენგურჰესის" გენერალური დირექტორის ლევან მებონიას განცხადებით, სადერივაციო გვირაბში სამუშაოები 11-12 მაისს უნდა დაიწყოს, მანამდე "ენგურჰესის" წყალსაცავი წყლისგან უნდა დაიცალოს.

"ენგურჰესის" ადმინისტრაციამ წყალსაცავიდან უკვე 250 კუბური მეტრი წყალი გაუშვა და, როგორც ლევან მებონია აცხადებს, უხლოეს დღეებში, წყალსაცავიდან კიდევ უფრო მეტი წყლის გაშვება იგეგმება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსახლეობა პანიკამ უნდა მოიცვას. **"ჩვენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უკვე გავაფრთხილეთ. ისინი მოსახლეობას საქმის კურსში ჩააყენებენ, რომ "ენგურჰესის" კალაპოტს მოაცილონ საქონელი და თავადაც მოსცილდნენ,"** - განაცხადა მებონიამ.

მისი თქმით, მართალია, დატბორვა მოსალოდნელი არ არის, მაგრამ საშიშროება იმ პირებს ნამდვილად ემუქრებათ, ვინც არ იცის, რომ კალაპოტში ჩასახლება არ შეიძლება. **"ხალხი შეეჩვია, რომ "ენგურჰესში" არაფერი კეთდება. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის აუცილებელია, რომ გვირაბი თავისუფალი იყოს, ამიტომ წყალსაცავში წყალი მხოლოდ გვირაბამდე უნდა იყოს. წყალსაცავში მეტი წყლის შემოდინება არ გვჭირდება,"** - განმარტა მან.

11-12 მაისიდან დაიწყება "ენგურჰესის" სადერივაციო გვირაბის დათვალიერების პროცესი, რათა სპეციალისტებმა გვირაბში არსებული მდგომარეობა გაარკვიონ. "ენგურჰესის" გვირაბი 1996 წლის შემდეგ არავის დაუთვალიერებია და, შესაბამისად, უცნობია, რა მდგომარეობაშია იგი.

*24 საათი*

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

## სს "საქართველოს ბანკი" და "ჯორჯიან კარდი" ინფრასტრუქტურის განახლების შესახებ იუწყებიან

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა სს "საქართველოს ბანკმა" (GSE:GEB) დღეს ინფრაქტრუქტურის განახლების შესახებ განაცხადა, რაც გულისხმობს პლასტიკური ბარათების საპროცესინგო პლატფორმის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, რომელსაც "ჯორჯიან კარდი" მართავს და მის ნაწილს "ბანკი რესპუბლიკაც" ფლობს, აგრეთვე ბანკომატების ქსელის განახლებასა და გაფართოებას.

იტალიური კომპანია "ტიეტოენატორი" (TietoEnator), "ჯორჯიან კარდს" მიაწოდებს TransMaster™ ტიპის პლასტიკური ბარათების საპროცესინგო სისტემას, რომელიც ჩაენაცვლება პლატფორმას, რომელსაც "ჯორჯიან კარდი" დღეისათვის იყენებს. ახალ პლატფორმაზე გადასვლა 2005 წლის მაისშია დაგეგმილი.

"ჩვენ მოხარული ვართ, რომ "ტიეტოენატორი" არჩეულ იქნა "ჯორჯიან კარდის" მიერ. მიგვაჩნია, რომ TransMaster™, რომელსაც აქვს პროგრამული უზრუნველყოფა მაგნიტური და ჩიპური პლასტიკური ბარათების გამოშვებისთვის, ეკვაირინგისთვის, მარშრუტიზაციისა და კლირინგისთვის, რაც საშუალებას მისცემს "ჯორჯიან კარდს" გაუწიოს არსებულ და პოტენციურ კლიენტებს უმაღლესი ხარისხის მომსახურება", განაცხადა "ტიეტოენატორის" რუსეთის განყოფილების გენერალურმა დირექტორმა, ***დმიტრი ლენშინმა.***

"TransMaster™-ზე გადასვლა შესაძლებლობას მოგვცემს საპროცესინგო მომსახურება შევთავაზოთ სხვა მომხმარებლებს და, ამავე დროს, საუკეთესო ხარისხით მოვემსახუროთ "საქართველოს ბანკს" და "რესპუბლიკა" ბანკს", აღნიშნა "ჯორჯიან კარდის" გენერალურმა დირექტორმა, ***გიორგი ქეშელაშვილმა***.

"საქართველოს ბანკმა" შეისყიდა 40 ბანკომატი "უინქორ ნიქსდორფისაგან" (Wincor Nixdorf), რომლითაც შეიცვლება დღეისათვის ბანკის ქსელში მოძველებული მოდიფიკაციის ჩვიდმეტივე ბანკომატი. ბანკომატების შეცვლა, სავარაუდოდ, 2005 წლის ზაფხულში მოხდება. ბანკი დანარჩენ ბანკომატებს თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში განათავსებს მისი ბანკომატების ისედაც ყველაზე ფართო ქსელის შემდგომი გაფართოების მიზნით.

"ჩვენ მოხარული ვართ, რომ "უინქორ ნიქსდორფი" შერჩეულ იქნა "საქართველოს ბანკის" პარტნიორად ბანკომატების ქსელის გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით. ჩვენი მოლოდინია, რომ ახალი Pro-Cash-xe სერიის მრავალფუნქციური ახალი ბანკომატები, რომლებსაც ვიდეო უსაფრთხოების სისტემებიც გააჩნია, კიდევ უფრო გაამყარებს "საქართველოს ბანკის" ლიდერის პოზიციას ქართულ სამომხმარებლო საბანკო ბაზარზე", განაცხადა Wincor Nixdorf International GmbH-ის საბანკო დანაყოფის არაპიდაპირი გაყიდვების ხელმძღვანელმა, ***ჯორგ ბრინქმოლერმა.***

"საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი მიზნის - ბანკის სამომხმარებლო საქმიანობის განვითარებისთვის ერთიანი და უსაფრთხო სისტემის შექმნა - მისაღწევად. პლასტიკური ბარათები ჩვენი სამომხმარებლო საბანკო საქმიანობის სტრატეგიის საკვანძო კომპონენტია. ამდენად, ლოგიკურია, რომ ჩვენ დავიწყეთ საინფორმაციო ტექნოლოგიების პლატფორმის განახლება და საქართველოს პლასტიკური ბარათების ბაზარზე ლიდერის პოზიციის გამყარება. ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ონლაინ ბანკისა და ტელეფონ ბანკის შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ფილიალების ქსელის მოდერნიზაციას, რაც საშუალებას მოგვცემს მივუახლოვდეთ ჩვენს სტრატეგიულ ამოცანას, რაც კლიენტისათვის, გასაღების ყველა არხის მეშვეობით მაღალი დონის სერვისის მიწოდებაში მდგომარეობს", აღნიშნა სს "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, ***ლადო გუგრნიძემ.***

**"საქართველოს ბანკის" შესახებ:**

ს.ს. "საქართველოს ბანკი" ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. მისი საბაზრო წილი სესხებში დაახლოებით 18.6%, ხოლო დეპოზიტებში 23.7%-ს შეადგენს. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო (კომპანია "გალტ & თაგგარტ სიქიურითის" მეშვეობით, რომელშიც "საქართველოს ბანკს" მნიშვნელოვანი სააქციო წილი აქვს) საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. 2005 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 337 მილიონი ლარი შეადგინა.

**"ჯორჯიან კარდის" შესახებ**

"ჯორჯიან კარდი" არის სამიდან ერთ-ერთი ბართების საპროცესინგო პლატფორმა საქართველოში. სს "ჯორჯიან კარდი" ემსახურება "საქართველოს ბანკისა" და "ბანკი რესპუბლიკას" მიერ გამოშვებულ დაახლოებით 50,000 ბარათს. 2004 წლეს სს "ჯორჯიან კარდის" შემოსავლებმა 831,000 ლარი შეადგინა; წმინდა საპროცენტო შემოსავალი კი 181,000 ლარს გაუტოლდა. 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის საბალანსო ღირებულებამ 2 მილიონი ლარი შეადგინა. დღეის მდგომარეობით "საქართველოს ბანკი" და "ბანკი რესპუბლიკა", შესაბამისად, ფლობენ "ჯორჯიან კარდის" სააქციო კაპიტალის 51.6% და 39.0%.

დამატებითი ინფორმაციისთვსი დაუკავშირდით:
***ლადო გურგენიძეს,*** გენერალური დირექტორი +995 32 444 103 lgurgenidze@bog.ge
***ირაკლი გილაურს,*** გენერალური დირექტორის მოადგილე +995 32 444 111 igilauri@bog.ge
***მაკა ეკიზაშვილს,*** ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი +995 32 444 256 ir@bog.ge



მართეთ თქვენი ხარჯები. ნუ მისცემთ მათ თქვენი ბიზნესის მართვის უფლებას.

კომპიუტერები HP Compaq business desktop (ეიჩ-პი კომპაქ ბიზნეს დესკტოპ) dx6100 და HP Compaq business desktop dx2000 Intel® Pentium® 4 (ინტელ პენტიუმ 4) პროცესორის ბაზაზე HT (ეიჩ-თი) ტექნოლოგიით დაგეხმარებათ არსებითად შეამციროთ დანახარჯები საინფორმაციო ტექნოლოგიებზე და გაზარდოთ კომპანიის მუშაობის ეფექტურობა. HP Compaq dx6100 და HP Compaq dx2000 შემოწმებული ტექნოლოგიების საფუძველზე გთავაზობთ სიახლეებს და აგრეთვე ფასისა და წარმადობის საუკეთესო შეფარდებას, რაც დააკმაყოფილებს მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნებს მონაცემთა დამუშავებაში. HP Compaq dx6100 და HP Compaq dx2000 Intel® Pentium® 4 პროცესორის ბაზაზე HT ტექნოლოგიით, ნებისმიერი თანამედროვე ბიზნეს-აპლიკაციების მოთხოვნებს შეესაბამება. მიმზიდველი ფასი, შთამბეჭდავი წარმადობა და HP Compaq dx6100 და HP Compaq dx2000 კომპიუტერთა არაჩვეულებრივი მართვადობა საშუალებას მისცემს თქვენს ბიზნესს წარიმართოს სწრაფად და ოპერატიულად, ხოლო თქვენ — ეფექტურად მართოთ ხარჯები.



HP COMPAQ BUSINESS DESKTOP dx2000

$859*

- 256 DDR PC3200
- USB 2.0



HP COMPAQ BUSINESS DESKTOP dx6100

$961*

- Windows® XP Professional SP1a
- Intel 915G
- 256 DDR PC3200
- USB 2.0

hp invent

http://www.enews.external.hp.com/newsletter/country/rn/channel/rus/registration.htm

Complex Pro 53 76 76, 25 06 05 • UGT 22 05 05, 22 02 11, 22 02 19 • 25 29 00, 25 29 11 • Orient Logic 95 07 65, 94 31 75, 33 06 16 • 25 39 82

intel inside pentium 4

© 2005 Hewlett-Packard Development Company, L.P.

ფოსტა

## პატიმარ ქალთა მიმართვა საქართველოს პირველ ქალბატონს, სანდრას!

ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ, ისევ თქვენ მოგმართოთ, იმიტომ, რომ თქვენი წინამძღოლობით დავიდეთ ბინა 21-ე საუკუნეში ქალთა ახალ ევრორემონტიან ციხეში. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ხართ სიტყვის პატრონი, და სიტყვებს, როგორც ყველა - საქართველოში, ჰაერზე არ ისვრით.

პატიმარი ქალი ახალ საპყრობილეში ცხრა თვეზე მეტ ხანს არ გაჩერდებაო, - თქვით და იმედიც მოგვეცა. პატიმრობის ვადების შემცირებაზე კანონი უკვე მიიღო პარლამენტმა. ეს კანონი ძალაში შედის 2006 წლის 1 იანვრიდან. ქალბატონო სანდრა, ჩვენ აქ ვართ 2005 წლის 13 თებერვლიდან. თქვენ დაგებადებათ კითხვა, - კიდევ არ ხართ კმაყოფილებიო? კმაყოფილები რისთვის – სრული იზოლაციისთვის? ცხრა თვე კი არა, სამი თვე მაქსიმუმია აქ ყოფნისთვის. ბედნიერია ის, ვისაც არ უნახავს და არ უცხოვრია ძველ "გუბერსკის" ციხეში და პირდაპირ აქ მოხვდა. ძველ ციხეში ჩვენ ვცხოვრობდით, აქ კი ვცოცხლობთ და, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ გვახსოვს საკუთარი სახელები და გვარები. იმდენად ვართ ერთმანეთისგან იზოლირებულები, რომ არც ჭირი და აღარც ლხინი აღარ გვაერთიანებს; თითქოს ერთ ენაზეც აღარ ვლაპარაკობთ. ასეთ იზოლაციაში ყოფნის შემდეგ, ცხრა თვეში, ჩვენი ქალთა ზონაში გადაყვანა კი არა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გადანაწილება მოუწევთ. ეს ახალი ქალთა ციხე არის სუფთა, გარემონტებული საექსპერიმენტო-საკონცენტრაციო ბანაკი; კუნძული, სადაც იმედი ძალიან ჩქარა კვდება.

ქვეყნის პირველო ქალბატონო, თუ არ გვიწყენთ, გეტყვით, რომ თქვენ კარგად არ იცნობთ ქართველ ქალებს. პატიმარ ქალთა უმრავლესობა, რომლებიც აქ ვართ და ერთმანეთისგან იზოლაციაში ვიმყოფებით, არ ვართ კრიმინალები; უმეტესობა ძველი და ახალი დროის გაუსაძლისი ყოფა-ცხოვრების მსხვერპლია.

ქალბატონო სანდრა, გვიახლოვდება დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. სტუმრად ჩამოგვდის ამერიკის პრეზიდენტი. გთხოვთ, 10 მაისამდე გამონახოთ დრო და საშუალება, რომ ჩვენ, პატიმარმა ქალებმა თქვენგან მივიღოთ სრული, ამომწურავი გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაძლევთ პირობას, რომ ამერიკის პრეზიდენტს ეცოდინება, რა ქვეყანაში ჩამოდის და ვისთან აქვს საქმე.

რომელი სტუმრისთვის იქნება მოსაწონი ასეთ პატარა ქვეყანაში ამდენი მოშიმშილე პატიმარი ქალი. ამერიკელ სტუმარს ამასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა გაუჩნდება.

ქალბატონო სანდარა, გთხოვთ, დროზე მოგვხედოთ. გვინდა, დავრწმუნდეთ თქვენი სიტყვების ძალაში. საკმაოდ ბევრნი ვართ.

ქალბატონო სანდრა, ბოლოს გისვამთ ერთ შეკითხვას – რატომ ვძულვართ თქვენს მეუღლეს ასე ძალიან?

# მამასახლისი და ნანავა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

თამარ კაციტაძე

*რა ხდება აფხაზეთის ციხეებში ან რამდენი ქართველი იხდის იქ სასჯელს, ზუსტად არავინ იცის. ოფიციალური წყაროები, მართალია, ადასტურებენ, რომ აფხაზებს ათობით ქართველი ჰყავთ უკანონოდ დაპატიმრებული, მაგრამ ვინ არიან ისინი, რა სასჯელისთვის ამყოფებენ ტყვეობაში, ან რამდენი წელი აქვთ მისჯილი, ვერავინ აკონკრეტებს. ერთი სიტყვით, აფხაზეთის ციხეში მოხვედრილი ადამიანები აბსოლუტურად განწირულები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რამდგან მათ მიმართ განხორციელებულ უკანონობაზე პასუხისმგებლობას, ჯერჯერობით, არავინ კისრულობს, არც - საქართველო, რომლის იურისდიქციის ქვეშაც იმყოფება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და არც რუსეთი, რომელიც დეფაქტო განაგებს მას.*



**"ცოტა ხნის წინ აფხაზეთის ციხეში დაპატიმრებული ქართველების ბედით დავინტერესდი. აღმოჩნდა, რომ იქ ათობით ქართველი იხდის უკანონოდ სასჯელს, მაგრამ მათ საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად არავითარი ბერკეტი არ გააჩნიათ. არიან ისეთებიც, რომლებსაც საზღვრის (იურიდიულად, არარსებულის) უკანონო გადაკვეთაში ან სხვა მსუბუქ დანაშაულში ედებათ ბრალი, მაგრამ ადვოკატების ჩარევაზე უარს აცხადებენ. მათ ეშინიათ, უფრო არ გაამწვავონ მდგომარეობა. არიან ისეთებიც, რომლებსაც აფხაზები უფრო მძიმე დანაშაულს აბრალებენ და მათ, სიცოცხლის გარდა, დასაკარგიც არაფერი გააჩნიათ",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში აფხაზეთიდან დევნილმა ადვოკატმა პავლე ბერიამ, რომელიც სწორედ ასეთი ადამიანების დაცვას ცდილობს. თუმცა, ვინაიდან ადვოკატმა საქართველოს მოქალაქეების ბედით დაინტერესებულ სტრუქტურას საქართველოში ვერ მიაკვლია, მათი დაცვა ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოს გზით გადაწყვიტა, სადაც, როგორც გაირკვა, კონფლიქტის ზონაში მოხვედრილი ადამიანებისადმი ჩადენილი უკანონობით აქტიურად ინტერესდებიან.

შარშან, 3 აგვისტოს პავლე ბერიამ სტრასბურგის სასამართლოში 24 წლის ლევან მამასახლისის სარჩელი გააგზავნა. სამშობლოს ღალატისა და ტერორიზმის ბრალდებებით დაპატიმრებული, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტი მამასახლისი, თითქმის ოთხი წელია, რაც დრანდის ციხეში იხდის სასჯელს. სარჩელის გაგზავნიდან სამ კვირაში ადვოკატმა სტრასბურგიდან პასუხი მიიღო – მამასახლისის საქმე ევროსასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა. 22 სექტემბერს კი აღნიშნული საქმე სტრასბურგის სასამართლომ პრიორიტეტულად მიიჩნია. პეტრე ბერიას თქმით, სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო ტერორიზმში ბრალდებული 85 წლის ქართველი გრიგოლ ნანავას საქმეც, რომელიც, ასევე, დრანდის ციხეში იხდის სასჯელს.

**"ლევან მამასახლისის საქმე არის პირველი, რომელიც აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტს ეხება და რომელსაც ევროსასამართლო დაჩქარებული წესით განიხილავს",** - ამბობს პავლე ბერია.

ლევან მამასახლისი აფხზეთის ომამდე გაგრის რაიონის სოფელ ლიძავაში ცხოვრობდა.

მისი მამა, დავით მამასახლისი 1992 წელს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს აფხაზმა ბოევიკებმა დახვრიტეს. ომის შემდეგ ლევან მამასახლისის დედა და და-ძმა საცხოვრებლად ბიჭვინთაში დარჩნენ, თავად კი ბებიასთან ერთად თბილისში გადმოვიდა.

2001 წლის ზაფხულში ლევან მამასახლისი არდადეგებზე აფხაზეთში დედასთან ჩავიდა. პავლე ბერიას განცხადებით, მას დედის ბინაში კუსტარული წესით დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აუფეთქდა, რის შედეგადაც მარჯვენა ხელის მტევანი და მარცხენა ხელზე სამი თითი დაკარგა.

**"აფეთქებისთანავე მამასახლისის სახლში აფხაზი სამართალდამცველები მივიდნენ და უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი ლევან მამასახლისი გაგრის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც იქაურმა უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა მას "აღიარებითი ჩვენება" დააწერინეს და ტერორიზმის ბრალდებით დააპატიმრეს",** - აღნიშნულია სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილ წერილში.

რამდენიმე თვეში ლევან მამასახლისი სოხუმის სამხედრო ტრიბუნალმა, სამშობლოს ღალატისა და ტერორიზმის ბრალდებით, გაასამართლა და მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**"აღსანიშნავია, რომ მამასახლისს განაჩენის გასაჩივრების უფლება არ მისცეს; მეტიც, მას განაჩენი დღემდე არ ჩაბარებია",** - სწერს ადვოკატი ევროსასამართლოს.

ბერიას ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ მამასახლისს აქვს ფილტვების მძიმე დაავადება, აქვს ბრონქიალური ასთმა და მძიმე ფორმის ალერგია, მას არანაირი მკურნალობა არ უტარდება, რის გამოც, მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. იგი ამჟამად სასჯელს დრანდის იზოლატორში იხდის.

**"ლევან მამასახლისის ბებიამ დინარა მამასახლისმა ამ წლების მანძილზე არაერთხელ მიმართა თხოვნით საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ უკანონო პატიმრის გასათავისუფლებლად არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა",** - განაცხადა ადვოკატმა.

სწორედ აღნიშნული მიზეზის გამო, პავლე ბერია და ადვოკატები - ნათია კაციტაძე და ვახტანგ ვახტანგიძე იძულებულნი გახდნენ, სტრასბურგის სასამართლოში გაეგზავნათ ლევან მამასახლისის სარჩელი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

**"შესაძლებელია, მამასახლისის საქმეში ამ ორი სახელმწიფოს დასახელება ვინმეს აბსურდულად მოეჩვენოს, მაგრამ ევროსასამართლოს პრაქტიკიდან და საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, როდესაც კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებები ირღვევა, ამაზე პასუხისმგებელია ის სახელმწიფოც, რომლის ტერიტორიულ მთლიანობაშიც მოიაზრება აღნიშნული რეგიონი და ის ქვეყანაც, რომელიც მას დე ფაქტო განაგებს. საქართველოს პასუხისმგებლობა ეკისრება იმდენად, რამდენადაც აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და ამ ტერიტორიაზე საქართველოს დე იურე იურისდიქცია ვრცელდება. რუსეთის ფედერაცია კი დღეს აფხაზეთზე პოლიტიკურ და სამხედრო კონტროლს ახორციელებს",** - ასეთია მამასახლისის ადვოკატების არგუმენტები, რომლებიც ევროსასამართლოსთვისაც სარწმუნო გახდა და ორივე სახელმწიფო მოპასუხედ მიიჩნია.

თუმცა, მოპასუხედ დასახელებულმა სახელმწიფოებმა აღნიშნულ საქმეზე ევროსასამართლოში გაგზავნილ წერილებში აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე თავიანთი პასუხისმგებლობა კატეგორიულად უარყვეს.

**"საქართველოს მთავრობა მტკიცედ ეწინააღმდეგება იმას, რომ ის მიჩნეულ იქნეს პასუხისმგებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე ევროკონვენციის დარღვევებთან დაკავშირებით, რადგანაც ის ვერ ახორციელებს კონტროლს აფხაზეთის ტერიტორიაზე. მართალია, ჩვენ ვადასტურებთ, რომ აფხაზეთში ადგილი აქვს ევროკონვენციის დარღვევას განმცხადებლების მიმართ, მაგრამ ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ რუსეთის ფედერაციას",** - ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა ოფიციალურმა საქართველომ ევროსასამართლოს და ამით საკუთარი მოქალაქის დაცვაზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა.

რუსეთის ფედერაციამ კი, ასევე, ოფიციალურად განაცხადა, რომ მას არასოდეს უღიარებია აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად: **"რუსეთი არ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთის ტერიტორიაზე, სასამართლო და სახელმწიფო ორგანოების ჩათვლით, ისევე, როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე. აქედან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციას არაფერი აქვს საერთო აღნიშნულ საკითხთან".**

მიუხედავად ორმაგი უარყოფისა, სტრასბურგის სასამართლო უახლოეს პერიოდში, დაჩქარებული წესით, აპირებს ლევან მამასახლისის საქმის განხილვას და, სავარაუდოდ, საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე ორივე ქვეყანას მოუწევს თავის მართლება.

ევროსასამართლოს იმედზეა გრიგოლ ნანავაც, რომელსაც 2003 წელს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების სამხედრო სასამართლომ ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და რომლის საქმეც სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო.

**"ნანავა გულრიფშში სტუმრად იყო. ის იქ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს და იძულებით დააწერინეს აღიარებითი ჩვენება – თითქოს, 85 წლის მოხუცს აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერაქტის მოწყობა სურდა. ნანავა ავად არის და საჭიროებს მუდმივ მკურნალობას, რის საშუალებაც მას არ გააჩნია. ყოველივე ამის და ასაკის გათვალისწინებით, მისი სიცოცხლე საფრთხეშია",** - ამბობს პავლე ბერია.

**"ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა ქვეყნების მიმართ ევროსასამართლოს მიერ გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ მამასახლისის და ნანავას უფლებების დაცვას საერთაშორისო გზით მოვახერხებთ. იმ შემთხვევაში, თუ სტრასბურგის სასამართლო დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას, საქართველო და რუსეთი იძულებულნი გახდებიან, მათ დასაცავად ქმედითი ნაბიჯები გადადგან და აიძულონ აფხაზეთის ხელისუფლება, გაათავისუფლონ უკანონო პატიმრები",** - აღნიშნა პავლე ბერიამ, რომელიც ევროსასამართლოს წარმომადგენლებს, გადაწყვეტილების გამოტანამდე, მამასახლისის და ნანავას მონახულებას სთხოვს, რათა ისინი ადგილზე გაეცნონ სიტუაციას და უკანონო პატიმრების სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტია უზრუნველჰყონ.

მოკლედ

### "კანონიერი ქურდის" დედის ცხედარი სამართალდამცველებმა საფლავში დააბრუნეს

ორი კვირის წინ ქუთაისში მომხდარი გახმაურებული დანაშაული გახსნილია. ქუთაისის ერთ-ერთი სასაფლაოდან გაუჩინარებული შურა ნემსიწვერიძის ცხედარი უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გუშინ გამთენიისას საფლავში ჩაასვენეს. შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისელი კანონიერი ქურდის თემურ ნემსიწვერიძის, მეტსახელად "წრიპას", დედის ცხედარი გამტაცებლებმა გოჭოურას სასაფლაოდან ფულის გამოძალვის მიზნით გააქრეს. ამავე ინფორმაციით, გარდაცვლილის ცხედრის დაბრუნების სანაცვლოდ, გამტაცებლები ნემსიწვერიძეებისგან 150 ათას დოლარს ითხოვდნენ. სამართალდამცველები გუშინ აცხადებდნენ, რომ დანაშაულში მონაწილეთა ვინაობა მათთვის უკვე ცნობილია და მათ დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები მიმდინარეობს. სამართალდამცველთა განმარტებებითვე, გვამი არა ფულის გამოძალვის, არამედ ანგარიშსწორების მიზნით მოიპარეს. **24 საათი**

### საზარელ მკვლელობაში ბრალდებულებს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებულებს - ერნესტ ნაცვლიშვილს, გიორგი სოფრომაძეს და მიხეილ პოღოსიანს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებულებმა დაკავებისთანავე აღიარეს 18 წლის იგორ რეშეტოვის განზრახ მკვლელობა. შეგახსენებთ, რომ ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე იგორ რეშეტოვის დასახიჩრებული ცხედარი სამართალდამცველებმა გუშინწინ აღმოაჩინეს. როგორც გაირკვა, ბრალდებულებმა რეშეტოვი საქმის გასარჩევად სწორედ ამ ტერიტორიაზე დაიბარეს. ურთიერთშელაპარაკების შემდეგ კი მას სასტიკად გაუსწორდნენ. რეშეტოვი ნაჯახისა და დანის გამოყენებით მიყენებული მრავალჯერადი სასიკვდილო ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მკვლელობის მიზეზი ბრალდებულების საიდუმლო საქმიანობა გახლდათ, რომლის შესახებაც აწ გარდაცვლილმა იცოდა. საქმე ეხება ყალბი ხუთლარიანების დამზადებას. **24 საათი**

### ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებულს უტყუარი ალიბი აქვს

სოხუმის საქალაქო სასამართლომ ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებულ, აფხაზეთიდან დევნილ 27 წლის ალექსანდრე დარასელიას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილის ინფორმაციით, დარასელიას ბრალი ედება 18 მარტს მარიამ წიკლაურზე ყაჩაღურ თავდასხმაში - წიკლაურს ორი მობილური ტელეფონი და "თი ბი სი ბანკის" ოთხი პლასტიკური ბარათი წაართვეს.

ბრალდების თანახმად, დარასელიასთან ერთად მყოფი სამი პირი დანითა და ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული.

თუმცა, როგორც დაკავებულის ადვოკატი ვახტანგ კოდუა აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს უტყუარი ალიბი აქვს. "18 მარტს, ყაჩაღობის დროს ალექსანდრე დარასელია გრიგოლ რობაქიძის სახელობის ორთოპედიის სტომატოლოგიურ კლინიკაში იმყოფებოდა, სადაც ის ლექციებს კითხულობს; ლექციების შემდეგ კი პაციენტი მიიღო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტიც საქმეში მოიპოვება. დარასელიას სამსახურში ყოფნის ფაქტს კლინიკის დირექტორი და 11 თანამშრომელიც ადასტურებენ", - ირწმუნება ადვოკატი.

გარდა ამისა, ადვოკატის თქმით, დაზარალებულის მიერ აღწერილი თავდამსხმელის ფიზიკური მონაცემები აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გარეგნულ აღწერილობას.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მოსამართლე ხუროძემ მიიჩნია, რომ დარასელიამ, რომელსაც მძიმე დანაშაულში ედება ბრალი, თავისუფლების შემთხვევაში, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ამ საქმეში ჭეშმარიტების დადგენას; ამიტომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონოს და არაკვალიფიციურს უწოდებს და მის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებს. **ინტერ-პრესი**

### "ქართულ სოფლებში ბუთბას რაზმის ყოველი შესვლა მსხვერპლით მთავრდება"

გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზურმა ხელისუფლებამ გალის რაიონის ქართულ სოფლებში შეიარაღებული დაჯგუფებები შეიყვანა. ამ ინფორმაციას ადასტურებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია. მისი თქმით, გალის ტერიტორიაზე შესულია ცნობილი ბოევიკის ვალმერ ბუთბას 25-კაციანი სადამსჯელო რაზმი, ასევე -მობილიზებულია აფხაზური მილიციის 400-მდე წარმომადგენელი. დავითაიას ინფორმაციითვე, ამით აფხაზები სასაზღვრო პერიმეტრის გამაგრებას ცდილობენ.

"აფხაზებს საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით გარკვეული მოლოდინი აქვთ. გამორიცხული არ არის, გალის რაიონის ქართულ სოფლებში აფხაზური დაჯგუფებების შეყვანას მოსახლეობის აწიოკება მოჰყვეს, რადგან გალის რაიონში ბუთბას რაზმის ყოველი შესვლა მსხვერპლით მთავრდება", - ამბობს ის.

ექსპერტის თქმით, სეპარატისტები გალის რეგიონში, სენაკის სამხედრო ბაზის მშენებლობის საპასუხოდ, სამხედრო დაჯგუფების შექმნას აპირებენ. ამ საკითხზე აფხაზთა ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე 16 აპრილს იმსჯელეს. **მედიანიუსი**

ორი სიტყვით

**თელავი.** ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის ტერიტორიაზე კახეთის ფინანსურმა პოლიციამ ექვსი ტონა ფქვილით დატვირთული ავტომანქანა დააკავა. აზერბაიჯანული წარმოების კონტრაბანდული ფქვილი ზიდალ მახრამოვს სარეალიზაციოდ ყვარლის რაიონში გადაჰქონდა. კახეთის ფინანსური პოლიციის უფროსის ზურაბ ბეჟანიშვილის განცხადებით, კონტრაბანდული ტვირთის მფლობელებს ბიუჯეტის სასარგებლოდ ფქვილის მთლიანი ღირებულების 83 პროცენტის გადახდა მოუწევთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია, ევროკავშირის მიწვევით, დღეს ბრიუსელში გაემგზავრება. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ვიზიტის ფარგლებში იუსტიციის მინისტრი შეხვედრებს გამართავს ევროკავშირის პოლიტიკურ, ძალოვან და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტებში; შეხვედრებზე იმ რეფორმების სტრატეგიას წარადგენს, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროს შეეხება. ქართულ მხარეს ამ სფეროს რეფორმირებაში ევროსაბჭოს კანონის უზენაესობის მისია უწევს კონსულტაციებს. კოტე კემულარია შეხვედრებს გამართავს, ასევე, ევროპარლამენტში. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ბრიუსელში მიპატიჟება 6 აპრილს ევროკავშირის დელეგაციასთან შეხვედრაზე მიიღო. აღნიშნულ დელეგაციას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროკავშირის წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტიე ხელმძღვანელობდა. **ინტერ-პრესი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი** ....................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ....................

**საკონტაქტო ტელეფონი** ....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# ენერგოსექტორის "შეკრული წრე"

დღეს გადავწყვიტეთ, სქემებით გაჩვენოთ, თუ რა გზებს გადის ელექტროენერგია, სანამ თქვენამდე მოაღწევს და საიდან საით მოძრაობს თანხა, რომელსაც თქვენ ელექტროენერგიის საფასურის სახით იხდით.

სქემების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ენერგეტიკის სამინისტროს და "ქორ ინტერნეიშენალს", რომლებმაც ეს ვიზუალური მასალა მოგვაწოდეს.






# ელექტროენერგეტიკის რეფორმის ბენდუქიძისეულ გეგმაში პრინციპული შეცდომებია

ირაკლი მეყირილაძე
პროფესორი, ექსპერტი

ბოლო ხანებში ორჯერ მოვისმინე რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრის ვრცელი მოხსენება საქართველოს ელექტროენერგეტიკის რეფორმირების მისეული გეგმის შესახებ. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, ამ გეგმის ძირითადი მომენტები გავაანალიზოთ.

მომხსენებლის მსგავსად, პირველ რიგში, ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზის ბაზაზე ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების შესაძლო პროგნოზს შევეხოთ. რეფორმატორთა გუნდის მიდგომა ამ მიმართებით მარტივია: უახლოესი 7 წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა სწრაფად განვითარდება, მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) გაორმაგდება (რაც მიახლოებით 10-პროცენტიან წლიურ ზრდას შეესაბამება), პროპორციულად გაიზრდება ელექტროენერგიის მოხმარებაც და ახლანდელი წლიური 8 მილიარდი კვტ.სთ 16 მილიარდ კვტ.სთ-ზე ავა.

მეთოდოლოგიურად მოთხოვნილების ზრდის ასეთი "წრფივი მოდელირება" კრიზისული სტრუქტურული ტრანსფორმაციების ეტაპზე მყოფი ქვეყნის ევოლუციის პროგნოზირებისათვის, პრინციპში, მცდარია და რეფორმატორთა არასაკმარისად კომპეტენტურ მიდგომებზე მეტყველებს.

საქმე საქართველოს ეკონომიკაში და ენერგეტიკაში მიმდინარე თვისებრივად არაწრფივ პროცესებს ეხება. მაგალითად, ელექტროენერგიის საერთო მოხმარებაზე მკვეთრ (ხსენებული პროგნოზის საწინააღმდეგო ნიშნის) გავლენას ახდენს ქვეყანაში ენერგორესურსების მოხმარების ახლანდელი უაღრესად არაოპტიმალური სტრუქტურის გაუმჯობესება და მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების მოწესრიგება. თანაც, ხსენებული არაწრფივი პროცესები საქართველოში დროშიც და სივრცეშიც ერთმანეთისაგან დაძრულია. თუმცა, მეტ სიცხადეს კონკრეტული მაგალითები მოგვცემს.

ამ მიმართებით ყველაზე საიმედოა ქ. თბილისის მონაცემები, სადაც მიწოდების შეზღუდვები მხოლოდ ეპიზოდურად ხორციელდება და წლიურ მოხმარებაზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს. თუ ავიღებთ 2000-2004 წლების პერიოდს (როცა ქვეყნის მშპ განუწყვეტლივ იზრდებოდა, ბოლო წლებში კი ზრდის ტემპი ზემოხსენებული წლიური 10 პროცენტის ზონაში იყო), დავინახავთ, რომ, ნაცვლად "წრფივი" ზრდისა, 2000 წლის 2,15 მილიარდი კვტ.სთ მოხმარება 2002 წლისათვის 0,5 მილიარდი კვტ.სთ-ით შემცირდა, ხოლო 2003-2004 წლებში წლიური 1,74-1,79 მილიარდი კვტ.სთ-ის დიაპაზონში დაფიქსირდა.

ამ პერიოდში, ცხადია, თბილისის ეკონომიკური აქტივობის განვითარების ტემპი ქვეყნის საშუალო ტემპზე დაბალი არ იქნებოდა (თუნდაც, მარტო შეუზღუდავი ელექტრომომარაგების გამო). ეკონომიკური ზრდის ფონზე ელექტროენერგიის მოხმარების საკმარისად მასშტაბური შემცირება და ცვლილების თვისებრივად არაწრფივი ხასიათი, ცხადია, ორივე ზემოთ მითითებული პროცესის ერთდროული მიმდინარეობის შედეგია.

თბილისში საფასურის ამოღების მოწესრიგების პროცესმა მოხმარების შემცირების პოტენციალი, ძირითადად, უკვე ამოწურა, თუმცა ბუნებრივი აირის მიერ ელექტროენერგიის გამოდევნის პროცესი კვლავაც გრძელდება. ბოლო გარემოება გათბობისათვის და, გასაკუთრებით, ცხელი წყლის მომარაგებისათვის ელექტროენერგიის გამოყენების ჯერ კიდევ გაუმართლებლად დიდ მასშტაბთან არის დაკავშირებული.

დედაქალაქსგარეთ ხსენებული არაწრფივი პროცესების განვითარების მთავარი სტადია ჯერ კიდევ წინ არის. ამ მიმართებით სიტუაციის გააზრებისათვის მხოლოდ ერთი ფაქტია საკმარისი: სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მეზობელ აზერბაიჯანში 2004 წელს ბუნებრივი აირის მოხმარებამ (10 მილიარდი კუბური მეტრი) საქართველოს მოხმარებას ათჯერ გადააჭარბა. თანაც, აზერბაიჯანის მოხმარების ნახევარი რუსეთიდან იმპორტირებულმა აირმა შეადგინა (ეს, მსჯელობიდან რომ საკუთარი აირის თავსაყრელობის ფაქტორი გამოვრიცხოთ). მოყვანილი შედარება ცხადად გვაჩვენებს ელექტროენერგიის არამიზანშეწონილი მოხმარების რა მასშტაბის სფეროებია საქართველოში დარჩენილი. მომავალ წლებში ეკონომიკური სტიმულები და ელემენტარული სახელმწიფო ხელშეწყობა ბუნებრივი აირის წლიურ მოხმარებას 5 მილიარდ კუბურ მეტრს მაინც მიუახლოებს, გარკვეული სეგმენტებიდან ელექტროენერგიის მოხმარების გამოდევნით და ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობის შესაბამისი ამაღლებით.

ამგვარად, ანალიზისა და პროგნოზირების ეტაპი რეფორმატორთა გუნდის მეთოდოლოგიურ არაკომპეტენტურობასა და არსებული ენერგეტიკული სიტუაციის მთავარ თავისებურებათა გაუაზრებლობას ამჟღავნებს, რაც ხაზს უსვამს მომხსენებლის ზედმეტად თვითდაჯერებული ტონის უადგილობას ("საქართველოში ენერგეტიკის ეკონომისტი მე თვალით არ მინახავს").

რაც შეეხება უშუალოდ პროგნოზს, ცხადია, მომავალი 7 წლის მანძილზე ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის გაორმაგებისას (ზრდის შესაძლო ტემპებზე ნუ ვიკამათებთ) ელექტროენერგიის მოხმარება სრულიადაც არ გაორმაგდება და რეალურად, ალბათ, წლიური 12-13 მილიარდი კვტ.სთ-ის ზონაში აღმოჩნდება.

პროგნოზის რეალისტურობას, რა თქმა უნდა, მრავალმხრივი მნიშვნელობა გააჩნია. მნიშვნელოვანია იგი, მაგალითად, 5-7 წლიან პერსპექტივაში გენერაციის სიმძლავრეების საჭირო დონის სწორი დაგეგმვისათვის. საქართველოში არსებული ჰესებისა და თბური ენერგობლოკების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის გზით მიღწევადი წლიური გამომუშავების პოტენციალი 15 მილიარდი კვტ.სთ-ის რიგისაა. რამდენადაც ეკონომიკური ეფექტურობის თვალსაზრისით არსებული სიმძლავრეების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის ღონისძიებებს რეალური ალტერნატივა არ გააჩნია (ამის მკაფიო მაგალითია ბოლო წლებში ქვეყნისათვის უკიდურესად საზარალო გარანტიების ბაზაზე აშენებული ხადორჰესი), მოყვანილი პროგნოზი (რეფორმატორების პროგნოზისაგან განსხვავებით) მთლიანად გამორიცხავს უახლოესი 5-7 წლის მანძილზე საქართველოში ახალ სიმძლავრეთა მშენებლობის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. ეს გარემოება სრულიად უადგილოს ხდის საქართველოში მიმდინარე ეტაპზე არაკონკურენტუნარიან ახალ სიმძლავრეთა მშენებლობის ხელშეწყობის ქვეყნისათვის საზარალო, მაგრამ კარგად ლობირებული სქემების განხილვას.

ახლა განვიხილოთ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს რეფორმატორთა გუნდი უმნიშვნელოვანეს გამოსავალ თეზისს - სახელმწიფოს პოლიტიკურ მოთხოვნებს ენერგეტიკის რეფორმირების მიმართ. ამგვარი მოთხოვნები თავის დროზე (1996-1997 წლებში) საკმარისად საფუძვლიანად და მკაფიოდ განისაზღვრა. მოკლედ მათი არსი ერთ გრძელ წინადადებაში შეიძლება ჩავტიოთ: უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგეტიკის ქვეყნის მოთხოვნების სრულად დამაკმაყოფილებელ, ეკონომიკურად ეფექტურად ფუნქციონირებად სექტორად გარდაქმნა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაციის გზით ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციაში ინვესტიციების მოზიდვით და სამომხმარებლო ტარიფის გარდაუვალი თანმხლები ზრდის ეკონომიკური თვალსაზრისით სამართლიანი ფარგლებისა და, შესაბამისად, მთლიანობაში საქართველოს მოქალაქეების დიდი უმრავლესობისათვის რეფორმის მისაღებობის უზრუნველყოფით.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით შემოღებულ იქნა ელექტროენერგეტიკის, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის, დამოუკიდებელი რეგულირება და შეიქმნა შესაბამისი ინსტიტუტი - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი).

რეფორმატორთა გუნდის მიერ წარმოდგენილი გეგმა არსებითად ცვლის ხსენებულ პოლიტიკურ მოთხოვნებს, შემოაქვს რა არარეალისტური, პრაქტიკულად, პოპულისტური დებულება "მომხმარებლის მიმართ რეფორმის ნეიტრალურობის" უზრუნველყოფის შესახებ (რაც სამომხმარებლო ტარიფის, პრაქტიკულად, უცვლელად შენარჩუნებად განიმარტება). თანაც, ერთდროულად ხაზი ესმება ტარიფების ზრდის შედეგად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევის რისკის არსებობას (ქუჩებში საბურავების დაწვისა და სხვა მსგავსი მოვლენების გახსენებით).

კარგადაა ცნობილი, რომ ქუჩების გადაკეტვისა და საბურავების დაწვის ტიპის პროტესტის ექსტრემალურ ფორმებს თბილისშიც და მთლიანად საქართველოშიც მხოლოდ ენერგიის მიწოდების ქაოსური და ხანგრძლივი გათიშვების დროს ჰქონდა ადგილი, ხოლო სამომხმარებლო ტარიფის საკმარისად მკვეთრ ცვლილებებს (საბოლოო ანგარიშში - ტარიფის დაახლოებით გასამმაგება თბილისში და გაორმაგება რეგიონებში) ასეთ ფორმებში სოციალური პროტესტი ერთხელაც კი არ გამოუწვევია. ამით დადასტურდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ბუნებრივი პროტესტის გრძნობის გამომწვევ ტარიფის ზრდას მაინც, ძირითადად, დარგის ეკონომიკური მდგრადობისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის კონტექსტში განიხილავს, რაც ამ იმედის დროული გამართლებით უნდა განმტკიცდეს. თავისთავად ეს იყო და არის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური მიღწევა, რაშიც წამყვანი როლი რეფორმის რაციონალურმა ინსტიტუციონალურმა უზრუნველყოფამ განაპირობა.

როგორც ჩანს, რეფორმატორთა შეხედულებები ვერ უთავსდება იმ რეალობის აღიარებას, რომ სწორედ "ვითომ დამოუკიდებელმა" (ლიდერის ტერმინოლოგიით) რეგულატორმა შექმნა ამ სფეროში პროტესტის კანალირების, სხვადასხვა ჯგუფების ინტერესთა დაბალანსების და ინტერესთა კონფლიქტების გადაწყვეტის ახალი, ცივილიზებული ფორმები, ითამაშა ბუფერის როლი ხელისუფლებასა და მომხმარებლებს შორის, ჩამოაყალიბა მთლიანობაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ახალი მასშტაბური სეგმენტი. სხვა საკითხია, რომ რეგულირების პროგრესული კანონმდებლობით შექმნილი შესაძლებლობები საზოგადოებას ჯერ კიდევ არა აქვს სრულად გამოყენებული, მაგრამ ეს მომავლის საქმეა. რა თქმა უნდა, თუ ჩვენ დემოკრატიული განვითარების ამ მიმართულებას არ დავკარგავთ.

რეფორმატორთა ტენდენციურობა დამოუკიდებელი რეგულირების სისტემის მიმართ უფრო მკაფიოდ შემდეგ ეტაპზე დასტურდება, როცა ელექტროენერგეტიკის, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის, მართვის სპეციფიური პრობლემებისა და დარგის რეგულირების ევოლუციური განვითარების საკითხების სერიოზული განხილვა რეფორმის დამგეგმავთა დღის წესრიგიდან საერთოდ იხსნება.

უწყინარ ხუმრობად ჩავთვლიდით, პრობლემის სერიოზულობა რომ არ გვზღუდავდეს, მთავარი რეფორმატორის მიერ წამოყენებულ დებულებას ბუნებრივი მონოპოლიის, როგორც ტერმინის მითოლოგიური ხასიათის შესახებ. არადა, ასეთი ექსტრავაგანტური დებულებით მნიშვნელოვან სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობას ასაბუთებენ!

ხუმრობა ხუმრობად და ასეთი, სრულიად მიუღებელი ხერხით რეფორმატორთა გუნდი საქმეს უკიდურესად იმარტივებს: საჭირო აღარ არის დარგის, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის მართვის ურთულეს სპეციფიურ პრობლემებში ჩაღრმავება, ელექტროენერგეტიკის რეგულირების ეტაპობრივი მეთოდოლოგიური და ინსტიტუციონალური ევოლუციის მსოფლიო მასშტაბში საუკუნოვანი და საქართველოში თითქმის ათწლოვანი გამოცდილების შესწავლა და დეკლარაციების გაკეთებამდე სისტემის პროფესიონალებთან ინტენსიური კონსულტაციების ჩატარება. თურმე, საკმარისია ტემპში სხვა ქვეყნებში ჩვენგან განსხვავებული სტრუქტურული და ორგანიზაციული გადაწყვეტების მაგალითების მოძიება და შეიძლება პირდაპირ რეგულირებისა და ფინანსური მართვის არსებული სისტემისა და ინსტიტუტების მკვეთრი ფუნქციონალური და ორგანიზაციული რეორგანიზაციის გეგმების დასახვაზე გადასვლა.

გასული ათწლეულის მანძილზე წინამდებარე წერილის ავტორი თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა ექსპერტთან, ვისაც საქართველოს ელექტროენერგეტიკის რეფორმირებასთან ჰქონდა შეხება. ბოლო წლებში მას მოუხდა ენერგეტიკაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მართვის პრობლემებზე საერთაშორისო ენერგეტიკულ ქარტიაში გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა. იგივე პრობლემატიკა განიხილებოდა მის მიერ დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ექსპერტებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (ლიტვა, ჩეხია) ენერგეტიკული პრობლემების ადგილზე შესწავლის დროს. პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, პირველ რიგში, რეგულირების პროცესის ქვეყნის კონკრეტულ სიტუაციაზე სწორად მორგებისა და მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარებისა და დახვეწის ევოლუციური ხასიათის უზრუნველყოფის გადამწყვეტ როლზე იყო საუბარი.

მოწინავე ქვეყნებში რეგულირების პროცესები ათწლეულების მანძილზე იხვეწებოდა. სექტორის ნაწილობრივ ლიბერალიზაციას, მაგალითად, გენერაციის სფეროში კონკურენციის შეუზღუდავ განვითარებას, წინ მრავალწლიანი მოსამზადებელი ღონისძიებები უძღოდა. რაც შეეხება ევოლუციის ეტაპებზე "გადახტომას", მაგალითად, ლიბერალიზაციის მექანიზმების ისეთ ქვეყანაში შეტანას, სადაც ჯერ კიდევ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების პრობლემაც არ არის გადაწყვეტილი, ამაზე საერთაშორისო ექსპერტების აზრი ყოველთვის ერთსულოვანია: ან ასეთ გადაწყვეტილებებს საქმეში ჩაუხედავი პირები ღებულობენ ან ეს კეთდება შეგნებულად და სექტორში რეგულირების რეალური განვითარების შეფერხებას და კორუფციისა და პროდუქციის მასიური დატაცების პირობების შენარჩუნებას ემსახურება. ამავე მიზნით ეფექტურად შეიძლება იქნას გამოყენებული, აგრეთვე, საფასურის გადახდის მოწესრიგების პროცესის რეალურად დაძვრისთანავე მარეგულირებელი და ფინანსური მართვის ინსტიტუტების რეორგანიზაციის ჩატარება (ან, როგორც მინიმუმი, სახელისუფლო დონეზე ასეთი გეგმების დეკლარირების დაწყება).

ხაზი ესმება იმ გარემოებასაც, რომ საფასურის გადახდის პრობლემის გადაწყვეტა, თუ ქვეყანაში ამის პოლიტიკური ნება არსებობს, დარგის, პრაქტიკულად, ყველა შესაძლო საკუთრების ფორმისა და სტრუქტურული სქემის პირობებში შეიძლება. მეზობელმა სომხეთმა, მაგალითად, ეს პრობლემა ძირითადად (85-პროცენტიან ამოღებამდე) ჯერ კიდევ 1995-1996 წლებში გადაწყვიტა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, საბჭოთა ტიპის "არმენერგოს" დონეზე. შედეგად, სომხეთმა არ დაუშვა ენერგოსისტემის მრავალწლიანი ძარცვა და დღეს, საკუთარი მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებასთან ერთად, ენერგიით ჩვენც გვამარაგებს.

ამგვარად, ჩვენ მოვედით საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და, შესაძლოა, მთელი ეკონომიკის ცენტრალურ პრობლემასთან, რომელსაც რეფორმირების ნებისმიერი გეგმის განხილვის დროს ლაკმუსის ქაღალდის როლი ეკისრება.

დღევანდელ მსოფლიოში ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გამანაწილებელ სისტემებში მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოუღებლობის ქრონიკული ხასიათი ქვეყნის სახელისუფლებო ვერტიკალის გამჭოლი კორუმპირებულობისა და საინვესტიციო კლიმატის უვარგისობის უტყუარ ინდიკატორად ითვლება. საქართველოს წინა ხელისუფლებამ ეს პრობლემა, პრაქტიკულად, ქვეყნის ეკონომიკის დაქცევისა და საქართველოს სახელმწიფოდ არშედგომის ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორის დონეზე აიყვანა.

2004 წლიდან ქვეყნის ენერგეტიკის მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ქვეყნის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ პირველად დააყენა წინა პლანზე მოხმარებული ენერგიის საფასურის გადახდის მოწესრიგებისა და არსებული ელექტროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პრიორიტეტები. დაიწყო სასიცოცხლო მნიშვნელობის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტიდან დაფინანსება. 2005-2006 წლები ხდება გადამწყვეტი წლები ქვეყანაში აღრიცხვისა და გადახდის ტექნიკური და ორგანიზაციული სისტემების მოდერნიზაციისა და ამ სფეროში გარდატეხის მიღწევის საქმეში.

როგორი ადგილი უჭირავს ელექტროენერგეტიკის რეფორმირების განხილულ გეგმაში აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს პრობლემას? ფორმალურად - არავითარი, რეალურად - არაადეკვატური. საფასურის გადახდის მოწესრიგების პრობლემა და ამჟამად მიმდინარე სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ სხვათა შორის მოიხსენება და ისიც, ნეგატიურ კონტექსტში ("არაფერი გამოვა", "ახალ მრიცხველებს მაინც გადაჭრიან" და ა.შ.). ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, რეფორმატორების გუნდის პრინციპულ შეცდომებს შორის არამარტო ყველაზე მნიშვნელოვანია, არამედ - ყველაზე სახიფათოც.

საქართველოს რეალურ პირობებში ხსენებული პრობლემის სწორედ სახელმწიფო ძალისხმევისა და სალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ბაზაზე გადაწყვეტა არის დარგის წარმატებული რეფორმირების აუცილებელი წინაპირობა. განვლილი უმძიმესი ათწლეულის შემდეგ მხოლოდ ხელისუფლების მიდგომების რადიკალური ცვლილების დემონსტრაციას შეუძლია, შეცვალოს პოტენციალური ინვესტორების მხრიდან ჩვენი საინვესტიციო გარემოს შეფასების ნიშანი. ამოღების დონის 80 პროცენტზე ზემოთ ამოწევა ნახტომისებურად აამაღლებს საქართველოს ელექტროენერგეტიკის საპრივატიზაციო მიმზიდველობას და მთლიანად მოხსნის ამ მიზნით ენერგოკომპანიების ჯგუფების შექმნის საკითხს (ერთ-ერთ შესაძლო კონფიგურაციას რეფორმატორებიც გვთავაზობენ). უფრო მეტიც, პრივატიზაციის პროცესში დამატებით გენერაციისა და განაწილების ობიექტების არცთუ ძალიან სასურველი ერთობლივი ფლობის მასშტაბების შეზღუდვის საშუალებაც მოგვეცემა.

ამავე დროს, პრობლემა თავისთავად უაღრესად მძიმეა. ყოველწლიურად ასეული მილიონი ლარის შთანთქმელი შავი სისტემის დემონტაჟს დარგის სტრუქტურებისა და ხელისუფლების ყველა რგოლის ერთიანი და უწყვეტი ძალისხმევა სჭირდება. ამ ერთიანობაში ნებისმიერი ნაპრალის გაჩენა (რასაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, ხელისუფლების რეგიონული რგოლების მხრიდან) დაუყოვნებლივ კონტრშეტევის წამოწყების შესაძლებლობის სიგნალად აღიქმება.

ამის გამო, პრობლემის გადაწყვეტის მიმდინარე კრიტიკულ ეტაპზე ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლის მიერ სემეკისა და ელექტრობაზრის მკვეთრი ფუნქციონალური და ორგანიზაციული ტრანსფორმაციების დეკლარირება ასეთივე სიგნალის როლს თამაშობს და ხსენებული სახელმწიფო პროგრამის ტორპედირების ფაქტორი ხდება.

საფასურის ამოღების გაუმჯობესების მთავარი წარმმართველი რგოლების თითქმის საოპერაციო მაგიდაზე დადების კანდიდატებად გამოცხადებამ, როგორც ჩანს, გარკვეულ ძალებს უკვე მოაგონა გასული ათწლეულის განუკითხაობის სურნელი. ყოველ შემთხვევაში, ბოლო თვეებში არა მარტო შეჩერდა საფასურის ამოღების უწყვეტი გაუმჯობესების პროცესი, არამედ 2005 წლის I კვარტალში უკუტენდენციამაც კი იჩინა თავი. შესამჩნევად გაუარესდა ლიცენზიანტთა მიერ რეგულირების საფასურის და სანევროების გადახდა.

რადგანაც საქართველოს ელექტროენერგეტიკის წინა ათწლეულის სიტუაციაში დაბრუნება სრულიად დაუშვებელია, დარგის დამოუკიდებელი რეგულირებისა და ფინანსური მართვის ინსტიტუტების სტაბილური ფუნქციონირება საიმედოდ უნდა იყოს დაცული, განსაკუთრებით, დარგის ყველაზე კრიტიკული პრობლემის გადაწყვეტაზე მიმართული სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ეტაპზე.

ამასთან ერთად, არსებული სისტემა და ინსტიტუტები, საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზასთან ერთად, შემდგომ განვითარებას და დახვეწას აუცილებლად საჭიროებს. ოღონდ, ეს უნდა იყოს საფუძვლიანი, თანმიმდევრულად წარმართული ევოლუციური პროცესი, რომელიც ერთნაირად ეფექტურად გამოიყენებს მსოფლიო და საკუთარ გამოცდილებას, უცხოელი ექსპერტების, პარტნიორების და თითქმის ათწლეულის მანძილზე ფუნქციონირების პროცესში სემეკისა და ელექტრობაზრის თანამშრომლების შედარებით ნორმალური ანაზღაურების წყალობით საქართველოში შექმნილ პროფესიულ პოტენციალს.

მთაში მელექსე, ბარში მესვეტე



B2

ბრინჯაოს პლუს ბრინჯაო



B5

ალიშა ქიზი ახალი ჯილდოების მოლოდინში



B8

# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

სოსო ჩამოვიდა, პავლიაშვილი! გიხაროდენ!

მადლობა ღმერთს, "24 საათს" ეყო გემოვნება და ეს ცნობა ბოლო გვერდის ბოლო კუთხეში დაბეჭდა — არ მახსოვს... გასული კვირის რომელიღაც დღეს. არც მე დავიწყებდი დღევანდელ სტატიას ასეთი შეძახილით, მაგრამ დაავადების სიმპტომები აშკარაა, ხოლო დაჩირქებულ წყლულთან მიკარება ვისაც ეშინია ან ეზიზღება, ვერავის განკურნავს...

ამიტომ ვახსენოთ ღმერთი და გადავეშვათ ჩვენი უტყვი საზოგადოების ანამნეზში. პირველი სიტყვა საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის, რომელმაც წინა კვირას ძალუმად დაჰკრა ჩაქუჩი დაცარიელებული "ივერიის" კედელს, წარმოიდგინა "მემარჯვენეთა" ლიდერის, **დავით გამყრელიძის** მომღიმარი სახე და თქვა: **"ბრმა ან ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, ვინც თავდაცვის სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებს ვერ ხედავს, ვინც საპირისპირო განცხადებებს აკეთებს, ისინი უბრალოდ ენას და გულს იფხანენ"**.

მაშ ასე, თავდაცვის სფეროში წინ გადადგმულ ნაბიჯებს უნდა ვხედავდეთ. რას ვხედავთ? — არა, საგურამოს სამხედრო ნაწილზე, თუ გნებავთ, სიტყვასაც არ დავძრავ, არც ოსიაურზე ვიტყვი რამეს. მაგრამ შეკითხვები მაინც რჩება. ჯერ ერთი, რას გულისხმობენ, როცა თავდაცვაზე საუბრობენ? 11 აპრილის ნომერში "24 საათი" გვამცნობს, რომ პრეზიდენტის თქმით, **"თავის დროზე დავით აღმაშენებელს ყივჩაღები, ანუ ყაზახების წინაპრები დაეხმარნენ, ახლა საქართველოსაც სჭირდება ახალი ყივჩაღების დახმარება, ოღონდ არა იარაღით, რადგან ამის უნარი ჩვენც შეგვწევს"**. არ მეგონა, მიხეილ სააკაშვილი თუ იზიარებდა **ოლჟას სულეიმენოვის** "თეორიას" ყაზახების წარმოშობის შესახებ, მაგრამ ახლა სულ სხვა რამ მაინტერესებს: "ამის უნარი ჩვენც შეგვწევს". რისი უნარი? არა, არა, არ გეგონოთ, ეჭვი მეპარებოდეს — უბრალოდ, პრეზიდენტის ამ და სხვა სიტყვებიდან ვერ გავიგე, სახელდობრ რისი უნარი შეგვწევს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საკუთრივ რა მიმართულებით გადავდგით წინ მიმავალი ნაბიჯები თავდაცვის სფეროში?

ჯერჯერობით პასუხი ერთადერთია: ყველაზე აშკარა მიმართულება ნატოში ინტეგრაციაა. ჯარი იმისთვის გვჭირდება, რომ ნატოს სტანდარტები დააკმაყოფილოს და ბოლოს და ბოლოს მიგვიღონ ამ სანატრელ თავშესაფარში. კეთილი და პატიოსანი: ეგ მეც მინდა. მაშინ თავდაცვის პრობლემა მართლაც საგრძნობლად და, ვიტყოდი, რადიკალურად გადაწყდება. მაგრამ დღეს, აქ და ახლა ან, თუ გნებავთ, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ — hic et nunc — რა მდგომარეობაშია ჩვენი თავდაცვა, ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოება, რომელსაც, გასაგები მიზნების გამო, მაშინ უფრო ემუქრება საფრთხე, როცა იარაღის ჟღარუნი არ ისმის?

სავალალო მდგომარეობაშია, ბატონებო. და ამას ჩვენზე კარგად სწორედ ამერიკელები გრძნობენ, რომლებიც უკვე რამდენი ხანია, რაც უჩიჩინებენ ჩვენს მთავრობას, რომ არ შეიძლება გაზსადენის პრივატიზაცია.

14 აპრილს "24 საათმა" გვანუგეშა: *გაზსადენის პრივატიზაცია შეჩერებულია*. მაგრამ ამ სათაურს ერთი მინაწერიც ახლავს: *ბუშის ვიზიტის წინ ხელისუფლება პოზიციებს "არბილებს"*. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ეს პუბლიკაცია. თურმე მარტო ამერიკის ხელისუფლება არ ცდილობს საქმის გარკვევას: მოქმედებაში ჩაერთო კონრად ადენაუერის ფონდი (გერმანია), ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი და თვით ჩვენი გაზეთიც, რათა **"ხელისუფლების პოზიცია გარკვევით ჩამოყალიბებულიყო"**. ერთი სიტყვით, მოიწვიეს მთავრობის წევრები საქმეზე სალაპარაკოდ. სიმპტომატური დეტალი: სახელმწიფო მინისტრი **კახა ბენდუქიძე** არ გამოცხადდა, ენერგეტიკის მინისტრმა **ნიკა გილაურმა** კი საბოლოო სიცხადე მაინც ვერ შეიტანა საკითხის განხილვაში. პრივატიზაცია შეჩერებულია, მაგრამ როდემდე?

იმედია, სანამ ამ სტატიის წაკითხვას მოასწრებდეთ, მანამ არ გაასხვისებენ გაზსადენს. ჩვენ კი დრო ვიხელთოთ და ექსპერტს მოვუსმინოთ. საგაზეთო პუბლიკაციაში მოყვანილია **ლიანა ჯერვალიძის** სიტყვები, რომელთა გამეორება ნამდვილად ღირს თავიდან ბოლომდე, ოღონდ ეტაპობრივად, მათი აზრი რომ უფრო ნათელი და შთამბეჭდავი გახდეს.

მაშ ასე, ეტაპი პირველი: **"რუსული სახელმწიფო მონოპოლისტისთვის — "გაზპრომისთვის" მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვა პრივატიზაციის ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს. პრივატიზაცია სახელმწიფო ქონების კერძო მფლობელობაში გადაცემას გულისხმობს და არა საკუთარი სახელმწიფო კომპანიისთვის ქონების ჩამორთმევას და არაკეთილგანწყობილი ქვეყნის სახელმწიფო მონოპოლისტი კომპანიისთვის გადაცემას"**. თავის დროზე, რომის იმპერიას შემოსეულმა ბარბაროსებმა ერთ საინტერესო ხერხს მიაგნეს: ალყაშემორტყმული ქალაქის კარებს იარაღზე უკეთ ოქროთი დატვირთული სახედარი აღებდა. ერთი საპალნე ოქროს ფასად მთელი ქალაქი! ჰოდა, აქაც იგივე მდგომარეობაა: არცა აქვს მნიშვნელობა, შეგწევს თუ არა ყივჩაღთა დაუხმარებლად იარაღის ჟღარუნი — მაინც მტრის ხელში ხარ და ვერც ამჩნევ.

ეტაპი მეორე: **"რუსული სახელმწიფო მონოპოლისტი კომპანია "გაზპრომისათვის" მაგისტრალური მილსადენების მიყიდვა სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით; ხელს შეუშლის ქვეყანაში ტრანსპარენტული და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას"**. ბაზრის ჩამოყალიბებას ვინ ჩივის — ჩვენ ექსპერტის შეფასებაში ერთ წამიერ გაელვებას გამოვეკიდოთ — შიდა პოლიტიკური უსაფრთხოება. დიახ, ბატონებო, "გაზპრომი" ყოველთვის მონახავს ერთ-ორ კაპიკს, რომ საქართველოში ისეთი პოლიტიკური დაჯგუფება შექმნას, რომელიც ხმამაღლა იყვირებს ქართულ ტრადიციებზე, მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეროვნულ იდეოლოგიაზე, საქმით კი რუსულ ინტერესებს დაიცავს და შეასრულებს. არავინ თქვას, რომ ეს შეუძლებელია და ჯერაც არ ყოფილა. უბრალოდ, ეს ყველაფერი საგრძნობლად და რადიკალურად გაადვილდება.

მით უმეტეს, რომ რუსეთის მხარეს უცნაური გადახრა უკვე საკმაოდ ცხადია: განა დავით მორჩილაძეს არ უპირებენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშვნას საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დარგში? ამაზე მეც ვწერდი გასულ კვირას, 15 აპრილს და, ვგონებ, საკმაოდ დამაჯერებლად ავხსენი, რას ნიშნავს ასეთი "საკადრო პოლიტიკა". ახლა აღარ დავიწყებ უკვე ნათქვამის გამეორებას, მაგრამ უამისოდაც გასაგებია, რომ შიდა პოლიტიკური სიტუაციის დამძიმებას მაშინაც ვერაფერს ვუშველით, ოქრუაშვილის გაღვიძებულმა რეზერვისტებმა სუნთქვის დაუგდებლად რომ ირბინონ ათ-ათი კილომეტრი ყოველდღე.

ეტაპი მესამე: **"თუ იმ საფრთხეებს გავითვალისწინებთ, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას ნამდვილად მოჰყვება, "გაზპრომისათვის" მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვა მხოლოდ მილსადენების არსებული ტექნიკური მდგომარეობის საბაბით, სერიოზული მიდგომა არ არის"**. ჰო, ეს მარტივი აზრი, ფსალმუნის ენით რომ ვთქვათ, ცხენსაც ესმის და ჯორსაც. ჩვენც გვესმის და ძნელად დავუშვებთ, რომ მთავრობაში არ ესმით. მაგრამ მაინც სერიოზულად დადგა "გაზპრომისთვის" მაგისტრალების მიყიდვის საკითხი. რატომ? აქ ორი შესაძლებლობაა...

პირველის გასაგებად **თამარ მჭედლიშვილის** ერთი პუბლიკაცია ვნახოთ (*უმრავლესობის ყოფილი წევრი — საინტერესო რესპონდენტი*, 11 აპრილი). აქ ვკითხულობთ, რომ დეპუტატმა **გოჩა ჯოჯუამ** უმრავლესობა დატოვა და თავისი ნაბიჯი იმით ახსნა, რომ უმრავლესობაში არსებული კონფლიქტის მთავარი მიზეზი ფინანსური ინტერესებია: **"ეს შესანიშნავად გამოჩნდა ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის ლიცენზირების შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს. ქვეყანაში ახალი მონოპოლისტები ჩნდებიან და მათი ლობისტები სწორედ საპარლამენტო უმრავლესობაში არიან"**. ამაში არაფერია დაუჯერებელი. როცა დაცვის წევრის უსამართლო და უკანონო ცემისთვის გმირად გაცხადებენ ესეც ორი მიზეზით შეიძლება ხდებოდეს: ან ძალიან საჭირო ხარ, ან ძალიან ბევრი იცი. ჩვენს სასარგებლოდ კი არც ერთი არ მოქმედებს, ჩემო მკითხველო. მაგრამ ჩვენს მთავარ თემას რომ დავუბრუნდეთ, იქნებ უკვე გამოყო "გაზპრომმა" გაძვირებული ნედლეულით ვაჭრობაში მოხვეჭილი ფულებით დახუნძლული საცეცები? იქნებ ვინმე "ჩვენიანმა" უკვე გამოჰკრა ხელი ან, ხელი თუ არ გამოჰკრა, პირწყალი მაინც მოუვიდა მათ დანახვაზე?

როგორც ვამბობდი, არსებობს მეორე შესაძლებლობაც: იქნებ, ქართველი ხელისუფალნი, ასე ვთქვათ, **მიშა მესხის** ფინტს მიმართავენ, ანუ ტყუილად შეჰყარეს ქვეყანა, რომ დასავლელ დონორებს მეტი ფაციფუცით დაეხარჯათ გაზსადენის სარემონტო თანხები. არ ვიცი, მე კი კაცის სიხარბისა უფრო მჯერა, ვიდრე ჭკუისა. მით უმეტეს, რომ ჩვენი მთავრობა იმასაც ვერ ხვდება, რომ თბილისში ჩამოსულ **ჯორჯ ბუშს** აუცილებლად ეყოლება გვერდით ვინმე (თუნდაც იგივე რიჩარდ მაილსი), საჭირო მომენტში რომ ჩასჩურჩულოს ყურში: "მაი ნამდვილი არ გეგონოთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ჩამოსვლიზა მოაწყვეს მასთე, თვარა თქვენი გაფრენის მერე ისევ იგივე ჯღანი დარჩება, რაც მანამდე იყო".

რას იტყვის ახლა მიხეილ სააკაშვილი? იმის მტკიცებას ხომ არ დაიწყებს, ჩემს გუნდში მარტო ფრთიანი ანგელოზები არიანო? თუმცა ამ თვალსაზრისით მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი. აი, 14 აპრილს **თამარ ხორბალაძემ** გადმოგვცა პრეზიდენტის სიტყვები: **"საქართველოში ბიუროკრატიის წინააღმდეგ ახალი რევოლუცია უნდა მოხდეს"**. აგაშენა ღმერთმა! მაგრამ მეორე განცხადება უკვე ოდნავ საეჭვოა: **"რევოლუცია მოახდინა ხალხმა და თუ აქამდე ამ ხალხს ბიუროკრატია უწესებდა კანონს, ახლა ხალხი დაუწესებს ბიუროკრატიას კანონებს"**. ჰმ, ბიუროკრატია რაღაც კონკრეტულია, რაღაც განსაზღვრადი და აუცილებელი. ხალხი კი მხოლოდ მაშინ გამოდის სცენაზე, მხოლოდ მაშინ იქცევა ქმედით და ორგანიზებულ ძალად, როცა რაღაც განსაკუთრებული ხდება, როცა ფორსმაჟორული ვითარებაა. გამოდის, რომ მთელი ცხოვრება ფორსმაჟორში უნდა ვიცხოვროთ? დაიცადეთ, ისევ პრეზიდენტს ვკითხოთ: **"გაუქმდება კვების პროდუქტების ხარისხის შემოწმების კომისია, ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და კონტროლი, აღარ იქნება ლიცენზიები საქალაქთაშორისო გადაზიდვებზე ... გაუქმდება წინასარეისო სამედიცინო შემოწმება"**. ეგრე, შე კაცო! — თურმე უსაფრთხოების ზომებსა და წესრიგის უკანასკნელ ბასტიონებს ებრძვის და არა ბიუროკრატიას. მაგრამ უფრო სერიოზულად განვიხილოთ საკითხი. მთავარი არგუმენტი ასეთია: ეს ყველაფერი ისედაც არ მუშაობს დანიშნულებით და მოსახლეობისაგან ფულის გამოძალვის საშუალებად იქცა. მართალია, ვერაფერს იტყვი. მაგრამ მდგომარეობის გამოსწორების ხერხი სრულიად არაადეკვატურია: არავის ეპარება ეჭვი, რომ ქერტლის წინააღმდეგ ყველაზე რადიკალური საშუალება გილიოტინაა, მაგრამ მოგებისა და ზარალის ბალანსი აშკარად უარყოფითია.

კიდევ ისიც ვიკითხოთ, სავიზო რეჟიმს რომ აუქმებენ. არა, მართლაც უნდა გაუქმდეს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს სტუმრებმა აეროპორტში იმ ვიწრო სარკმელში არ გაყონ ხოლმე თავები ვიზის მისაღებად, მაგრამ ნუ გვეუბნებიან, თითქოს სავიზო რეჟიმის გაუქმებისგან მიყენებულ ზარალს ტურიზმის განვითარება აანაზღაურებს. სავიზო რეჟიმი კი არ ამუხრუჭებს ტურიზმს, არამედ ისევ და ისევ უსაფრთხოება და ცხოვრების პირობები. ჯორჯ ბუშს რა უჭირს — რაც ამერიკაში "ექსტაზის" ბარიგებია, ყველას დაცვაში დაიყენებს და იქნება არხეინად. საწყალმა მშრომელმა უცხოელებმა რა ქნან? ეტაკება ვინმე აბანოთუბანში ან ვაკის პარკთან, ჩაარტყამს რამეს თავში და ამოაცლის ნაოფლარ დოლარებს თუ ევროებს. არა, შეიძლება რაღაც ეკონომიკური ეფექტი მართლაც იყოს, მაგრამ რატომ არ გვარწმუნებენ? — რა გახდა "პაუერ პოინტში" გაკეთებული ერთი პრეზენტაცია, ორი გრაფიკი და სამი ფერადი ფოტო? ისიც გვეყოფა, ნათელაშვილი რომ გვაიძულებს სულ მუდამ სიტყვაზე ვენდოთ. ისე კი, თავის წილ ქართველობას ის დალოცვილიც ატყუებს, ასე რომ გაისარჯეთ, ბიჭებო, და ნუ გგონიათ, რომ თუ მინისტრის მოადგილე გქვია და მიკროფონის წინ დადგები, ყველაფერი დაგეჯერება.

მით უმეტეს, რახან საქართველოში საკვებზე კონტროლი გაუქმდება, სულ აღარავინ არ ჩამოვა. იმათი ელჩები აქ მხოლოდ ფულის საკეთებლად და ბიჭებთან სალლაბუცოდ კი არ ჩამოდიან. ხანდახან მუშაობენ კიდეც და საკუთარ მთავრობას სასარგებლო ინფორმაციასაც აწოდებენ.

არ შეიძლება ასეთი პასუხსაგები გადაწყვეტილებების ასე ჰაიჰარად მიღება: რატომ გადაწყვიტა ასე ნაჩქარევად, ჯერ **გელა ჩარკვიანისთვის** მაინც ეკითხა — ტყუილად ხომ არ დაინიშნა პრეზიდენტის რუპორად ეს სიბრძნით აღსავსე კაცი, რომელსაც დავით აღმაშენებლის დროს რომ ეცხოვრა, არაბული წყაროები აუცილებლად მოიხსენიებდნენ როგორც **აბუ ირაკლი იბნ კანდიდს**.

ესეც ჩვენი თავდაცვის ამბები და მისი გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები. ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ მტერი მარტო იმას არ ჰქვია, ვინც იარაღით მოდის შენკენ. ჩვენი უსაფრთხოების მესვეურები კი გადაჰყვნენ ერთმანეთთან ბუტიაობასა და ამ ბუტიაობის მალვას. თვალი გაახილეთ, ბიჭებო, აზრზე მოდით, თორემ ისე წააგებთ ქვეყანას, ვერც კი შეამჩნევთ. ქვეყნის წამგებებს კი არ გეგონოთ, რამეს მოიგებთ. პუტინსა და ჩუბაისს არაფრად სჭირდებით. აი, სოსო პავლიაშვილიც წვალობს, საწყალი, იქნებ რამით მოვაწონო თავიო, მაგრამ რად გინდა: ვაჟი სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში შეიყვანა — აბა, როგორ?! "ზაშჩიტნიკ ოტეჩესტვა" იზრდება (რომელი "ოტეჩესტვო"?). თვითონაც ხომ წმინდა სისხლის ქართველია, როგორც თბილისში ჩამოსვლისთანავე განაცხადა... რას გადავეკიდე ამ პავლიაშვილს? ჰო, გამახსენდა: მისი ჩამოსვლა მშვენიერი მაგალითია ნამდვილად ქართული გაუგებრობისა.

სოსო პავლიაშვილის ოფიციალურ საიტზე (www.soso-pavliashvili.ru) არის ერთი ინტერვიუ, რომელშიც ვკითხულობთ: **"დარწმუნებული ვარ, რომ ტერორისტების მიზანი რუსეთში პუტინის პირადი მტრობაა. ტრაგედიის რეჟისორი სხვა ქვეყანაში ზის, იცინის და იღიმება. მას კავკასიელებიცა და რუსებიც, ყველა ჩვენგანი სულ (ტუ-ტუ-ტუ) ჰკიდია. პირველი შეკითხვა ასეთი უნდა დავსვათ: ვის სძულს პუტინი და ვისა აქვს ამდენი ფული?"**.

პავლიაშვილის ჩამოსვლა საქართველოში ითავა ფირმამ, რომელსაც ნამდვილად კიჩური სახელი, "სიკეთე" ჰქვია. ნამდვილად ვერ დავადგინე, მაგრამ არის რაღაც ნიშნები, რომ ფინანსური ძაფები **ბადრი პატარკაციშვილის** ჯიბეში იკვეთება. კეთილია ქართველი კაცი: არაფერი ენანება მისთვისაც კი, ვინც მის მეგობარს — ამ შემთხვევაში **ბორის ბერეზოვსკის** აბეზღებს მის მტერთან, ანუ **ვლადიმირ პუტინთან**.

ეჰ, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ამათ. ჩვენ კი კარგად ვიყოთ ჩემო მკითხველო. სოსო პავლიაშვილს კი ვუთხრათ: "грузин, он не Ирочку какую-нибудь ждет, а Джорджа Буша, понял?". მით უმეტეს, რომ ისედაც ბევრი საქმე გვაქვს — ფანჯრებია დასარეცხი და ქუჩებიდან ბოთლების ნამსხვრევები და ბანანის ქერქებია ასაკრეფი, იქნებ მაღალმა სტუმარმა ჩვენს წმინდა მიწაზე და მაისის ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გავლა მოინდომოს. დავიჯერო, გალაკტიონი წაკითხული არ ექნება?

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნესტან კვინიკაძის სვეტი

# მთაში მელექსე, ბარში მესვეტე



რა უცნაურია, ჩვენ ყველანი ერთ დროში ვცხოვრობთ! ვინ ჩვენ და ხევისბერიც, ყოველ 14 იანვარს გუდამაყარში, არაგვში, ყინულს რომ ამტვრევს, შიგ ჩადის და განიბანება. შებინდებულზე კი სოფლის ბავშვები წივილ-კივილით ბრუნდებიან სახლებში, კუდიანები მოგვდევენო. კი ბატონო! დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, არა მხოლოდ ბავშვებს, ჯერ კიდევ სჯერათ დევების და ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ქვაში თუ ხეში გამოთლილ სალოცავებში მოწიწებით ანთებენ სანთლებს. ამ დროში ცხოვრობენ სხვებიც: გაწონასწორებულებიც და სუსტებიც, - მხრებში მოხრილობით რომ გამოიჭერ უსუსურობაში; ტრანსვესტიტები და რეტროგრადები, და კიდევ ისინი, უფრო საშიშები, არიქა, რეტროგრადობა არ დაგვაბრალონო და ტუალეტის ქაღალდზე კბილის პასტით დახატული ხელოვნების თაყვანისმცემლები რომ ხდებიან.

ერთდროულად დუღს "პომპიდუს ცენტრიც" და "ლუვრიც". დაცულია "ოქროს ფონდში" უნიკალური მასალა. მეხსიერება ერთდროულად ინახავს მოგონებას ენდი უორჰოლისა თუ ფარაჯანოვის შესახებ. ჩვენ ყველანი ისევ ვცხოვრობთ Twins-ებისა და ინდონეზიის სანაპიროების გარეშე... მთაში ყველა მელექსეა, ბარში - მესვეტე. ჩვენ ვიგონებთ პრემიებს, ზოგჯერ გამომწვევი "სიმშვიდის", ზოგჯერ კი ღირებული პროზის ან აქტუალური ქვეყნის დასაჯილდოებლად. ვმონაწილეობთ რევოლუციებში და თავიდან ვიწყებთ ყველაფერს.

ჩვენ ვართ კონცენტრირებულები ულტრაცისფერი მონიტორების წინ და ხან Delete-ით, ხანაც Enter-ით, ჩვენი კონცეფციების კოპირებას ვახდენთ.

თვალდახუჭულები, ხელით ვარჩევთ "საეპისკოპოსო აბრეშუმს" თუ ოციანი წლების ხავერდს. ვკვეთავთ ბიოლოგიურ დერეფნებს, რომ ერთმანეთის კულტურებში გაუცხოება მოვხსნათ.

ერთ სიბრტყეზე ვცხოვრობთ სხვადასხვა სიღრმეებით, თმის ფერითა და პროფილებით, ჰოროსკოპებით, სადაც ზოგს ორი ქორწინება, ზოგსაც უშვილობა, ვიღაცას გარდაუვალი ემიგრაცია თუ მეცნიერებაში დიდი წარმატების მიღწევა ელოდება.

უხვად გვაქვს ის, რაც არ გვჭირდება და არ გვაქვს ის ერთი, რაც მთავარია ხოლმე, ან პირიქით... ერთნი მარტოობაში კვდებიან, სხვებს მეფეებივით კრძალავენ. მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ყველანი ერთ დროში ვცხოვრობთ, შვეიცარიული საათებით მაჯადამშვენებულები და მერე ტაშის დაკვრისგან გაჩერებული ეს საათები.

რატომ ვარ მარტოო, გაიფიქრებს კაცი და ღმერთი მოუვლენს ქალს "იმისთვის, რომ კაცმა უკეთ იგრძნოს საკუთარი მარტოობა".

ერთ საფოსტო ყუთში ყრია ჩვენი წერილები, სადაც მე - პასუხს, ის - ფულს, ეს კი - ახსნა-განმარტებას ითხოვს. მერე ამ ყუთებს სხვებს შეურევენ და საჰაერო დერეფნებში ხომალდები გადაიტანენ ჩვენს სიტყვებს. ამ ხომალდში მხოლოდ ბორტგამყოლები არიან მშვიდად, არ შორდებათ ღიმილი... და არ მთავრდება კომუნიკაციის დაუოკებელი სურვილი აეროპორტებში და სადგურებში, სასტუმროებში და პორტებში. ფოტოაპარატებით იმ წამებს ვაფიქსირებთ, არასოდეს რომ აღარ განმეორდება.

სიყვარულით ტრავმირებულები და პირიქით - ბედნიერები, ერთმანეთის გვერდით ვხვდებით ხოლმე თეატრებში, კინოში და გმირებთან ვახდენთ იდენტიფიკაციას.

გვაქვს ხელის ტელეფონები, დისტანციური მართვის პულტები - მაინც რამდენ ხანს ვიგონებდით კომფორტს?! გვაქვს გარუჯული და ზეითუნის ზეთით დაზელილი სხეულები. გვაქვს გზები - სხვადასხვა, ტბასთან, ბართან, ან სახლთან რომ მიგიყვანს. გზები ფათერაკებით ან ფათერაკების გარეშე.

ვართ მიკროსამყაროში გამოკეტილები და კოსმოპოლიტები; მგრძნობიარენი და ნაკლებად ემოციურები; ავანგარდის მოციქულები და პოსტმოდერნიზმით აღფრთოვანებულები; მალამოების დამზადებაში დახელოვნებულები და ბავშვობის მოგონებებით გულაჩუყებულები: როგორ ვტოვებდით საზაფხულო აგარაკებს...

გვაქვს აჩემებული ადგილები, ადამიანები, ჩვევები, ვერაფრით რომ ვერ გადავეჩვიეთ, მაგრამ არ გვყოფნის სიტყვები, რომ ამ ყველაფერს სახელები უწოდოთ. არ გვყოფნის ზედსართავები, რომ შევაფასოთ. რადგან რეალურად უსიტყვოდაც ვხვდებით, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

ჩვენ ვიცით, რომ ყველანი ერთ დროში ვცხოვრობთ და არაფერია ამაში უცნაური!

უცნაური ის იქნებოდა, რომ ამ დროში მხოლოდ ხევისბერებს ეცხოვრათ და ყოველ 14 იანვარს ჩაემტვრიათ ყინული, ან მხოლოდ აჟიტირებული ბავშვების დრო რომ ყოფილიყო. უცნაური იქნებოდა, აბა რა, მხოლოდ სუსტები რომ მოხრილიყვნენ მხრებში! და მელექსენი?.. ან რეტროგრადების ხელში რომ ჩავარდნილიყო ენდი უორჰოლის შემოქმედება. უცნაური იქნებოდა, ერთ საფოსტო ყუთში ერთი და იგივე შინაარსის წერილის ხილვა... და ფაქტურებად, სოციალურ ფენებად, ზომების და სურნელების მიხედვით, საზღვრების გარეშე დაგეგმარებულიყო დრო, სადაც ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობთ, მაგრამ, რეალურად, ერთმანეთს არ განვიცდით.

# თანამედროვე არტის ტენდენციები რუსეთიდან

## ხელოვნება, რომელმაც უნდა დაამეგობროს

ვერა ნეფარიძე

*დღეიდან თბილისში იწყება რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეები, რომელსაც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად რუსეთის ფედერაციის კულტურისა და მასობრივი კომუნიკაციების სამინისტრო, ასევე რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტო მართავენ. ღონისძიებას დღეს საღამოს ოფიციალურად გიორგი გაბაშვილი და რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი, ყოფილი კულტურის მინისტრი, ამჟამად რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს დირექტორი მიხაილ შვიდკოი გახსნიან.*



*კვირეულის ჩასახვა*

ხელოვნება ამეგობრებს - როგორც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ამბობენ, სწორედ ამ განწყობით შეადგინეს მათ რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეების პროექტი, რომელიც მოსკოვში 2003 წელს გამართული ქართული კულტურის დღეების საპასუხოა. ასეთი კეთილგანწყობილი პასუხი კი, როგორც ჩანს, შარშანწინ (13-16 ოქტომბერს) მოსკოვში საქართველოს კულტურის დღეებისადმი ადგილობრივი მედიის პოზიტიურმა გამოხმაურებამაც განაპირობა: "ქართული კულტურის დღეები საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა მოსკოვის კულტურული სივრცის გამრვალფეროვნებისთვის", - თქვეს რუსმა ჟურნალისტებმა. ექნებათ თუ არა ისეთივე რეაქცია თბილისელებს, მათ, ვინც ამ კვირაში თანამედროვე რუსული კულტურის წარმოსადგენად გამართულ გამოფენებს, კონცერტებს, სპექტაკლებსა და კინოჩვენებებს დაესწრებიან? მარტის ბოლოს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსული მხარე, კონკრეტულად კი, რუსეთის კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალური სააგენტოს, თანამედროვე ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრე ზავალოკი ირწმუნებოდა, რომ მათ მიერ შედგენილი პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია და მის ძირითად ნაწილს რუსული თანამედროვე ხელოვნების ტენდენციები განსაზღვრავს. და მაინც, რა ჩამოგვიტანეს რუსებმა?

დღეს ქარვასლაში ერთდროულად სამი გამოფენა გაიხსნება. თბილისის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო სივრცე უმასპინძლებს მხატვარ ლეონიდ ტიშკოვს და მის ვიდეოინსტალაციას "სოლვეიგი - ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი"; სანქტ-პეტერბურგის "ქვილთკლუბის" გამოფენას "წიგნი დაბადებისა" და ფოტოექსპოზიციას "ომის გზები" (მოსკოვიდან ბერლინამდე), რომელშიც, როგორც პრესკონფერენციაზე შეგვპირდნენ, რამდენიმე უნიკალური და აქამდე ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ფოტონამუშევარი იქნება გამოფენილი. პარალელურად, ექსპოზიცია მეორე მსოფლიო ომის 60 წლისთავს მიეძღვნება.

სანქტ-პეტერბურგის "ქვილთკლუბის" გამოფენა პოსტმოდერნული სინთეტიკური კულტურის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. გამოფენა სახელწოდებით - "წიგნი დაბადებისა" 14 პანოსგან შედგება. 14 ნამუშევარი ასახავს 14 მოთხრობას, რომლის წაკითხვისთვის ყოველი წინადადება სიმბოლური ფერითაა გამოხატული. ვიზუალური ხელოვნებისა და ლიტერატურის კავშირი მთავარია მხატვრისა და მწერლის ლეონიდ ტიშკოვის შემოქმედებაში. "მე მხატვრულ-ლიტერატურული წიგნების მომხრე ვარ, ანუ როდესაც ავტორი ერთდროულად მხატვარიცაა და ლიტერატორიც", - ამბობს ლეონიდ ტიშკოვი. თბილისში იხილავენ ტიშკოვის ვიდეოინსტალაციას "სოლვეიგი. ჩემი მეხსიერების ლანდშაფტი". "მეხსიერება უდაბნოა, რომელსაც ჩვენ წარმოსახვით ვავსებთ... ჩემი ცხოვრების ლანდშაფტზე ურალის პატარა ქალაქს, ქარხნის საკვამურებს, გაყინულ გუბეებს და ვიწრო დათოვლილ ბილიკზე მიმავალ პატარა ბიჭის ფიგურას შეამჩნევთ... სწორედ ამ ბილიკით მე წარსულში ვმოგზაურობ და დროის ლაქებით ვაცოცხლებ სამყაროს, სადაც ბავშვობა უსასრულო თვალისმომჭრელ თოვლსა და სულის სიღრმესთან ასოცირდება. ჩემი მეხსიერების თოვლის ლანდშაფტზე ნათლად ჩანს დროის ლაქები: მამას ციგით დიდი ნაძვი მოაქვს, დედა სარეცხს ავლებს, გუბურის პირას პატარა სახლი დგას, ცხენი მარხილშია შებმული, ასევე თივის ზვინი, ძმები, ძაღლები, მებადურები, გამვლელები, თოვლში გამოქვაბული, ანგელოზი ნამქერში და სასაფლაო მახსენდება... თოვლი დროა - ეს არის თეთრი წარმოსახვითი ლანდშაფტი, სადაც მე საკუთარ მეხსიერებას ვათავსებ. სწორედ იქ, სადაც თოვლის ჰორიზონტზე მიწიერი და ტრანსცენდენტური სფეროები ერთდებიან", - ამბობს ავტორი საკუთარი ნამუშევრის შესახებ. დანარჩენს კი დღეს "ქარვასლის" საგამოფენო დარბაზებში გავიგებთ.

რუსეთის ფედერაციის კულტურის დღეების მუსიკალური ნაწილი კლასიკურ მუსიკას მოიცავს. ხვალ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ორგანიზებულ კონცერტს უმასპინძლებს. რახმანინოვი, სარასატე, ჩაიკოვსკი, რიმსკი-კორსაკოვი, ვერდი, გარანიანი, ბიზე, გერშვინი, გულდა, მილერი - იმ კომპოზიტორთა არასრული ჩამონათვალია, ვისი შემოქმედებიდანაც შეირჩა თბილისში შესასრულებელი ნაწარმოებები. მონაწილეებს შორის არიან: ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური ფილარმონიის სოლისტი ვადიმ რუდენკო (ფორტეპიანო), მოსკოვის სახელმწიფო აკადემიური ფილარმონიის სოლისტი ნადეჟდა ტოკარევა (ვიოლინო), რუსეთის სახალხო არტისტი, რუსეთის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი ევგენი პოლიკანინი (ბარიტონი), ჩაიკოვსკის სახელობის XII საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ბორის ანდრიანოვი (ჩელო), მოსკოვის მუსიკალური თეატრის "ჰელიკონ-ოპერას" სოლისტი და სხვები. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრი და დირიჟორი მურად ანამამედოვი.

თბილისს ეწვევა პოპულარული დასები: "ჰელიკონ ოპერა" (ყველაზე ბევრი "ოქროს ნიღაბი", ხმაურიანი და ამავდროულად საკმაოდ სკანდალური რეპუტაცია - ასე ახასიათებენ მოსკოვის მუსიკალურ თეატრ "ჰელიკონს", რომელსაც წლეულს 15 წელი შეუსრულდა), "თეატრი DOK" (მოსკოვი), "პროვინციული ცეკვები" (ეკატერინბურგი). სპექტაკლები წარმოდგენილი იქნება: კინომსახიობთა თეატრში, ვაკის "სარდაფში", "სამეფო უბნის თეატრსა" და რუსეთის საელჩოში.

ხვალვე კინოს სახლში გაიმართება თანამედროვე რუსული კინემატოგრაფის ოფიციალური გახსნა. 23 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა თაობის ცნობილი რეჟისორების ფილმები: "ჩვენები" (რეჟისორი დიმიტრი მესხიევი); "მამა" (რეჟისორი ვალერი ტოდოროვსკი), "ფარვანების თამაშები" (რეჟისორი ანდრეი პროშკინი); "ღამეა ნათელი" (რეჟისორი რომან ბალოიანი); "მამა" (რეჟისორი ვლადიმერ მაშკოვი). კვირეულის ფარგლებში დაგეგმილია "მრგვალი მაგიდა" რუსი და ქართველი ინტელექტუალების მონაწილეობით - თემა: "რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობები გუშინ, დღეს ხვალ".

# ბრძოლა წესების გარეშე

*გუშინდელმა შეხვედრამ თეატრალურ სარდაფში კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ "თამაშის წესების" დადგენა სახელმწიფოსა და თეატრებს შორის, უბრალოდ, აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ ქართულ თეატრალურ სივრცეში უფრო მძაფრ ხასიათს შეიძენს.*

თეატრალური საზოგადოება, სამწუხაროდ, მხოლოდ სარდაფისა და ახმეტელის თეატრებით იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება ხელისუფლებას, ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, როცა კულტურის მინისტრი, ქალაქის მერი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი და თეატრალური საზოგადოების უფროსი გვერდიგვერდ ვიხილეთ. ის კითხვები კი, რომლებიც გუშინდელ შეხვედრაზე თეატრების წარმომადგენლებმა დასვეს, დაახლოებით ასე ჟღერს: როგორ უნდა განვითარდეს ქართული თეატრი, როგორი უნდა იყოს ფინანსური პოლიტიკა, რას ნიშნავს ხარჯების ოპტიმიზაცია კულტურის სფეროში, რა ხერხებით შეიძლება კულტურის დაცვა და ა.შ.

პირველი და უმთავრესი, რაც გუშინდელ შეხვედრაზე საზოგადოებას ემცნო, ეს კულტურის სფეროში 130 პროცენტით გაზრდილი ბიუჯეტია, თუმცა, შეკრებაზე რატომღაც არ თქმულა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ცხოვრებაც გაძვირდა, მათ შორის - თეატრებისთვისაც. ეს ისე, სხვათა შორის. სერიოზულად კი ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დაფინანსების ის ფორმა, რომელიც აქამდე ქართულ თეატრალურ სივრცეში მოქმედებდა, რბილად რომ ვთქვათ, დასახვეწია. ვიცით, რომ რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერისა და სუხიშვილების ნაციონალური თეატრები საერთო ეროვნული მნიშვნელობის დასებია და მათი ბიუჯეტი ამ მიზეზით გაიზრდა. მაგრამ რა პრინციპით დაფინანსდება თბილისის 13 მუნიციპალური თეატრი, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. აქამდე სახელმწიფო ცუდად, მაგრამ ცამეტივეს აფინანსებდა. ამიერიდან მხოლოდ მათ დააფინანსებს, რომლებსაც ზუსტად ექნებათ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა. აქ უმთავრესად ლაპარაკია პროგრამულ დაფინანსებაზე (და არა სუბსიდირებაზე), რაც თეატრებს მწირი ბიუჯეტის შემთხვევაშიც ეფექტურად მოქმედების საშუალებას აძლევს. რამდენად კარგად აქვს ყველა თეატრს გაცნობიერებული პროგრამული დაფინანსების პოზიტიური მხარე, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ფაქტია, რომ ბევრი მათგანი დაფინანსების ამ ფორმასაც მიულებლად მიიჩნევს - როგორც ჩანს, გამოცდილება ჰკარნახობს, ყველაფერში მხოლოდ ცუდი დაინახოს. დღის წესრიგში დგას ასევე რამდენიმე თეატრის ერთ სივრცეში განთავსება, თუმცა, ადვილი მისახვედრია, რამდენად უმტკივნეულოდ შეეგებებიან ქართული თეატრები ამ რეალობას. ასეა თუ ისე, ფაქტია: ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფომ და თეატრებმა საერთო ენა უნდა გამონახონ, თუ არადა, ან ხელისუფლება უნდა შევცვალოთ, ან თეატრზე ვთქვათ უარი.

# ქართული ცეკვა-სიმღერის პოლიფონიით რუსებიც ისიამოვნებენ

ირმა კახურაშვილმა



დღეს ქართული ნაციონალური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ "ერისიონს" კრემლის სახელმწიფო დარბაზი უმასპინძლებს. რუსი მაყურებლის წინაშე ანსამბლი უნიკალური შოუთი - "ქართული ლეგენდით" წარდგება. საინტერესოა, რომ ყველა ბილეთი, რომლის ფასიც 6 ათას მანეთამდე აღწევდა, რამდენიმე კვირით ადრე გაიყიდა.

"ერისიონის" ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის განცხადებით, "ქართული ლეგენდა" ქართული ხელოვნების განვითარების 15-საუკუნოვან ისტორიას ასახავს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი და მასშტაბური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენაა. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე პროექტის იდეა ეკუთვნოდა ამერიკელ პროდიუსერს ჯიმ ლოუს, რომელიც ხუთი წლის წინ თბილისში სრულიად შემთხვევით მოხვდა და, როგორც თვითონ ამბობს, ქართული ფოლკლორი უსაზღვროდ შეუყვარდა. "საქართველოში ჩემს მეგობართან ერთად 1999 წელს ჩამოვედი. მაშინ შოუბიზნესთან საერთო არაფერი მქონდა. ერთი კვირის შემდეგ ქართულ სუფრაზე მიმიწვიეს, შემდეგ ანსამბლის რეპეტიაციაზე აღმოვჩნდი, რამდენიმე დღეში კი ხელი მოვაწერე კონტრაქტს, რომელიც "ერისიონთან" ერთად აშშ-ში ტურნეს ითვალისწინებდა. ვთვლი, რომ ეს პროექტი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საინტერესოა," - აღიარებს ჯიმ ლოუ.

"ქართული ლეგენდა" მართლაც ძალზე წარმატებული პროექტი გამოდგა. აღფრთოვანებას არც მაყურებელი მალავდა და არც კრიტიკოსები. 2001-2002 წლებში ანსამბლმა ელვის სისწრაფით მოიარა საფრანგეთი, ბელგია და შვეიცარია. "გმირული ენერგეტიკა და ტემპერამენტი, რომელიც ევროპას კარგა ხანია არ უნახავს," - ასე აფასებდა ადგილობრივი პრესა "ერისიონის" ცეცხლოვან ცეკვა-სიმღერას. თუმცა, ანსამბლმა არც ეს იკმარა და 2004 წელს მაყურებელს ფოლკლორული საიდუმლოებებითა და დასავლეთევროპული შოუბიზნესის სიახლენით "შეკაზმული" სიახლე შესთავაზა.

ახალ შოუში, რომელიც ცნობისმოყვარე რუს მაყურებელსაც ელირსა, გაცოცხლებულია უამრავი პატარ-პატარა ისტორია ომებსა და გამარჯვებებზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ქართველი ხალხის სიამაყესა და სიმამაცეზე, რომლისთვის ყველაზე ძვირფასი თავისუფლებაა.

ცნობილია, რომ "ქართულ ლეგენდაში" უფროსი და უმცროსი თაობის ასამდე მსახიობი მონაწილეობს. მათ პროფესიონალიზმსა და ტექნიკურ ოსტატობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. პროექტში დასაქმებულია ოთხი ევროპელი მუსიკალური პროდიუსერი, რომლებიც წარმოდგენისთვის ქართველებზე არანაკლები გულმოდგინებით, პრაქტიკულად, დასვენების დღეების გარეშე ემზადებოდნენ.

ანსამბლის მოსკოვურ გასტროლებს პოლიტიკური ქვეტექსტიც ახლავს. ვინ იცის, იქნებ მან თავისი წვლილი შეიტანოს საქართველო-რუსეთს შორის შელახული ურთიერთობის აღდგენაში. რაც შეეხება "ერისიონის" წარმოდგენებს მონატრებულ ქართველ მაყურებელს, ჯემალ ჭკუასელის დაპირებით, წლეულს "ქართული ლეგენდის" ნახვის შანსი მასაც ექნება.

# არტ სიახლეები ნიუ იორკიდან

ლენა კილაძე
ნიუ იორკიდან

*სიცივის მიუხედავად საგაზაფხულო განწყობა ნიუ იორკში უკვე დიდი ხანია, შეიმჩნევა და არტ ცხოვრებაშიც საოცარი გამოცოცხლებაა. თუმცა სიტყვა გამოცოცხლება ნიუ იორკს არ შეეფერება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაზაფხულის მოსვლით არტმა ქუჩაში გადმოინაცვლა და ნარინჯისფერის და კარიბჭის თემა გაზაფხულის ნიუ იორკისათვის ერთგვარ სიმბოლოდ იქცა! გაზაფხულის ნიუ იორკის არტ სიახლეების კალეიდოსკოპიდან მომინდა თქვენთვის რამოდენიმე, ჩემთვის საინტერესო მაგალითზე მომეთხრო: არტ-როკი, კარიბჭე ცენტრალ პარკში და არტ ექსპო 2005.*



*თანამედროვე ხელოვნების ბაზარი.*

### არტ-როკი

ნარინჯისფერი? დიახ. კარიბჭე? დიახ და სრულიად მოულოდნელად. საზოგადოებრივი ხელოვნება? ზუსტად. 7 მარტს როკფელერ პლაზაზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინ უშველებელი ნაძვის ხე იდგა, 10, დღესდღეობით ნაკლებადცნობილი თანამედროვე მხატვრის გამოფენა - "სოლო პროექტები: არტ-როკი" გაიხსნა. ექსპოზიცია დროებითშექმნილ კვადრატულ ნარინჯისფერ, კონტეინერისმაგვარ ბოქსებში (ავტორი სარა ოპენჰაიმერი) მოწყობილ საგამოფენო სივრცეში განთავსდა. ბოქსებში კარიბჭის მაგვარი შესასვლელით ხვდებოდი.

ეს პირველი გამოფენა როდია როკფელერ პლაზაზე. "საზოგადოებრივი "ანუ ხალხისთვის მისაწვდომი აქციური გამოფენები აქ მუდმივად ეწყობა, მათ შორის ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის. 2000 წ. აქ ჯეფ კუნცის "ლეკვი" იდგა - უზომოდ დიდი ტერიერი, შექმნილი აყვავებული მცენარეებისაგან (ნამუშევრის შესაქმნელად სულ რაღაც 70.000-მდე მცენარე დაიხარჯა), 2001 წ. ლუის ბურგოსის "დედილო" - დიდი ზომის ბრინჯაოს ობობა თავისი დიდი შთამომავლობით. ჯონათან ბოროვსკის ქანდაკება -"გასეირნება ცაში" 7 ადამიანის ზომის ფიგურით და სხვა მრავალი.

წლევანდელი არტ-როკი შოუა, რომელიც გარე და შიდა სივრცისთვის შექმნილ ნამუშევრებს გაერთიანებულად წარმოადგენს და საზოგადოებას ახალგაზრდა მხატვრებს აცნობს: რობ ფიშერი, რიჩარდ ალდრიხი, ტეილორ მაკკილმენსი, მარკ სვენსონი, ივან ვიტენშტეინი, მეტ ჯონსონი, ტრევორ ეპელსონი, სარა ოპენჰაიმერი, ივან ნავარო და მატიას მიულერი.

"ბევრ ახალგაზრდა უცნობ მხატვარს არა აქვს საშუალება, აჩვენოს თავისი ნამუშევრები საჯაროდ და ჩვენ გვინდოდა მათთვის ეს საშუალება მიგვეცა" - ამბობს რობ სპეიერი, გამოფენის მასპინძელი - "როკფელერ ცენტრის" თანამფლობელი.

"ჩვენი მთავარი მიზანი იყო, შოუ იმ ადამიანებისთვის გვეჩვენებინა, რომლებიც შეიძლება გალერეაში არც ყოფილან, და ვიმედოვნებთ, რომ ნანახი იმოქმედებს მათზე, შეცვლის მათ".

აქ წარმოდგენილი ნამუშევრები სრულიად განსხვავებულია ჩემი აზრით და მათ კონცეპტუალურად არაფერი არ აერთიანებს.

**ტრევორ ეპელსონი** - ქმნის თავის ფოტონამუშევრებს შავზე. ირჩევს ადამიანებს ან ობიექტებს და იღებს მათ გამთენიისას ან მზის ჩასვლის დროს, ისე, რომ სინათლე იყოს მიმართული. ეს იმიჯები ეპიკური ამბის სახეებს ჰგავს და უტოვებს მნახველს საშუალებას, გაიაზროს და გააფართოვოს ხედვის არე არაგამოსახული ნაწილისა, რომელიც კამერის მიღმა რჩება.

**ივან ვიტენშტეინი** ემიგრანტის გამოცდილებით ქმნის სამგანზომილებიან მონუმენტს - ეს ერთგვარი რეპლიკაა ვილიემ დე კიონინგის ნახატისა "ქალი და ველოსიპედი" (1952-53 წწ), რომელიც რწმენის და გამომგონებლის სულს ამტკიცებს.

**ივან ნავარო** უტილიზაციას უწევს ილუზიას "ინფინიტი" - სივრცის, მატერიალურის და არამატერიალურის კავშირის გამოსავლენად, რასაც ინსტალაციის მეშვეობით ახდენს. იყენებს რა არეკლილ სინათლეს, სამი წარმოსახვით უსასრულო გვირაბის მარკირებისათვის - კიდებს კარებს მათ შესასვლელში და ამით თითქოს აკავშირებს არსებულ და ვირტუალურ სივრცეს.

ლოს ანჯელესელი მხატვრის **მეტ ჯონსონის** მიერ შექმნილი ნამუშევარი წარმოადგენს ტრანსფორმაციას კომერციული ნაგავსაყრელისა ქაღალდის თვითმფრინავში - ეს ყოველდღიური რეალობის ერთგვარი ფაქიზი უკუწარმოსახვაა.

**მატიას მიულერი** - ვიდეოარტის ნიმუშს ქმნის - ეკრანზე პატარძალი ტრიალებს დაუსრულებლად და ამ ტრიალით იკარგება თავისთავში. მისი მზერა იყინება.

აქ ორი პარალელური მოძრაობა აღიწერება - ერთი შიგნიდან გარეთ და მეორე გარედან შიგნით - წარმოსახვის ამორფული ხატიდან სიმკვეთრისკენ მის შიგნითვე.

ბრუკლინელი მხატვრის **რობ ფიშერის** აზრით, სარკეები არის შენიღბვის ელემენტი, რითაც იქმნება სიმბიოზური კავშირი სტრუქტურასა და გარემოს შორის, რაც აძლევს მას საშუალებას, ადგილი დაიმალოს მარტივ ხედში. იგი სახლის იკონიკურ განზომილებას გთავაზობს, როგორც რაღაც მიმზიდველს და კომფორტულს, ესაა სარკეებიანი სახლი, რომელიც ირეკლავს არა მარტო დამთვალიერებლებს, არამედ ცათამბჯენებს გარშემო. მის საპირისპიროდ სარკეები არის თანაბრად დაპირისპირებული, დაცული, რთული და გაურკვეველი. იქმნება ორმაგი განცდა - იზოლაციით გამოწვეული მარტოობის და ამავე დროს მისივე სილამაზის - ამიტომ იგი წარმოადგენს სარკეებიან სახლს, რომელიც ირეკლავს არა მარტო დამთვალიერებლებს, არამედ ცათამბჯენებს გარშემო.

**რიჩარდ ალდრიხი** - თავისი დაწერილი ნამუშევრით ამბობს: "როცა მე დავიწყე ობიექტების შექმნა, მე უეცრად მომეცა ვერბალიზაციის საშუალება, რასაც ადრე ვერ ვახდენდი, თანაც მარტივად - იმის გაკეთებით, რის შესახებაც მინდოდა ლაპარაკი. ჩემი ნამუშევრები ვერბალიზაციის საყრდენია".

**სარა ოპენჰეიმერი** - კონტეინერი.

**მარკ სვენსონი** - წარმოგვიდგება ინსტალაციით "მოკალი მთვარე II" .

ვერ გეტყვით, რომ ამ ნაუშევრებმა გამოფენის მომწყობთა სურვილისამებრ, ჩემში რაიმე შეცვალა, თუმცა მე გალერეებში დავდივარ და, ალბათ, ამიტომ?... ძალიან სასიამოვნო იყო თვითონ ფაქტი, რომ ხელოვნება ყოველდღიურობის ნაწილი შეიძლება გახდეს. მაგრამ მაინც, გულწრფელად რომ გითხრათ, უფრო დიდი სიამოვნებით და სიხარულით გადავინაცვლე პლაზას მთავარ მოედანზე, სადაც ხელოვნების "მაღალი მატერიებით" ნაკლებად დაინტერესებულნი, ანუ უბრალო მოკვდავნი, ციგურებით სრიალებენ. სიცივის მიუხედავად მზე ანათებდა და საციგურაო მოედანზე ბევრი სხვადასხვა ასაკის, ფერის და წარმომავლობის ადამიანი ირეოდა. სრიალებდნენ სიხარულით, კარგად თუ ცუდად, ეცემოდნენ, დგებოდნენ და იცინოდნენ... გვერდზე კი არტ როკის აქცია მიმდინარეობდა.

### კარიბჭე ცენტრალ პარკში

ისევ ნარინჯისფერი? დიახ. ისევ კარიბჭე? ისევ საზოგადოებრივი ხელოვნება? დიახ, ოლონდ ამჯერად საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი.

მარტში ქალაქის შუაგულში, ცენტრალ პარკში, ნიუ იორკელების (და არა მარტო მათი) ყველაზე საყვარელი სასეირნო ადგილას, თანამედროვეობის ცნობილი მხატვრის კრისტოს და მისი მეუღლის ჟან-კლოდის პროექტი "კარიბჭე-ცენტრალ პარკი" გაიხსნა. "შეფუთვის დიდოსტატი" კრისტო წარმოშობით ბულგარელი, 1964 წლიდან ნიუ იორკში ცხოვრობს. ამ პერიოდში მან თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, ამერიკული ხელოვნების მუზეუმის და ცათამბჯენების შეფუთვის სხვადასხვა პროექტი წარადგინა, მაგრამ ყველაზე უარი მიიღო. ცენტრალ პარკის კარიბჭის პროექტი 1979 წელს შეიქმნა, მაგრამ რეალიზაციას წლების განმავლობაში ელოდა. მისი განხორციელება მხოლოდ 2005 წელს, ნიუ იორკის ახალი მერის ბლუმბერგის გადაწყვეტილებით გახდა შესაძლებელი.

პროექტი ძალიან ძვირი დაჯდა - რამოდენიმე მილიონი. მისი რეალიზაცია შესაძლებელი გახდა კრისტოს პირადი თანხით (გაგეცინებათ), რომელიც ნახატების, ნახაზების, წიგნების გაყიდვით შეგროვდა (შარშან ზაფხულში პროექტის ნახაზები და ჩანახატები მეტროპოლიტენ მუზეუმში იყო გამოფენილი) და ანონიმური სპონსორის მხარდაჭერით (რა თქმა უნდა).

ორი კვირის განმავლობაში კრისტომ მთელი პარკის ოკუპირება მოახდინა და პრაქტიკულად გასეირნება თუ გინდოდა, კარიბჭეს ვერ აცდებოდი.

რას წარმოადგენდა კრისტოს პროექტი? ეს იყო მართკუთხა ფორმის 7500 ნარინჯისფერი გასასვლელი - კარიბჭე შექმნილი ერთმანეთისაგან ოდნავ დაშორებით განთავსებული მეტალისაგან. კარიბჭეებზე ხელოვნური მასალისაგან დამზადებული ნარინჯისფერი ფარდა-გასასვლელი იყო დამაგრებული. ანუ იქმნებოდა ერთგვარი დერეფანი, რომელიც მთელი პარკის ტერიტორიას, მთელ ბილიკებს, დაახლოებით 35კმ-ს მოიცავდა, 59 და 110 ქუჩებს შორის - ვესტ საიდიდან მე-5 ავენიუმდე.

რა ასოციაციები ჩნდებოდა? ბევრი. თაღი, გასასვლელი, ტრიუმფალური თაღი, რაღაცის დასაწყისის მოლოდინი. ჩნდებოდა პარალელები შორეულ და ახლო წარსულთან. მე, მაგალითად, კარნაკის კოლონადის თემაც გამახსენდა და... გასაშრობად დაკიდებული სარეცხიც. კიდევ?...არქიტექტურის ინსტიტუტში პირველ კურსზე სასწავლო დავალება-ქალაქში შესასვლელი - კარიბჭე...

როგორ გითხრათ, კარიბჭის თემა ყველა ეპოქაში იყო საინტერესო შემოქმედთათვის.

ფერის სიმბოლიკა? ნარინჯისფერი ხალისის მომტანი ფერია, ოლონდ იგი ამერიკელებისათვის ძირითადათ კატასტროფას უკავშირდება (ნარინჯისფერია ტუსაღების უნიფორმა, გზაზე პრობლემის მაჩვენებელი სამკუთხედები და გამწმენდი მანქანები...).

ფუნქციური დატვირთვა? ბავშვები დარბოდნენ და ერთობოდნენ, დამთვალიერებლები და უბრალოდ პარკში სასეირნოდ გამოსულნი ღრმა შინაარსს ეძებდნენ. კრისტოს კი მხოლოდ გამხიარულება უნდოდა და თანაც ჩვეულებრივ დამთვალიერებელზე არც ფიქრობდა!

"ჩვენ გვინდოდა, მშვენიერების და სიხარულის განწყობა შეგვექმნა. გვინდოდა, სიხარულის და სილამაზის მომტანი ხელოვნების ნიმუში შეგვექმნა, რაც გავაკეთეთ კიდეც. გვჯეროდა, რომ ლამაზი იქნებოდა. ერთადერთი გზა, რომ ნახო, როგორი გამოვა შენი ნამუშევარი, ესაა, რომ განახორციელო. როგორც ყველა შემოქმედი, ნამდვილი შემოქმედი, ჩვენ ამ ნამუშევარს ჩვენთვის ვქმნიდით " - ამბობს ჟან კლოდი.

კრისტო აგრძელებს: "ჩვენ ვქმნით ნამუშევარს ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის და არა პუბლიკისათვის, და თუ ხალხს მოსწონს, ეს მხოლოდ ჯილდოა."

შთაბეჭდილება კარიბჭეზე? სხვადასხვანაირი. აღფრთოვანება და ინტერესი და კიდევ პროვოკაციის განცდა. კრიტიკა? რაღა თქმა უნდა, აღფრთოვანების გვერდზე.

პროექტს, რატომღაც, ეკოლოგიური ერქვა, თუმცა ეკოლოგების აზრით, ეს მხოლოდ დესტრუქცია იყო და პარკში სეირნობას საერთოდ ართულებდა. "ჩვენ დაგვჭირდება 200 აკრზე მეტ ტერიტორიაზე დავთესოთ ხეები და ვაცალოთ 10 წელი, გაიზარდონ, იმისთვის, რომ ატმოსფეროდან ამ აქციის შედეგად დაგროვილი კარბონ-დიოქსიდი გავიდეს" - ამბობს ეკოლოგიის ინჟინერი ტედ კაპლონი.

...აი, თურმე რატომ გაქრნენ სადღაც ციყვები ამ აქციის მსვლელობის დროს...

მოკლედ, თანამედროვეობის დიდმა "შემფუთველმა" მოახერხა საზოგადოების კიდევ ერთხელ გახარება (?!) თუ პროვოცირება(?)

### არტ ექსპო

მარტის დასაწყისში ჯევიტ ცენტრში, ნიუ იორკის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საგამოფენო პავილიონში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი, ნიუ იორკის 27-ე არტ-ექსპო გაიმართა. უშველებელი ექსპოზიცია ყველა სტილის, მიმდინარეობის (და ბიუჯეტის) წარმომადგენელს აერთიანებდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან: ფერწერა, სკულპტურა, ფოტო, მცირე ტირაჟით ნაბეჭდი პრინტები, ლითოგრაფიები და სხვა მრავალი.

ნიუ იორკის არტ ექპო, როგორც მისი ორგანიზატორები ამბობენ, ესაა შოუ ყველასათვის, არტ კოლექტორებიდან ჩვეულებრივი ხელოვნების მოყვარულებამდე, რომელნიც თავის პირველ შენაძენს სწორედ აქ აკეთებენ.

თავის დროზე სწორედ ამ ექსპოთი გამოვიდნენ ასპარეზზე ენდი ვორჰოლი, რობერტ რაუშენბერგი, პიტერ მაქსი, რობერტ ინდიანა და სხვა მრავალი დღეს საქვეყნოდ ცნობილი მხატვარი.

ამ შოუზე წელს ერთადერთი ქართული გალერეა იყო წარმოდგენილი Golden Deer (ოქროს ირემი). ეს გალერეა უკვე მეხუთედ მონაწილეობს ნიუ იორკის არტ ექსპოზე. Golden Deer ლოს ანჯელესში მდებარეობს და მისი მფლობელი მხატვარი და ახლა უკვე არტ-დილერიც გია ჩიკვაიძე და მისი მეუღლე თინა დედაბრიშვილი არიან. გია ცნობილი მხატვრის იურა ჩიკვაიძის შვილია და უკვე 12 წელია, რაც ლოს ანჟელესში ცხოვრობს, მეუღლე თინათინი, კი შიო არაგვისპირელის შვილიშვილია.

ქართული გალერეა გია ჩიკვაიძის ფერწერით, ვაჟა ქურხულის გრაფიკით და უნგრელი მხატვრის ზაბოს ქანდაკებებით იყო წარმოდგენილი.

"მე კმაყოფილი ვარ" - ამბობს გია, "პირველი წლები რთული იყო, ჩვენ გამოცდილება არ გვქონდა და გაყიდვას ველოდით მხოლოდ. ახლა, როცა უკვე საკუთარი ვებ გვერდი და სარეკლამო მასალაც გვაქვს, მთელი აქცენტი, რა თქმა უნდა, კონტაქტების დამყარებაზეა გადატანილი. ამ გამოფენაზე მთავარი ისაა, რომ ძალიან ბევრი არტ დილერი მოდის და ბუნებრივია, შენითაც შეიძლება დაინტერესდნენ - ოლონდ ეს ინტერესი ცოტა მოგვიანებით ჩნდება. გამოფენიდან შინ დაბრუნებულნი ვიწყებთ მუშაობას - აი აქ ჩნდებიან უკვე პირველი მყიდველები თუ წინადადებები. იმიტომ, რომ არტ დილერებსაც დრო უნდათ - ისინი ვებსაიტზე ინფორმაციას ეცნობიან, ფიქრობენ, ადარებენ და უკვე მერე გიკავშირდებიან....მოკლედ, ნამდვილი გაყიდვები მხოლოდ მერე იწყება, თუმცა თვითონ გამოფენის დროსაც ბევრი საინტერესო შემოთავაზება ხდება ხოლმე. აი, ჩვენ რამოდენიმე ასეთი უკვე მივიღეთ. სამწუხაროდ, რაც თავი მახსოვს არტ ექსპოზე ქართულ გალერეას მონაწილეობა არ მიუღია, გარდა ერთი შემთხვევისა - "ძველი გალერეა" მონაწილეობდა ამ რამოდენიმე წლის წინ და გია ბუღაძის ნამუშევრები ჰქონდა გამოტანილი".

არტ ექსპოზე კიდევ რამოდენიმე ქართველი მხატვარი ვნახეთ ჯგუფურად გაერთიანებული (მონაწილეობისათვის გადასახადი საკმაოდ დიდია).

საშუალო ასაკის ქალების ჯგუფი იყო, ნიუ ჯერსიდან, ამერიკაში სამუშაოდ ჩამოსული. ძველი სპეციალობის გახსენება გადაწყვიტეს და რაც კი რამე ებადათ გამოიტანეს - ნახატი, ფოტო, ხელსაქმე...ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ - ამ დღეების განმავლობაში არავინ მოსულაო და არაფერი უყიდიათო... დიახ, არტ ექსპო ხელოვნების გამოფენა როდია - ეს ბაზარია, ნამდვილი ბაზარი და ხელოვნება აქ ვაჭრობის საგანია, ამიტომ ჩვენი სინამდვილიდან წასულ მხატვრებს უჭირთ მოერგონ ამ სიტუაციას. გაგება იმისა, რომ ხელოვნება ძირითადათ გასაყიდი საშუალებაა (თუმცა ხშირად საკმაოდ პრესტიჟული და ელიტარული), ვფიქრობ აბრუნებს მხატვრობას ხელობის რანგში და ამით უფრო "მიწიერს" ხდის მას, რაც ერთი მხრივ ცუდი არ უნდა იყოს, რადგანაც სრულებითაც არაა საჭირო მხატვარი იყოს ლოთი, უსაქმური და მხოლოდ მუზის მომლოდინე. ის შეიძლება იყოს მუყაითი მშრომელი, და კარგი ხელოსანი, რომ მხოლოდ თავისი ხელობით შეძლოს თავის რჩენა. ეს გაგება კი, კარგი თუ ცუდი, ჩვენთვის გასათვალისწინებელია.

---

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



### CD-პლეიერი

კომპაქტ-დისკს თავიდან უნდობლობით შევხვდი; არც პერესტროიკას, რომელსაც მოფერებით პერესტროკს ვეძახდი, გამოუწვევია დიდი აღტაცება. ჩანაწერის ხარისხი კი გაუმჯობესდა, მაგრამ თავად მუსიკალურ მასალას ეს არ შეეხო. პერესტროიკაც ასე იყო - თითქოს თავისუფლების ხარისხმა მოიმატა, მაგრამ ცხოვრების დონე ეცემოდა. მაღაზიებში კომპაქტები გამოჩნდა, მაგრამ მათი შესაძენი ფული არ იყო.

ხალხი სულ უფრო ხშირად გამოდიოდა ქუჩაში. ძალიან მოდური გახდა მასობრივი შიმშილობა, ქუჩების და რკინიგზების გადაკეტვა სულ ცოტა რუსის გაყვანის და NATO-ს ჯარების შემოყვანის, არჩევნების ვადამდე ჩატარების და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით. გაჩდნენ ახალი ეროვნული გმირები; მათ ცოდვებშენდობილი ძველებიც დაემატნენ, 9 აპრილის შემდეგ მილიციაც მათ შეუერთდა, მერე კრიმინალებიც, მერე ფეხბურთის ფედერაცია და ერთხელაც ისე მოხდა, რომ ახალ წელს თბილისელები სამოქალაქო ომით შეეგებნენ.

პერესტროიკამდე როკი ჩვენში, ფაქტობრივად, არალეგალურად არსებობდა, თუმცა არც დამოუკიდებლობის პირველი წლები სწყალობდათ ამ მუსიკის მოყვარულებს: ჯერ იყო და, ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა როკი. მერე კიდევ, ფსევდო-ეროვნული აღტკინების გაფერმკთალებას სამოქალაქო თუ სამამულო ომების პერიოდი მოჰყვა. მაშინ კი, ჩვენი საუკეთესო ტრადიციებისამებრ (აქ ხომ დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, ყველაფერი უკუღმა ხდება) და როკის ცნობილი მითის საწინააღმდეგოდ, მუსიკოსებმა გიტარები გადააგდეს და ავტომატები აიღეს ხელში.

ჩვენებს ისე დაურიგეს თოფ-იარაღი და ახოცვინეს ერთმანეთი, როგორც თავის დროზე პირველყოფილ ტომებს ასაჩუქრებდნენ ფერადი შუშებით. მოკლედ, როკ-მუსიკოსებმა სმენა (თუ საერთოდ გააჩნდათ ასეთი), ხოლო ქვეყანამ დაკარგა ყველაფერი, რისი დაკარგვაც შეიძლებოდა 2-3 წლის განმავლობაში; სამაგიეროდ შეიძინა მეგობრები.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს მარტო ჩვენთან იყო ყველაფერი ცუდად - არც დასავლეთს ულხინდა. იქაურ როკს აშკარად დაეტყო კრიზისის ნიშნები. მისი პირველი მსხვერპლი გახდა 90-იანი წლების ახალგაზრდობის კერპი, ნირვანაში მყოფი კერტ კობეინი: მან სასოწარკვეთილებას იმით უპასუხა, რომ თოფი დაიხალა და ლენონის შემდეგ მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მკვდარი გახდა. ცოტა ხანში მას ავსტრალიელი ვარსკვლავი, მაიკ ჰატჩინსი მიჰყვა, რომელმაც საკუთარ ქამარზე ჩამოიხრჩო თავი.

ამ ფონზე ჩვენთან მდგომარეობა უფრო სტაბილურად გამოიყურებოდა. საქართველოს გადაურჩა სატრასტო კომპანიების გაკოტრების ბუმმა, რომელმაც საბოლოოდ შეიწირა მოსახლეობის მთელი დანაზოგები, მაგრამ მეგობრების დახმარებით ქვეყანამ ოდნავ გამოიხედა. სასურსათო მაღაზიები თურქული სანოვაგით, სასმელების კი პოლონური შხამით გაივსო. თუმცა არც ჩვენები აკლებდნენ: ბაზრები პლასტმასის ჩურჩხელებით გადაიჭედა, ხოლო არაყს და შამპანურს, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა აწარმოებდა. თუ მთლად ადამიანები არ იყავი, შეიძლება ამ სასმელებს არ მოეკალი, მაგრამ დაბრმავება, დაყრუება, ან სხეულზე ლაქების გამოყრა გარანტირებული გქონდა. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა მუსიკალურ ბაზარზე - ნებისმიერი დასავლელი როკ-შემსრულებლის თუნდაც წინა დღით გამოსულ ჩანაწერს ჩვენთან იყიდდით; ჩვენი და უცხოელი მეკობრეები ინტელექტუალური საკუთრების დარგში წარმატებით თანამშრომლობდნენ.

რაც შეეხება თაობათა შორის ბრძოლას, აქაც ყველაფერი მოწესრიგდა. დასავლეთში მთავრობაში ბეიბიბუმერები და ყვავილების თაობის წარმომადგენლები მოვიდნენ. აღმოსავლეთ ევროპის ესს-კომუნისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს პირველ პირებად ყოფილი დისიდენტები მოგვევლინნენ, რომლებიც გაუთავებლად იღებენ ფოტოებს თავიანთი ახალგაზრდობის დროინდელ როკ-კერპების გარემოცვაში. ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში მონათლულ, ყოფილი კომუნისტური ლიდერები დაბრუნდნენ.

ჩვენთან გაუფერულდა სხვაობა მამებსა და შვილებს შორის. მართალია, მამები "როლინგსტოუნზს" და "ლედ ზეპელინს" უსმენდნენ, შვილები, "რეიდიოჰედს" და "ოაზისს", ხოლო დედები სამზარეულოში ქსელის ნაცვლად, FM რადიოს პანკებზე მწნილდებოდნენ, მათ საერთოც გაუჩნდათ: სამივე სვამდა იმ დროისთვის ახალ ქართულ ლუდ "არგოს", ელოდებოდა 2000 წელს და რაც მთავარია, ნავთობსადენს, რომელიც საშუალებას მისცემდათ, მთელი ცხოვრება უზრუნველად გაეტარებინათ.



ფეხბურთი

# მეოცნებე არგენტინელი



მთელი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არგენტინელ ხავიერ სავიოლას სხვადასხვა დიდ ფეხბურთელებს ადარებდნენ. ყმაწვილობის ასაკში, როცა სავიოლა ჯერ კიდევ არგენტინაში თამაშობდა, ამბობდნენ, რომ მასში გაერთიანებულია პელესა და მარადონას საუკეთესო თვისებები. არადა, ეს წარმოუდგენელია ისეთი ნიჭიერი ფეხბურთელისთვისაც კი, როგორიც სავიოლაა.

ახლა კი წარმოიდგინეთ, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელსაც პელეს და მარადონას ადარებდნენ, "ბარსელონიდან" "მონაკოში" გადასვლის შემდეგ კი ახალ ფერნანდო მორიენტესად მოიხსენიებენ. მორიენტესის მსგავსად, რომელმაც მონაკოში აშკარად გამოიჩინა თავი, სავიოლასაც "მონეგასკებთან" ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

როგორც ფეხბურთელს, რომელსაც საჰაერო ორთაბრძოლებს მინდორზე ტექნიკური თამაში ურჩევნია, სავიოლას სულაც არ ეჭაშნიკება მორიენტესთან შედარება. "სულ ამას მეკითხებიან, - ამბობს ხავიერ სავიოლა, - ეს სიტუაცია ძალიან ემთხვევა ჩემსას, მაგრამ შეიძლება ის მოვლენებს ცოტა სხვაგვარად უყურებდა".

ცნობილია, რომ ერთწლიანი კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ ფერნანდო მორიენტესი "სამეფო კლუბში" დაბრუნდა, სადაც კონკურენციას ვერ გაუძლო და ინგლისის "ლივერპულში" გაიყიდა. სავიოლას კი, რომელიც "ბარსელონამ" "რივერ პლეიტისგან" 25 მილიონ დოლარად შეიძინა, ყველაზე ნაკლებად სურს, მორიენტესის ბედი გაიზიაროს. "ჩემი ადგილი "ბარსელონაშია", - დაჟინებით აცხადებს ფეხბურთელი, რომელმაც წლევანდელ სეზონში 15 გოლი გაიტანა, - კონტრაქტის მიხედვით კლუბთან კიდევ ორი წელი მაკავშირებს და, ბუნებრივია, კატალონიაში დაბრუნება მსურს".

საკითხავი მხოლოდ ის არის, სურს თუ არა "ბარსელონას" დაიბრუნოს ფორვარდი. ფრენკ რაიკაარდზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა სავიოლას მიერ 105 თამაშში გატანილმა 44 გოლმა. ჰოლანდიელის სამწვრთნელო კონცეფციაში არგენტინელი აშკარად ვერ ჯდება. თუმცა, სავიოლას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მწვრთნელზე გულში ბოღმას არ ატარებს.

"ვფიქრობ, "ბარსელონაში" ცუდად არ ვთამაშობდი, მაგრამ ფეხბურთის ხასიათი ის არის, რომ ეს ხანდახან არასაკმარისია, - სევდიანად აცხადებს სავიოლა, - მე ამიხსნეს, რომ უახლოეს სეზონში გუნდში ჩემთვის ადგილი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი გულწრფელად მითხრეს. ეს სამართლიანია. მე მინდორზე გასვლის შანსი არ მექნებოდა და ამის შესახებ პირდაპირ მითხრეს. სწორედ ამიტომ მივიღე "მონაკოს" წინადადება, სადაც ძალიან კარგად მეპყრობიან. აქ თავს კარგად ვგრძნობ და ჯერჯერობით ყველაფერი შესანიშნავად მიდის".

"მონეგასკები" კი გოლეადორის საუკეთესო თვისებებით ტკბებიან. მართალია, "მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ლიონს" ველარ შეეცილება, მაგრამ მისი გოლები შეიძლება გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დაეხმაროს.

სავიოლა მაღალ შეფასებას აძლევს თავის ამჟამინდელ მწვრთნელს დიდიე დეშამს და არც ჩემპიონთა ლიგისთვის სჭირდება დამატებითი მოტივაცია. "ეს ყველა ტურნირს შორის საუკეთესო და პრესტიჟული შეჯიბრებაა", - დაასკვნა სავიოლამ.

არგენტინელისთვის სამწუხაროდ, "მონაკო" ჩემპიონთა ლიგას მერვედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა და ახლა მხოლოდ საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს. "სიმართლე რომ ვთქვა, აქ მხოლოდ ფეხბურთელი ვარ, რომელიც იჯარით აიყვანეს, - აცხადებს მინიატიურული ფორვარდი, რომელსაც სამშობლოში ლილიპუტს უწოდებენ, - თუმცა, ჩემი პარტნიორები იმდენად კარგად მექცევიან, რომ მათთვის ყველაფრისთვის მზად ვარ".

"დედააზრი ის არის, რომ ყოველ მატჩში ბოლომდე უნდა დაიხარჯო, თითქოს შენთვის ყველაზე პატივცემულ კლუბში თამაშობ", - დაასკვნის სავიოლა. აშკარაა, რომ "ბარსელონა" ის კლუბია, სადაც სავიოლას ყველაზე მეტად უნდა თამაში, მაგრამ მოირგებს თუ არა ის კატალონიელთა ფორმას, ამას მხოლოდ დრო გვიჩვენებს.

## TV-სპორტი

### ორშაბათი. 18 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ჰამბურგი"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ლევანტე" - "რეალი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "ობოლონი"
18:00 იტალიის ჩემპიონატი. "სიენა" - მილანი"
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 ინგლისის ჩემპიონატი. "ლივერპული" - "ტოტენჰემი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 15:45, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "COLOGNE CENTURIONS" - "FRANKFURT GALAXY"
13:15 საჭადრაკო მიმოხილვა
13:45 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 60კგ, 74კგ, 96კგ.
16:00 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში. გადამწყვეტი მატჩები
17:30 "სარკის წინ"
18:00 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მეორე ნაწილი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
21:00 "ექო". ინფორმაციულ-ანალიტიკური არხი
23:00 სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა დიდი პრიზი მოსკოვში
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მეორე ნაწილი

**EUROSPORT**

10:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
11:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
12:00 მარათონი. ლონდონი
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მარათონი. ლონდონი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:15 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი - ევროგოლები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
03:15 ახალი ამბები

# გაკვეთილი სამი ქულის ფასად

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ დაიწყო ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-4 წრე, რომლის პირველივე, საერთოდ კი 28-ე ტური უხვგოლიანობით გამოირჩა. ხუთ მატჩში გუნდებმა 13 გოლი გაიტანეს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისში, ავლაბარში მდებარე "ოლიმპის" სტადიონზე გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "თბილისმა" "ზესტაფონს" უმასპინძლა.

ამ თამაშს დამატებით ინტრიგას ის გარემოებაც სძენდა, რომ 4 მაისს ზესტაფონში ამ გუნდებს შორის უნდა გაიმართოს მატჩი, რომელიც საქართველოს თასის ფინალისტს გამოავლენს. პირველი შეხვედრა ათი დღის წინ თბილისში გაიმართა და 0:0 დასრულდა. შესაბამისად, გუშინდელი მატჩი საქართველოს თასის განმეორებითი ნახევარფინალის ერთგვარ რეპეტიციადაც შეიძლებოდა მიჩნეულიყო. და თუ ეს ასეა, "თბილისს" ძალიან ცუდი პერსპექტივა აქვს.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. დედაქალაქელებს სადებიუტო წუთებში ორი აშკარა საგოლე მომენტი შეექმნათ. პირველად სტუმართა სათადარიგო მეკარე სომხიშვილთან პირისპირ აღმოჩნდა თბილისელთა თავდამსხმელი სანდრო იაშვილი, რომელმაც ძლიერი დარტმის ნაცვლად მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, რაც კარგად არ გამოუვიდა. მეორე ეპიზოდში გეწაძის გარღვევისა და ფლანგური გადაცემის შემდეგ ზესტაფონელთა კარს ძლიერი დარტყმით აფციაური უტევდა, მაგრამ სომხიშვილმა ზუსტი რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მასპინძელთა შტურმის მოგერიების შემდეგ მახარაძის გუნდმა ჯერ გაათანაბრა თამაში, შემდეგ თავად დაეუფლა უპირატესობას და "თბილისს" ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა. ოღონდ არა უფასოდ - "თბილისს" ეს სემინარი 3 ქულად დაუჯდა.

ანგარიში შორეული საჯარიმო დარტყმით ზურაბ იონანიძემ მე-14 წუთზე გახსნა. გაშვებულ გოლში მასპინძელთა გოლკიპერს ბრალი არ მიუძღვის: დარტყმის ეპიზოდში "ცოცხალი კედელი" "გაიხსნა" და ბურთი გრიშიკაშვილისგან დაუცველ კარის კუთხეში აღმოჩნდა. გოლის მიუხედავად, თამაშის სცენარი მატჩის ბოლო წუთამდე არ შეცვლილა. "თბილისის" კართან ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები და მხოლოდ გრიშიკაშვილის კარგი თამაშის წყალობით ანგარიში არ იცვლებოდა. განსაკუთრებით "ჩავარდა" მასპინძელთა დაცვის მარჯვენა ფლანგი, საიდანაც ზესტაფონელთა თითქმის ყველა სახიფათო იერიში იწყებოდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე სწორედ ამ ფლანგზე დაიკარგა ბურთი, რასაც იონანიძე-ზირაქიშვილის ტანდემის გრიშიკაშვილთან პირისპირ გასვლა და ზირაქიშვილის გოლი მოჰყვა.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო. "თბილისი" სწრაფი გოლის გატანას შეეცადა და, უნდა ითქვას, რომ ამის შესაძლებლობაც მიეცა: მეკარესთან პირისპირ ისევ იაშვილი დარჩა, ოღონდ, პირველი ტაიმის ეპიზოდთან შედარებით, კარიდან გაცილებით მახვილი კუთხით. სომხიშვილმა ამჯერადაც თავგანწირვით ითამაშა. არბიტრს მერაბ მალაღურაძეს აშკარად გაექცა მატჩის მართვის სადავეები, რასაც მოედანზე ვითარების სერიოზულად დაძაბვა მოჰყვა. ზედიზედ ორჯერ მსაჯმა აშკარად არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. პირველად, როდესაც თბილისელმა აფციაურმა დემონსტრაციულად წააქცია ნუდნი, რასაც ნებისმიერი მსაჯი წითელი ბარათით შეაფასებდა, მან ორივე ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დასაჯა. რამდენიმე წუთში, ინციდენტის დროს, როცა დაზარალებული ისევ ნუდნი აღმოჩნდა, რომელიც მსაჯის სასტვენის შემდეგ ფოფხაძემ წააქცია, მალაღურაძემ ზესტაფონელს წითელი ბარათი უჩვენა და მოედანი დაატოვებინა. ამის მიუხედავად, მახარაძის გუნდმა არათუ გამარჯვებამდე მიიყვანა სდაქმე, არამედ ნუდნის გაძევებიდან პირველივე შეტევაში მესამე გოლიც გაიტანა (ზირაქიშვილი) და მცირე კითხვის ნიშანიც კი არ დაუტოვებია იმ საკითხში, თუ რომელი გუნდი იყო უფრო ძლიერი. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მახარაძის გუნდის თამაშის კარგი ორგანიზაცია და დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადასვლის მანერა, რაც ქართულ გუნდებს იშვიათად ახასიათებთ. სამწუხაროა, რომ "ზესტაფონმა" მხოლოდ მეორე წრის მიწურულს მიიწვია თემურ მახარაძე და ამ ნიჭიერი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდმა გვიან დაიწყო ქულების დაგროვება, თორემ, დარწმუნებული ვარ, თბილისის "დინამოს" "ზესტაფონის" სახით საჩემპიონო რბოლაში სერიოზული კონკურენტი ეყოლებოდა. ინფორმაციისთვის: "ზესტაფონს" მთელი მესამე წრის განმავლობაში არც ერთი მატჩი არ წაუგია, ხოლო ბოლო 11 შეხვედრაში მხოლოდ 3 თამაში დაასრულა ფრედ, 8 მატჩში კი გაიმარჯვა.



ლევან მელქაძემ "კოლხეთსაც" გაუტანა.

აღსანიშნავია თბილისის "დინამოს" ზედიზედ მესამე გამარჯვებაც. კახაბერ ცხადაძემ შეძლო დემორალიზებული "დინამოს" საბრძოლოდ განწყობა - მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნის შემდეგ გუნდი თამაშს თამაშზე იგებს. მართალია, ამჯერად "დინამომ" აუტსაიდერი "სიონი" დაამარცხა, მაგრამ ეს ნამდვილად არ გახლავთ იოლი საქმე. ჯერ ერთი, ბოლნისელები უძლიერესთა კომპანიაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან და ასეთი გუნდი ორმაგად საშიშია. გარდა ამისა, მატჩი ბოლნისში ჩატარდა, საიდანაც არათუ სამი, არამედ ერთი ქულის წამოღებაც საკმაოდ ძნელი საქმეა. მატჩის ბედი 37-ე წუთზე "დინამოს" თავდამსხმელის, ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში დაწინაურებული ლევან მელქაძის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა.

სატურნირო თვალსაზრისით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ საკმაოდ უინტერესო შეხვედრა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ადგილობრივმა "ლოკომოტივმა" ქუთაისის "ტორპედოს" უმასპინძლა და მშვიდობიანად გაეყარა. მატჩი 0:0 დასრულდა.

ყველაზე მეტი გოლი კი მცხეთაში, "არმაზის" სტადიონზე გავიდა, სადაც საშინაო შეხვედრებს მართავს მოქმედი ჩემპიონი, თუმცა, ტიტულის შენარჩუნების შანსდაკარგული თბილისის "ვიტ ჯორჯია". ვეტერინარებმა ფოთის "კოლხეთს" უმასპინძლეს და ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს. ამ მატჩში "დუბლი" შეასრულა გოჩაშვილმა.

**28-ე ტური**

| | |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია - კოლხეთი** | **6:0** |
| **თბილისი - ზესტაფონი** | **0:3** |
| **სიონი - დინამო** | **0:1** |
| **ლოკომოტივი - ტორპედო** | **0:0** |
| **ბათუმი - დილა** | **3:0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 28 | 18 | 4 | 6 | 59-24 | 58 |
| ტორპედო | 28 | 14 | 10 | 4 | 43-23 | 52 |
| თბილისი | 28 | 15 | 6 | 7 | 48-32 | 51 |
| ლოკომოტივი | 28 | 12 | 12 | 4 | 35-20 | 48 |
| ზესტაფონი | 28 | 13 | 4 | 11 | 30-39 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 8 | 9 | 45-32 | 41 |
| დინამო (ბთ) | 28 | 8 | 10 | 10 | 31-24 | 34 |
| კოლხეთი | 28 | 7 | 5 | 16 | 25-45 | 26 |
| სიონი | 28 | 7 | 4 | 17 | 24-49 | 25 |
| დილა | 28 | 2 | 3 | 23 | 16-68 | 9 |

# რობერტო კარლოსი: "ბარსელონამ" შანსი მოგვცა"

მადრიდში არ ცხრება საუბარი "რეალის" მიერ "ბარსელონას" დამარცხების შესახებ. რობერტო კარლოსს მიაჩნია, რომ "ბარსამ" მადრიდელებს შანსი მისცა. ხოლო ის ფაქტი, რომ სულ რაღაც სამ ტურში "ბარსელონასა" და "რეალს" შორის ქულათა სხვაობა 11-დან 6-მდე შემცირდა "სამეფო კლუბს" დამატებით სტიმულს მატებს. "ბარსელონას" ძლევა რობერტო კარლოსის დაბადების დღეს დაემთხვა. ბრაზილიელი მცველი დარწმუნებულია, რომ 2004-2005 წლების სეზონს "რეალი" პირველ ადგილზე დაასრულებს.



**- კვირას შენი საუკეთესო დაბადების დღე იყო?**

- მგონი გასულ სეზონშიც ჩვენი შეხვედრა ჩემს დაბადების დღეს დაემთხვა. მახსოვს, შაბათი იყო და, თუ არ ვცდები, ის მატჩიც მოვიგეთ. თუმცა, ისიც მართალია, რომ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იყო. რამდენიმე კვირის წინათ "ბარსელონას" 11 ქულით ჩამოვრჩებოდით. პირადი შეხვედრის შემდეგ კი სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა. უდავოდ, ეს ერთ-ერთი საუკეთესო დაბადების დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

**- თქვენ გამარჯვების განსაკუთრებული ჟინი გქონდათ? ქულათა დეფიციტის შემცირების მიზნით, თქვენი გუნდის შესახებ კომენტარების გამო, პირველ წრეში განცდილი მარცხის გამო...**

- კომენტარები ნაკლებად გვაღელვებს. ერთადერთი, რაც გვაინტერესებს, გამარჯვებაა. ჩვენ ვიცით, რომ სეზონი ისე არ განვითარდა, როგორც გვინდოდა, მაგრამ ჩვენ გვსურს გამოვავლინოთ, რომ შეგვიძლია, ქვეყნის ჩემპიონატის მოსაგებად ბოლომდე ვიბრძოლოთ. ჩვენ გვსურს, ჩემპიონები გავხდეთ, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით იმ ატმოსფეროს, რომელიც მადრიდის "რეალს" გარს არტყია, სადაც ბევრი სხვადასხვაგვარი პოლემიკაა ატეხილი, მაშინ შეცდომას დავუშვებთ. ჩვენ ჩვენს სამუშაოსა და ვარჯიშებზე ვართ კონცენტრირებული. გუნდის შიგნით ძალიან კარგი განწყობაა და თუ "ბარსელონა" დავამარცხეთ, ესე იგი, ვარჯიშებზე კარგად ვიშრომეთ.

**- თქვენ აგრძელებთ ოცნებას ტიტულზე?**

- რა თქმა უნდა. ორ თუ სამ მატჩში ჩვენ ქულათა დეფიციტი შევამცირეთ და თუ ამავე რიტმში განვაგრძობთ თამაშს, შეგვეძლება ჩემპიონატი მოვიგოთ.

**- კვირის გამარჯვებამ რაიკაარდის გუნდი აიძულა, თქვენი შეშინებოდა?**

- ჩვენ ვეთამაშეთ გუნდს, რომელსაც "რეალის" შიში არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ გამოვიდა თამაში სანახაობრივად ლამაზი და უხვგოლიანი. "ატლეტიკი", "ხეტაფე", "რასინგი"... ის გუნდებია, რომლებიც დავალების მიხედვით ცდილობენ, ჩვენი ყველა ფეხბურთელი მარწუხებში მოაქციონ. "ბარსელონა" კი მეტოქეს ფეხბურთის თამაშის საშუალებას აძლევს. ჩვენ 12 ქულას ვაგებდით. ახლა სიტუაცია შეიცვალა და ეს ფაქტი მათ ცოტათი დააფიქრებს. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ მათ დავეწიოთ, მაგრამ ისინიც დამნაშავენი არიან იმაში, რომ ქულათა სხვაობა შემცირდა. მათ შეეძლოთ. ჩემპიონატის ბედი ადრევე გადაეწყვიტათ. მათ მოგვცეს შანსი, რომ დავეწიოთ. ჩვენ შევეცდებით, ეს შანსი გამოვიყენოთ.

**- ამბობენ, როცა მადრიდს გადაარჩენ, ის არ დაგინდობსო.**

- ადამიანები ამბობენ, რომ "ბარსელონა" დიდ გუნდია. მე არ ვამტკიცებ, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ თუ დიდ გუნდზეა საუბარი, უნდა გაიხსენო ის გუნდი, რომელმაც ბოლო წლებში ყველა შესაძლო ტიტული მოიგო, ყველაზე მეტჯერ იყო ევროპული ტურნირების ფინალში და ესპანეთი იაპონიაში საკონტინენტთაშორისო თასზე წარადგინა... ეს გუნდი მადრიდის "რეალი" იყო. მე ძალიან მიკვირს, რომ ხალხი საუბრობს გუნდზე, რომელსაც ჯერ არაფერი მოუგია და ეს სეზონიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ჩვენ კი ტიტულებს 1998 წლიდან ვიგებთ.

**- როცა სამუელ ეტო`ოს სიტყვები მოისმინე, ჩვენ "ადგილზე მდგარ" გუნდთან დავმარცხდითო, რა იფიქრე?**

- ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ ისინი სხვა გუნდებზე ღელავენ. თუმცა, ეტო`ოს არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა უპასუხო. ჩვენ რუდუნებით უნდა ვიშრომოთ, რომ მოვიგოთ და ჩვენ ამას ვაკეთებთ. როცა მინდორზე გამოვდივართ, სიამოვნებას ვიღებთ და ეს ეტო`ოს და ყველა იმ ადამიანს უნდა დავუმტკიცოთ, რომელიც გვაკრიტიკებს. ჩვენ უნდა განვაგრძოთ თამაშისგან სიამოვნების მიღება, გავაგრძელოთ წარმატებული სერია და გავიტანოთ გოლები.

**- კვირას შენი გუნდის თამაშში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?**

- ბევრი ამბობს, რომ "რეალი" საქმისადმი კარგი დამოკიდებულებით თამაშობდა, მაგრამ მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ერთადერთი, რაც მსურს, ის არის, რომ ჩემმა გუნდმა ფეხბურთი ითამაშოს და კვირას ჩვენ ამას ვაკეთებდით. უშიშრად ვითამაშეთ. როცა ბურთს მივიღებდით, ვიცოდით, რა უნდა გვექნა. ჩვენს მოქმედებაში გაუბედაობა არ შეიმჩნეოდა. მეტოქეს ვაჩვენეთ, რომ პირველი წუთებიდან შეტევაზე გადავიდოდით. ყოველთვის ამას ვაკეთებთ, მაგრამ ყოველთვის არ გამოგვდის, რადგან არის დღეები, როცა თამაში გამოგდის, როგორც "ბარსელონასთან", მაგრამ არსებობს მომენტები, როცა ვერაფერს ახერხებ, როგორც "ატლეტიკთან", "დეპორტივოსთან"... თუმცა, ყველაზე უფრო ის მომეწონა, რომ მადრიდის "რეალი" თვითონაც ერთობოდა და მაყურებელსაც ართობდა.

**- თქვენ ასეთი მოგება გჭირდებოდათ დადებითი მუხტის მისაღებად?**

- მე მირჩევნია, პატარა გუნდები დავამარცხოთ - 5:0 ან 4:0, ვიდრე "ბარსას" მოვუგოთ - 4:2, რადგან მეორე შემთხვევაში გულშემატკივრებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ძლიერ მეტოქეებთან განვეწყობით საბრძოლველად. მირჩევნია მოვიგო ჩვეულებრივი თამაში, ვიდრე "კლასიკო", რადგან პატარა გუნდის განადგურებას უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე ლიდერის დამარცხებას.

**- როგორ უნდა მოუმატოთ ფინიშის სწორზე? სად ინახება მოგების გასაღები?**

- ჩვენ ზეწოლას არ ვგრძნობთ. ზეწოლას ის გრძნობს, ვინც პირველ ადგილზეა. გაიხსენეთ, რა დაგვემართა გასული სეზონის ბოლოს! ახლა, როცა ქულათა დეფიციტი შემცირდა, მათ იციან, რომ რაღაც ხდება. მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ პირდაპირ მათზე მივდივართ!

ჭიდაობა

# ბრინჯაოს პლუს ბრინჯაო

## ბერძენ-რომაელებმა რეპეშაჟში პოვეს შვება

გიგა გურასაშვილი

*მიუხედავად იმისა, რომ "თავისუფლები" და ბერძენ-რომაელები ერთი ოჯახის წევრები არიან, მათ შორისაცაა ერთგვარი პაექრობა, რაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე თუ ოლიმპიურ თამაშებზე ხდება თვალშისაცემი. "თავისუფალთა" და ბერძენ-რომაელთა ევროპის ჩემპიონატიდან (რომელიც ვარნაში გაიმართა) თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა "ოქრო" და "ბრინჯაო" ჩამოიტანეს, ბერძენ-რომაელებმა კი - მხოლოდ ორი ბრინჯაოს მედალი. შედეგები არ უნდა იყოს მთლად სანიმუშო.*

ვარნის კულტურისა და სპორტის სასახლე 12-17 აპრილს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა და ბერძენ-რომაელთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა. ევროპულ ხალიჩაზე 37 ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ქართული საჭიდაო სკოლაც სრულად იყო წარმოდგენილი.

კონტინენტის პირველობა "თავისუფლებმა" დაიწყეს (თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით გუნდური მეოთხე ადგილი დაიკავეს) და შაბათ-კვირას ბერძენ-რომაელებმა დაასრულეს.

ბერძენ-რომაელთა ნაკრებიც, ისევე როგორც "თავისუფლებისა", ვარნაში გადახალისებული შემადგენლობით ჩავიდა, ამასთან, მოჭიდავეთა ერთი ნაწილი მათთვის უჩვეულო წონებშიც გამოდიოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია და ევროპის ჩემპიონი ბადრი ხასაია, რომლებმაც წონა დაიმძიმეს და, შესაბამისად, 66-დან 74-ში და 74-დან 84 კილოგრამ წონით კატეგორიებში გადავიდნენ. კვირკველიამ ახალ წონაში საერთაშორისო სარბიელზე ძალის მოსინჯვა უკვე მოასწრო, როდესაც სოფიაში, მარტის შუა რიცხვებში, პეტროვის მემორიალზე იასპარეზა და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ხასაიამ კი მაშინ პირველი შეხვედრა მოიგო და ზედ ორი წაგება მიაყოლა. ახლა ყველაფერი პირიქით მოხდა. კვირკველიამ ორი მეტოქე დაამარცხა და მესამე წააგო, ანუ უმედლოდ დარჩა, ხასაიამ კი "ბრინჯაო" მოიპოვა.



მირიან გიორგაძემ (მარჯვნივ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პირველ წრეში დასვენების შემდეგ ხასაიას კენჭისყრამ პირველ მეტოქედ ქართული საჭიდაო სკოლის აღზრდილი, ისრაელის სახელით მოასპარეზე ჰასიმ რევაზ ტურპიაშვილი არგუნა, რომელიც ორივე პერიოდში დაამარცხა. ტურპიაშვილის ბედი გაიზიარა სლოვაკმა მარიან მიჰალიკმაც. კარგად დაიწყო მესამე შეხვედრა რუს ალექსეი მიშინთანაც. მოუგო პირველი პერიოდი (1:0), მაგრამ მერე მეტოქემაც გამოილო ხელი... დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც ასევე რუსის გამარჯვებით დასრულდა. ხასაიამ კი რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც გამოცდილი და ძლიერი უნგრელი სანდორ ბარდოში ელოდა. ქართველისა და უნგრელის ორთაბრძოლაში გამარჯვებულის გამოსავლენადაც სამი პერიოდი გახდა საჭირო. ხასაიამ შანსი გამოიყენა და "ბრინჯაოც" მას დარჩა.

ბერძენ-რომაელთაგან ბრინჯაოსთვის ბრძოლის შანსი კიდევ სამ ფალავანს მიეცა. მათგან მხოლოდ ერთმა მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ მიაღწია წარმატებას, რომელიც, სხვათა შორის, პეტროვის მემორიალზე ჩემპიონი გახდა.

ევროპის ჩემპიონატის მომავალმა პრიზიორმა პირველი ორი შეხვედრა იოლად მოიგო, მაგრამ მესამეში ქულის აღებაც ვერ მოახერხა, ისე დანებდა ბელორუს სერგეი არტიუხინს. ქართველმა მძიმეწონოსანმა ბრძოლა რეპეშაჟში გააგრძელა და, ბელორუსზე გაბრაზებულმა, ბერძენ ქსენოფონ კუციბასზე იყარა ჯავრი - 2:0, 1:0 და ბრინჯაოს დაეუფლა.

მესამე ადგილებისთვის იბრძოდნენ დავით ბედინაძე (60კგ) და მუხრან მაჭუტაძეც (66კგ), მაგრამ ორივემ გადამწყვეტი ორთაბრძოლები წააგო.

რაც შეეხება ყველაზე მსუბუქ წონაში (55კგ.) მოასპარეზე მირიან ნიშნიანიძესა და 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გივი მორჩილაძეს, მათ პირველივე შეხვედრები დათმეს. ვინაიდან ვერც მათმა მძლეველებმა გაიკაფეს გზა ფინალამდე, იქვე დაასრულეს ევროპის ჩეპიონატიც.

მძლეოსნობა

# ლონდონის მარათონი

შეგახსენებთ, რომ ლონდონის მარათონი პირველად 1981 წელს ჩატარდა. 42 კილომეტრზე მეტი სიგრძის მარშრუტი, ფაქტობრივად მთელ ქალაქზე გადაიჭიმა. მორბენლებმა სტარტი გრინვიჩ-პარკიდან აიღეს, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით იმყოფება. შემდეგ მარათონელებმა გაიარეს ვულიჩი, ძაღლის კუნძული და ახალი ბიზნეს-რაიონი კანარი უორფი, შემდეგ გაირბინეს ლონდონის ტაუერის მიღმა ტრაფალგარის მოედანზე, რათა პირდაპირ ბუკინჰემის სასახლესთან მოეხდინათ ფინიში.

ქალთა შორის მარათონული დისტანცია სხვებზე სწრაფად ინგლისელმა პოლა რედკლიფმა დაძლია. ამ საქმეს მან 2 საათი, 17 წუთი და 42 წამი მოანდომა. აღსანიშნავია, რომ რედკლიფისთვის ლონდონურ მარათონზე ეს უკვე მესამე გამარჯვება იყო. ადრე მან პირველობა 2002 და 2003 წლებში მოიპოვა. თანაც, ორი წლის წინათ პოლამ აღნიშნულოი დისტანციისთვის რეკორდი დაამყარა - 2 საათი, 15 წუთი და 25 წამი.

ასპარეზობაში მეორე ადგილზე რუმინელი კონსტანტინა ტომესკუ-დიტა გავიდა (2.22.49). ვაჟთა შორის საუკეთესოდ კენიელმა მარტინ ლელმა ირბინა (2.07.24). ფინიშის ხაზი მეორე პოზიციაზე გადალახა მაროკოელმა ჟუად ჰარიბმა (2.07.44). მესამე ადგილზე კი სამხრეთ აფრიკელი ჰენდრიკ რამაალა გავიდა (2.08.32).



პოლა რედკლიფი - მარათონის სამგზის გამარჯვებული.

ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სტეფანო ბალდინიმ, რომელსაც გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, ფინიშის ხაზი მხოლოდ მეხუთე პოზიციაზე გადალახა. მარათონში მონაწილეობა ბრიტანეთის ბევრმა ცნობილმა სახემ მიიღო. მათ შორის იყვნენ პოპულარული ტელეწამყვანები, მუსიკოსები, მსახიობები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები.

სადღესასწაულო განწყობას ხელს უწყობდნენ დამწყები მორბენლებიც, რომლებიც ტრასაზე სამასკარადო კოსტიუმებში და პარიკებში იყვნენ გამოწყობილნი. გამარჯვებულებმა საკუთარი ბიუჯეტი 55 ათასი გირვანქა სტერლინგით შეივსეს. მეორე ადგილზე გასულებს 30 ათასი ერგოთ, ხოლო მესამე ადგილოსნებისთვის 22,5 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო გამოყოფილი.














ნინო ტიკარაძე

### გალაწუნებასა და კოცნას შორის ერთი ნაბიჯია

ინგლისის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის უეინ რუნისა და მისი მეგობარი გოგონას კოლინ მაკლაფლინის ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, მეტად საინტერესო ფაზაში შევიდა. ფეხბურთელი რომ კოლინს ძვირფას საჩუქრებს უძღვნის, ეს მათი გულშემატკივრებისთვის ახალი ამბავი ნამდვილად არ უნდა იყოს. თუმცა, ახალი ის არის, რომ რუნიმ მუშტების მოღერება დაიწყო. თანაც, მხოლოდ მოღერება კი არა, მოღერებული მუშტის დარტყმაც.

ერთ-ერთ ღამის კლუბში შეკამათების დროს რუნიმ ყველას თვალწინ სახეში გაარტყა კოლინს. ფეხბურთელის ასეთი საქციელი ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. სანამ დამსწრე საზოგადოება შოკიდან გამოსვლას მოახერხებდა, თვალცრემლიანმა გოგონამ კლუბი ხმის ამოუღებლად დატოვა.

სიტუაცია დაიძაბა. წყვილის ურთიერთობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ანერვიულდნენ მათი გულშემატკივრები და ავნერვიულდი მეც. წარმოიდგინეთ, საჭორაო თემის დაკარგვის საშიშროების წინაშე დავდექი.

კოლინმა დაჰკრა ფეხი და სულიერი ტრავმების მოსაშუშებლად კვიპროსზე გაემგზავრა.

"ამ გადაწყვეტილებამ ყველას უნდა აჩვენოს, რომ კოლინს რუნის გარეშეც შეუძლია ცხოვრება, თანაც, ბედნიერი ცხოვრება", - განაცხადა გოგონას ერთ-ერთმა მეგობარმა.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეგობარი მწარედ ცდებოდა, რადგან თავად მაკლაფლინი სხვა აზრის იყო. მოგზაურობაში 45 ათასი გირვანქა სტერლინგის გაფლანგვის შემდეგ გოგონა აზრზე მოვიდა, საკუთარ გრძნობებში გაერკვა და ინგლისში დაბრუნება გადაწყვიტა. აბა, როგორ? უეინ რუნის მარტო დატოვება შეიძლება? დაახვევს თავბრუს რომელიმე ახალგაზრდა ლამაზმანი და მერე, ნახვამდის, ფულო და ძვირფასო საჩუქრებო!

ლონდონის აეროპორტში კოლინმა შერიგების ნიშნად ინგლისის ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავს საპარსი კრემი უყიდა, თანაც, არც ჟურნალისტებთან გულახდილი საუბარი დაიზარა. "უეინი მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარულია," - განაცხადა მან. შემდეგ კი BMW-ს უკანა სავარძელზე ყველას დასანახად ერთმანეთს აკოცეს.

ჭირი - იქა, ლხინი - აქა, ქატო - იქა, ფქვილი - აქა.

### ბექჰემი დაჩაგრეს

დიახ, დაიჩაგრა და მერე როგორ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ბრიტანული ჟურნალის GQ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სამი წლის განმავლობაში ინგლისელ ვარსკვლავს ყველაზე გემოვნებიან მამაკაცად თვლიდნენ. წელს კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. მან არათუ პირველი ადგილის შენარჩუნება, სიაში დარჩენაც კი ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, გული არ დასწყვიტეს და ყველაზე უგემოვნო მამაკაცების ლიდერობა მიაკუთვნეს (პატივი სცეს. მეტი რა უნდა? ამ შემთხვევაშიც ხომ პირველი ადგილი უკავია!).

დიდი ბრიტანეთის ყველაზე გემოვნებიან მამაკაცად კი მისი თანაგუნდელი, ინგლისის ეროვნული ნაკრების მცველი რიო ფერდინანდი აღიარეს. "აშკარაა, რომ ამ ფეხბურთელისთვის სულ ერთი არ არის, როგორ გამოიყურება. რიო მოდური და გემოვნებიანი ადამიანია. მან იცის თავისი სტილი", - ჟურნალის არჩევანს კომენტარი დაურთო მთავარმა რედაქტორმა დილან ჯოუნსმა.

ასეთი ახსნის მიუხედავად, პოპულარული ჟურნალის არჩევანი ზოგს უცნაურად ეჩვენება, რადგან რიო ფერდინანდი, პირველ რიგში, ცნობილია არა გემოვნებიანი ჩაცმის სტილის მქონე, არამედ ვარცხნილობის ხშირი შეცვლის მოყვარულ ადამიანად.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ბრიტანელებმა თავიანთი არჩევანი უკვე გააკეთეს. ბექჰემის სამი წლის განმავლობაში ნალოლიავები ტიტული რიო ფერდინანდს გადასცეს. თუმცა, არც მადრიდის "რეალის" ინგლისელი ლეგიონერი დატოვეს უპატივცემულოდ.

### ბუნტი მანკუნიანელთა ბანაკში

"მანჩესტერ იუნაიტედის" რიგებში დიდი არეულობაა. ფეხბურთელები აბუნტდნენ. ამის მიზეზი მთავარი მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწის კარლუშ კეირუშის მხრიდან ძალაუფლების მოხვეჭის აშკარა მცდელობაა. მადრიდის "რეალის" ყოფილ თავკაცს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს თანაშემწის ამპლუაში ყოფნა და შორს გამიზნული გეგმები აქვს. ის უხეშად ცდილობს, ფერგიუსონის მიერ არჩეულ ტაქტიკაში ცვლილებები შეიტანოს. ეს კი გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობას აღიზიანებს.

ითმინეს, ითმინეს, მაგრამ როცა მოთმინების ფიალა აევსოთ, ერთხმად განაცხადეს, კეირუშმა ან თავი დაგვანებოს, ან საერთოდ შევწყვეტთ ვარჯიშსო.

თავად ფერგიუსონი ჯერჯერობით ხმას არ იღებს, თუმცა, არც მას უნდა მოსწონდეს ეს ფაქტი. ამით ხომ თანამდებობაზე მის დარჩენას დიდი საფრთხე ექმნება.

მით უმეტეს, საშიშროება სხვა მხრიდანაც არსებობს. ამერიკელი მილიარდერი მაკლოლმ გლეიზერი ცოცხალი თავით არ ეშვება "მანჩესტერ იუნაიტედის" შეძენის იდეას. ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე კლუბის საკონტროლო პაკეტი ხელში ჩაიგდოს და მისი ერთპიროვნული მმართველი გახდეს (აქციების რაღაც ნაწილი უკვე აქვს, თუმცა, როგორც ხედავთ, უფრო მეტი უნდა!). ამ დღეებში გლეიზერმა კლუბის ხელმძღვანელობას 800 ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

გლეიზერის ასპარეზზე გამოჩენის დღიდან "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრები დღემდე კატეგორიული წინააღმდეგი არიან, რომ მათი სათაყვანებელი გუნდი ამერიკელს ხელში ჩაუვარდეს. თუმცა, მარტო ეს არ არის პრობლემა. მათ არ უნდათ, რომ კლუბს ერთპიროვნული ხელმძღვანელი ჰყავდეს, ურჩევნიათ, მას რამდენიმე ადამიანი მართავდეს.

მაგრამ, რომ იცოდეთ, როგორი მაცდუნებელია გლეიზერის ბოლო წინადადება! წარმომადგენლებმა რომ ცდუნებას ვერ გაუძლონ და მისი წინადადება მიიღონ? შემდეგ კლუბის ერთპიროვნულმა მფლობელმა სერ ალექს ფერგიუსონს მასზე ახალგაზრდა კეირუში რომ ამჯობინოს? მერე რა მოხდება? ხომ დარჩა ფერგიუსონი უმუშევარი?

თუმცა, წინასწარ რაიმეს თქმას ჯობს, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

### არისტოკრატის ტყავში გახვეული თაღლითები

თურმე ნუ იტყვით და არისტოკრატებად წოდებულ "ჩელსის" გულშემატკივრებს შორის თაღლითებიც გამოერივნენ. აბა, ყველა კარგი ხომ ვერ იქნება?

გულშემატკივრები მრავალფეროვანი საქციელით გამოირჩევიან. ზოგი ბოთლებს ისვრის მოედანზე, ზოგი პეტარდებს და მინდორზე კარგა მოზრდილ კოცონს ანთებს. მოკლედ, აღარ იციან, რითი მიაყენონ ზიანი არა მეტოქე გუნდის ფეხურთელებს, არამედ მათ, ვისაც გულშემატკივრობენ (რამდენად გამოსდით გულშემატკივრობა, ეს კიდევ ცალკე თემაა!).

ჰო, "ჩელსიზე" ვსაუბრობდი და ცოტა შორს წავედი. ლონდონელთა შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, საქმე შედარებით მარტივად იყო. არისტოკრატების ოთხმა გულშემატკივარმა თაღლითობა გადაწყვიტა. მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის მატჩზე "ბაიერნთან", უფრო ზუსტად, შესვენებისას, ლონდონელები, სხვა გულშემატკივრების მსგავსად, იქვე, შენობაში საჭმელად ჩავიდნენ. მათ გამყიდველს გადასახადის საფასურის დასაფარად 50 ევრო მიაწოდეს. ფულმა გამყიდველი დააეჭვა. მან პოლიცია გამოიძახა და ლონდონელები, სტადიონის ტრიბუნების ნაცვლად, პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდნენ. ფანებმა სამართალდამცველებს აუხსნეს, რომ ისინი არაფერ შუაში არ არიან. ეს ფული ბილეთების ყიდვის დროს ხურდად დაუბრუნეს. არ ვიცი, როგორც მოახერხეს ლონდონელებმა პოლიციელთა დარწმუნება, ანდა იქნებ სიმართლესაც ამბობდნენ... ის კი ვიცი, რომ კუპიურის ამოღებისა და ოქმის შედგენის შემდეგ ისინი მალევე გაათავისუფლეს.

დასხედით ახლა და არკვიეთ, ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ ტყუის. მეტი საქმე არ გაქვთ, ხომ? არც მე!

# კავკასიის ალტერნატიული ცოცხალი მუსიკა

## ლადო ბურდულთან ერთად

## City Restaurant

### შოუს მიზანი

ისეთ კონფლიქტურ და დაპირისპირებულ ზონაში, როგორიც არის კავკასია, თბილისი აქციოს კავკასიის თანამედროვე მუსიკის დედაქალაქად და მშვიდობის დესპან ქალაქად, სადაც თანამედროვე კავკასიელი მუსიკოსებისთვის შეიქმნება სატელევიზიო მუსიკალური შოუ-პროგრამა და ახალი იდეა, ერთიანი კავკასიური შოუბიზნესის სივრცე საზღვრების და კონფლიქტების გარეშე, რომელიც უპრეცედენტო შემთხვევაა კავკასიური შოუ ბიზნესის და კულტურის განვითარებაში, მისი არეალის გაერთიანებაში და მის ერთ ინფრასტრუქტურად ჩამოყალიბებაში, რომელიც აშკარად გაზრდის მის კომერციულ პოტენციალს, ინტერესს, აგრეთვე შემოქმედებით არეალს და ხარისხს.

კავკასიის სამივე რესპუბლიკის კულტურული ლოკალური ინფრასტრუქტურის გლობალურად გადაქცევა-ჩამოყალიბების შემთხვევაში შოუ ხელს შეუწყობს სამივე რესპუბლიკიდან სპონსორების მოზიდვას ერთ სრულყოფილ სარეკლამო, კომერციულ, შემოქმედებით ინფრასტრუქტურაში, რომელიც ერთი მხრივ საქართველოს და ქართულ მასმედიას მიცემს უფრო მეტ და მნიშვნელოვან დატვირთვას კავკასიის შოუ-ბიზნესის ერთიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარებაში, მის კულტურულ ეკომნომიკურ სივრცეში, ხოლო მეორემხრივ თანამედროვე მუსიკის როლი უფრო მეტად გაიზრდება ისეთ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებში როგორიც არის:

1. მშვიდობა კავკასიაში
2. კავკასიური ახალგაზრდობა
3. საქართველოს იმიჯი მსოფლიოში

პარასკევი, 15 აპრილი, 21:00. რესტორანი City
დახურული საღამო
საღამოში მონაწილეობენ:



მოგწონთ? ეს ჩემი ქმარია, არა, არა ეგ არა !!! აი, ის, რომ მღერის!!



გურამ, ეს ხომ ჩემი უცხოელი ბიძაშვილია!?! კაი, რა დაგემართა, რა გაყვირებს, სირცხვილია, ნუ მომჭერი ხალხში თავი!! რას იფიქრებენ ეს ქართველები, ვინ არიანო?????




ერთი კითხვა მაქვს, პატ. მას.?
ბავშვები მართლა კომბოსტოდან ჩნდებიან?



ჯგუფი ტიტანუსი 2000 (რუსთავი}

გიორგი ბარბაქაძე - ვოკალი, ბასი
მიშიკო იაშალაშვლი - გიტარა დამხმარე ვოკალი
ხვიჩა წიქარიშვილის - დასარტყამი




არა შენ არასწორად გაგვიგე. ჩვენ უბრალოდ შენს მოსასმენად მოვედით აქ, ძვირფასო. ჩვენთან ინდოეთში ეს ასე არ სწყინთ. ძალიან გთხოვთ, მოეშვი და უბრალოდ ღრმად ისუნთქე.



აუ, რა მაგარი ნაშები არიან არა ეეეე ჩემი??? შეხედე, მე მგონი, ისინი ჩვენ გვიყურებენ არა ჩემი... ეეე???

ეგრე ნუ უყურებ. ეგენი ოფიციანტები არიან და იფიქრებენ, შეკვეთა გინდა რამის... დებილო!!!



კოიოტი მოკვდეს და შაბათის შოუ მაშინ დეიხუროს, თუ აგენი რასაც ახლა უბერავენ, საცხა თუ არ მქონდეს მონასმენი სამტრედიაში უკვე!!!

ა, ბიჯო, მე მატყუებენ ახლა აგენი ვითომ თავის ჭკუაში???



ჯგუფი სტრინგი 2000 (თბილისი)
დათო ლომიძე - ვოკალი
გიორგი მარი - გიტარა
ლევან სვანიძე - გიტარა
გოგა კაკულია - ბასი



მე ბიძია ინდოეთი არ ვიცი, მარა ჩვენთან, ჩოხატაურში მაგფერი როჟიზა უნაყავენ ცხვირ პირს!!!



რა ლამაზი ხარ შვილო?!? ვისი ხარ ესეთი ლამაზი, პატარა???

გთხოვ, მაჩუქო შენი სახელი, ჩემო ცუნცულა?! რა უბნელი ხარ დაიკო?! "ქილერას" იცნობ? ერთად ვიჯექით იდოეთში ზონაში.

ეხლა ამერიკაში მივდივარ და რა ვიცი, თუ გინდა წამოდი ერთად გავიქცეთ აქედან!!!



ნუთუ შეიძლება კიდევ რამე იყოს ამაზე გემრიელი და სასიამოვნო, ვიდრე ეს ოხერო კარტოფილის ფრი ???

არა, ბაკურ, ამ საკითხში შემიძლია შეგეკამათო!!!




სანდრო ჟღენტი - დასარტყამი

ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას, ვაშა, დიდებას!!!

დროშები, დროშები, დროშები ჩქარა!!!




და აი, ჩვენც აქა ვართ და... კმარა დაძაბულობა, ძირს დაძაბულობა, დაძა დაძა ბულობა, ძირს დაძაბულობა!!!



მურთაზ, იქ ჩემთან გერმანიაში ჩემი კლასელი იყო "რამშტაინის" ვოკალისტი, მაგრამ დამიჯერე, ძმობაში შენნაირი ჯიგარი მეორე არ არსებოს ამ ჩვენს პატარა პლანეტაზე. მოდი, ერთი ჩვენებური ქართული დარდიმანდული შაუბეროთთთ, ვახ, ჭირიმე შენი ჭირიმე!!!



რა ამბავია, რა ხდება უკვე ამ როკის კონცერტებზეც, ვერ გაიგებ კაცი რა, ჯერ მარტო შარშან ჩემს გარდა არავი უსმენდა და დადიოდა, ორ კაცს ვერ კრიფავდნენ.. ოხ ეს ქართველები რა ხართ, ხო სულ ამ მოდის და მარიაჟის პონტში უნდა იყოთ რა!!!

| | |
|---|---|
| სახელი ____ | მისამართი ____ |
| გვარი ____ | |
| ასაკი ____ | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____ |
| სიმაღლე ____ | |

| | |
|---|---|
| **1** ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი | **8** თქვენი ინტერესები |
| **2** შვილები: (თუ გყავთ) | **9** თქვენი ჰობი |
| **3** პროფესია : | **10** თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| **4** სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | **11** როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება) |
| **5** ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | **12** როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| **6** სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | **13** როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| **7** სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში. ხელმოწერა____ თარიღი____ ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ბოლოდროინდელი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, გარდა ამისა სახე კარგად უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



ცეცხლგამძლე კარადა

ისტორიის მამა

სარკმელი

მინაური ფრინველი

ჩინელ კომუნისტთა ბელადი

ნაპოლეონის მარშალი

წინა სკანვორდის პასუხები:

## TV პროგრამა

18 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "ტრავმა" მე-26. **00.00** მხ. ფილმი "შანხაელი მეკავშირე" (18) (მარკ დაკასკოსი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.45(შვეიცარია), 03.15(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. **07.00** ძალაუფლება და ტერორი. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. კამერუნი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** წმინდა პეტრეს ქვრივი. მხ. ფილმი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **24.30** პარიზი ჩვენია. მხ. ფილმი. რეჟისორი ჟაკ რივეტი. **04.25** მაშველები. ტელესერიალი.

**08.00** "ადრე" **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - ჩარლზის ვნებანი **16.30** დოკ. ფილმი "ნინა სიმონი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ზაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სამყაროს შექმნა **23.30** მხ. ფილმი "სატანის მზის ქვეშ" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". ნინო სალუქვაძე. **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** მუსიკა მზეზე **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** ბალეტი "შეჰერაზადა" **23.45** მხ. ფილმი "მეორე სიცოცხლე" (15) (ტიერი ლერმიტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ზაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "ერთი ბედის ანოტაცია"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 04.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.10** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.00** ქრონიკა **15.20** "არ იდარდო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაფე-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "ყოველ საღამოს 11 საათზე" (რეჟ. ს. სამსონოვი) **03.40** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** "პროექტი მომავალი" **10.35** მუსიკალური კომედია "ჩვეულებრივი სასწაული" **13.00** ფანტასტიკა "უცხოპლანეტელებზე მონადირე" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "ოცეული" **17.00** მუსიკა **17.50** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ფაკულტეტი" **23.00** დოკ. ფილმი "ალ კაპონე" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ყველაფერი ან არაფერი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Фильм **"ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ: НОВАЯ НАДЕЖДА". 11.30** Дисней-клуб: "Алладин". **12.20** Робин Уильямс в комедии **"ИГРУШКИ". 14.30** Неизвестная планета. "Марш тысячи самураев". **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.30** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "По следу сибирского зверя". **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Балуев в многосерийном фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 22.40** Спецрасследование. "Город без журналистов". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Под пятой императора". **00.30** "Подводный мир Андрея Макаревича". **01.00** Комедийный боевик **"СУПЕРАГЕНТ САЙМОН". 02.20** Сьюзен Сэрэндон в фильме **"БЕЛЫЙ ДВОРЕЦ".** Преуспевающий 27-летний директор рекламного агентства Макс Бэрон никак не может оправиться после смерти жены. Однажды ночью в баре "Белый дворец" он знакомится с официанткой Норой Бэйкер. Ей 43, она независима и экспрессивна, живет на окраине городка. Эта встреча резко меняет жизнь Макса. Вскоре становится ясно, что разница в возрасте и социальном статусе не могут помешать развитию бурного романа... **04.00** Кейти Холмс в детективе **"ПОКИНУТАЯ".** Студент престижного колледжа Эмбри Ларкин исчез при загадочных обстоятельствах два года назад. Но детектив Уэйд Хандлер, которому перешло это дело, не может найти ни одной зацепки. В ходе расследования он знакомится с бывшей подругой пропавшего Кэтрин Берк. Девушка ошеломляет его неожиданным заявлением: совсем недавно она видела Эмбри в студенческом городке. Чувствуя, что, возможно, он на пути к разгадке тайны, Хандлер решает приглядеться к девушке.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.35** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: АВТОКОП". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ТАЙНЫ ЗАВОДА "АБРАЗИВ". 1**-я с. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.10** Журнал Лиги чемпионов. **01.40** Каролина Грушка в фильме **"БРЭЙК-ПОЙНТ".** Талантливая русская теннисистка Ася тренируется на западных кортах у известного тренера Курта, безнадежно в нее влюбленного, у него же тренируется и Душан - восходящая "звезда" тенниса. Ребята - Ася и Душан любят друг друга, строят совместные планы, но все рушится в один момент: Душан уходит от Курта и довольно быстро оказывается на дне, зарабатывая себе на жизнь занятиями с богатыми старыми дамочками, вовсю употребляет алкоголь, а Ася наоборот выступает в турнирах все лучше и лучше. Курт не теряет надежду на их совместное будущее. Но судьба благосклонна к Душану - он сумеет перебороть себя и начнет тренировки с утроенным рвением, а дальше - встреча с Асей на корте... **03.20** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.10** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Джилл Хеннесси в сериале **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# იოკო ონოს ჯადოსნური სახელი



"პორტსმუთის ზავი მშვიდობის გაუცვეთელი სიმბოლოა, ამიტომ მისი ხელოვნების ზეიმით აღნიშვნა შესანიშნავი იდეაა", - განაცხადა იოკო ონომ და გადაწყვიტა ხელოვნების კონკურსსა და გამოფენას საპატიო თავმჯდომარედ ჩაუდგეს სათავეში.

ზეიმი მართლაც პორტსმუთის ზავის 100 წლის იუბილეს ეძღვნება და "მშვიდობის ხელოვნება" ჰქვია. ფესტივალის რეალური თავმჯდომარე კი რობერტ ტორესენი გახლავთ, რომელიც დასძენს: "სავსე განრიგის გამო, ეჭვი მეპარება, რომ იოკო ონომ პორტსმუთში ჩამოსვლა შეძლოს, მაგრამ მან საპატიო თავმჯდომარეობის თანამდებობა მაინც სიამვონებით მიიღო, რადგან მშვიდობის ეგიდით ფესტივალის გამართვა - ეს მისი სფეროა. ცხადია, მისი სახელი ჩვენს ფესტივალზე ბევრ მხატვარს მოიზიდავს".

გამოფენა პორტსმუთში 20 ივლისს დაიწყება და 5 სექტემბრამდე გასტანს. ხელოვანები კიდევ ერთხელ შეეცდებიან, დევიზი - უარი ომს, თავიანთ ნაწარმოებებში გაატარონ.

# ალიშა ქიზი ახალი ჯილდოების მოლოდინში

24 წლის ალიშა ქიზის უკანასკნელი ტრიუმფი "გრემის" მეცხრე ცერემონიალზე შედგა. მისი 2003 წლის დისკი Diary of Alicia Keys საუკეთესო რიტმ-ენ-ბლუზის ალბომი გახდა. ეს ალიშას მეექვსე "გრემია". პირველი ხუთი კი მომღერლის 2001 წლის სადებიუტო ჩანაწერს Songs in A Minor მოჰყვა.

მოკლედ, ქიზის ბუხრის თავზე ტევა აღარ არის. ყველგან ჯილდოები დევს. თუმცა, მუსიკალური მიმომხილველები ფიქრობენ, რომ გოგონამ ადგილი ახალი პრიზებისთვის მალე უნდა გაათავისუფლოს, ის ხომ ახალ სფეროში ცდის ბედს - კინოში და ვინ იცის, მსახიობობაც ახალ-ახალ პრიზებს მოუტანს. მუსიკალური ტურნეს დასრულების შემდეგ ქიზი გადაღებებს დაიწყებს. ის შეასრულებს მთავარ როლს ფილმში, რომელსაც პროდიუსერობას ჰალი ბერი უწევს.

"შავ-თეთრი ნაწარმოებები" ქეთრინ თალალაის წიგნის მიხედვით გაკეთდება. ქიზი შეასრულებს ვირტუოზი პიანისტის ფილიპა შუილერის როლს. გოგონამ, რომელიც შავკანიანი მწერლის ჯორჯ შუილერისა და ტეხასელი მხატვრის ჯოზეფინ ქოჯელის ქალიშვილი გახლდათ, მუსიკის წერა 4 წლის ასაკში დაიწყო. ამერიკა მის ტალანტს ეჭვით შეხვდა, თუმცა, ბოლოს, 50-იან წლებში ფილიპამ უკვე მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ალიშა ქიზს სცენარი ძალიან მოეწონა, რადგან პატარა ფილიპასთან ბევრი საერთო აღმოაჩინა. თვითონ ალიშაც ხომ ძალიან პატარა იყო, როცა მუსიკით დაინტერესდა. 7 წლის ასაკში დაიწყო ფორტეპიანოზე დაკვრა და მუსიკის წერა. შემდეგ, მანჰეტენზე, პროფესიონალური საშემსრულებლო ხელოვნების სკოლაში მიიღო საგუნდო განათლება და 16 წლისა კოლუმბიის უნივერსიტეტიდანაც წამოვიდა, რათა ბედი მთლიანად მუსიკისთვის დაეკავშირებინა.

ფილიპას არქივებში ძიებაც კი ალიშასთვის ერთი სიამოვნება აღმოჩნდა. "ვიპოვე მისი მელოდიები,



რომლებიც 7 წლის ასაკში დაუწერია. როგორც ვხვდები, ამ მუსიკის წერის დროს სახლში მუშები მუშაობდნენ და მისი ნაწარმოებიც სწორედ ამ თემაზე დაიწერა".

დიდი ენთუზიაზმის მიუხედავად, მაინც ჩნდება კითხვა: რატომ არის ალიშა ქიზი დარწმუნებული იმაში, რომ მსახიობობაც გამოუვა? თვითონ ამ კითხვას ასე პასუხობს:

"თამაშიც ძალიან პატარამ დავიწყე. ასე რომ, არც ახლა უნდა გამიჭირდეს". ესეც რომ არა, ალიშას დედა ტერი აუჯელოც მსახიობი იყო და ბავშვი ხშირად ესწრებოდა ხოლმე დედის რეპეტიციებს. "დედა მუდამ თან მატარებდა სპექტაკლებზე. მისი თამაშის ცქერაში დაღლილს იქვე, კულისებში მეძინებოდა ხოლმე", - იხსენებს მომღერალი.

ასე რომ, ალიშა ქიზი ახალ პროექტს ეჭიდება. მაგრამ იქვე აცხადებს, რომ მუსიკისგან შორს მაინც არ წავა. მისი პირველი მოწოდება მაინც მუსიკაა. ვნახოთ, რა გამოუვა მას გადასაღებ მოედანზე.





თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24


# "როკის სნობების ლექსიკონი"




ასე ჰქვია ახალ, თითქმის 180-გვერდიან გამოცემას, რომელიც გამომცემლობა "ბროდვეი ბუქსმა" გამოსცა და როკის მოყვარულების დიდი ცნობისმოყვარეობაც გამოიწვია. ავტორი დევიდ კემპი, რომელიც ჟურნალებისთვის Vanity Fair და GQ წერდა, თანაავტორ სტივენ დეილისთან ერთად (გლაზგოელი როკმუსიკოსი, ჯგუფიდან "ორინჯ ჯიუსი"), იხსენებს ყველა სპეციფიკურ ტერმინს, რომელსაც როკის სამყაროში იყენებენ და მათ თავს ამ უცნაურ ლექსიკონში უყრის.

წიგნში წარმოდგენილია ყველა სიტყვა "ანიდან"-"ჰოემდე", რომელთაც როკლექსიკაში ფესვები მყარად აქვთ გადგმული და რომელთა გაგებაც ხშირად ჩვეულებრივ მელომანებს უხერხულობის განცდას უტოვებს ხოლმე. ლექსიკონი სწორედ ამ უცოდინარობით გამოწვეული უხერხულობის მოსპობას ისახავს მიზნად.

ამიერიდან ყველას შეეძლება, გაიგოს, თუ რას ნიშნავს: "MC5", "Eno" და ზიმი (ეს უკანასკნელი ბობ დილანის მეტსახელია როკის სნობების ენაზე). და აღარც ის იქნება, საიდუმლო, თუ ვინ არიან Hipgnosis - დიზაინერთა დუეტი, რომლებიც "ფინქ ფლოიდისა" და "ლედ ზეპელინის" ალბომების სენსაციურ ყდებს აკეთებდნენ. თუმცა, ეს სიტყვები მხოლოდ ზღვაში წვეთია. ლექსიკონი მელომანებს კიდევ უამრავი საინტერესო ტერმინის განმარტებას სთავაზობს. გამოცემა საინტერესოა თვითონ როკის სნობებისთვისაც - მათ ხომ პირველად ეძლევათ საშუალება, ამდენი მშობლიური სიტყვა ერთად თავმოყრილი იხილონ.


**საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს).**
**შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე**

**ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!**
**სასწავლო და სამეცნიერო გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროკავშირის ქვეყნების ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.**

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge
შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ირინა სულავა**








# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.